

290/2

2003

0-3



03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE
UNIVERSITY



ISSN 1512-1313

ეკონომიკა
ЭКОНОМИКА
ECONOMICS

1-2





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


PROCEEDINGS OF Tbilisi State University
ECONOMICS
1980

ECONOMICS

215



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS





ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE
UNIVERSITY

350

ЭКОНОМИКА ECONOMICS

1-2

ТБИЛИСИ 2003 TBILISI



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

350

ეკონომიკა

1-2

თბილისი 2003

საქართველოს
პარლამენტის
ეკონომიკის
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეჯია

აპთანდილ სილაბაძე – თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლარისა ყორღანაშვილი – რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნინო პაპანაშვილი – პასუხისმგებელი მდივანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

იური ანანიაშვილი (ემდ, პროფ.)
 როზეტა ასათიანი (ემდ, პროფ.)
 კლიმენტი არელაშვილი (ემდ, პროფ.)
 ნოდარ ბიჭიაშვილი (ემდ, პროფ.)
 ესტატე ბოლოკაძე (ემდ, პროფ.)
 ბიკენტი გაბიაშვილი (ემდ, პროფ.)
 გივი გამსახურდია (ემდ, პროფ.)
 რევაზ გოგოხია (ემდ, პროფ.)
 გრიგოლ თოდუა (ემდ, პროფ.)
 მურთაზ მაღრაძე (ემდ, პროფ.)
 ელგუჯა მეჭვბიშვილი (ემდ, პროფ.)
 გივი მიქელაძე (ტმდ, პროფ.)
 გაიოზ ნადირაშვილი (ტმდ, პროფ.)

ნუგზარ პაიჭაძე (ემდ, პროფ.)
 ოთარ ხალარეიშვილი (ემდ, პროფ.)
 მირიან ტუხაშვილი (ემდ, პროფ.)
 როინ ქუტიძე (ემდ, პროფ.)
 თამაზ ჩიკვაძე (ემდ, პროფ.)
 ელუარდ ცირაშუა (ემდ, პროფ.)
 ნოდარ ჭითანაია (ემდ, პროფ.)
 მიხეილ ჯიბუტი (ემდ, პროფ.)
 თენგიზ ჭიბარიშვილი (ემკ, პროფ.)
 გიორგი ბაბუნაშვილი (ემკ, პროფ.)
 იზოლდა ადეიშვილი (ტმკ, დოც.)
 ჯემალ კახნიაშვილი (ემკ, დოც.)
 ფიქრია წოწკოლაური (ემკ, დოც.)

სარედაქციო კოლეჯიის უცხოელი წევრები:

- პატრიკ ბულონი** - პარიზი 8 უნივერსიტეტის პროფესორი (საფრანგეთი)
- მელანო რინი** - ბრუნელის უნივერსიტეტის ასოცირებული წევრი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი)
- პარალელ კენცი** - ბრანდენბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (გერმანია)
- ვლადიმერ შენაევი** - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის (რუსეთი) ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- იოჰან ციშერმანი** - ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)
- ძრის ჯარმისი** - ბრუნელის უნივერსიტეტის პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა
საქართველოს
რესპუბლიკის
თბილისი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Авთანდიл Силагадзе - председатель, член-корреспондент Академии наук Грузии,
доктор экономических наук, профессор

Лариса Корганашвили - редактор, доктор экономических наук, профессор

Нино Папачашвили - ответственный секретарь, кандидат экономических наук

Юрий Ананиашвили (дэн, проф.)

Розета Асатиани (дэн, проф.)

Клименти Ачелашвили (дэн, проф.)

Нодар Бичнашвили (дэн, проф.)

Эстатэ Болокадзе (дэн, проф.)

Викенти Габидзашвили (дэн, проф.)

Гиви Гамсахурдия (дэн, проф.)

Реваз Гогохия (дэн, проф.)

Григол Тодуа (дэн, проф.)

Муртаз Маградзе (дэн, проф.)

Элгуджа Меквабишвили (дэн, проф.)

Гиви Микеладзе (дтн, проф.)

Ганоз Надирашвили (дтн, проф.)

Нугзар Паичадзе (дэн, проф.)

Отар Сагареишвили (дэн, проф.)

Мириан Тухашвили (дэн, проф.)

Роин Кутидзе (дэн, проф.)

Тамаз Чикваидзе (дэн, проф.)

Эдуард Цирамуа (дэн, проф.)

Нодар Читанава (дэн, проф.)

Михаил Джибути (дэн, проф.)

Тенгиз Чиabriшвили (кэн, проф.)

Георгий Бабунашвили (кэн, проф.)

Изольда Адеишвили (ктн, доц.)

Джемал Кахнишвили (кэн, доц.)

Пикриа Цоцколаури (кэн, доц.)

Иностранные члены редакционной коллегии

Патрик Булон - профессор университета "Париж 8" (Франция)

Мелани Рин - ассоциированный член Брунельского университета, доктор
(Великобритания)

Гаралд Кунц - декан экономического факультета Технологического института
Бранденбурга, профессор (Германия)

Владимир Шенаев - заместитель директора института Европы (Россия) Российской
Академии наук, член-корреспондент академии

Иоган Цимерман - профессор Бременского университета (Германия)

Крис Джарвис - профессор Брунельского университета (Великобритания)

EDITORIAL BOARD

AVTANDIL SILAGADZE - Editor-in-Chief, Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences, Doctor of Science (Economy), Professor
LARISA KORGANASHVILI - Editor, Doctor of Science (Economy), Professor
NINO PAPACHASHVILI - Executive Secretary, Candidate of Science (Economy)

Iuri Ananiashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Nugzar Paichadze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Rozeta Asatiani (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Otar Tsagareishvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Klimenti Achelashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Miriam Tukhashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Nodari Bichiashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Roin Kutidze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Estate Bolokadze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Tamaz Chikvaide (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Bikenti Gabidzashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Eduard Tsiramaia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Givi Gamsakhurdia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Nodar Chitanava (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Revaz Gogokhia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Mikhail Jibuti (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Grigol Todua (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Tengiz Chiabrishvili (Cand. Sci.(Econ.), Prof.)
Murtaz Magradze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	George Babunashvili (Cand. Sci.(Econ.), Prof.)
Elguja Mekvabishvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Izolda Adeishvili (Cand. Sci.(Technol.), Assist.prof.)
Givi Mikeladze (Dr. Sci.(Technol.), Prof.)	Jemal Kakhniashvili (Cand. Sci.(Econ.), Assist. prof.)
Gairoz Nadirashvili (Dr. Sci.(Technol.), Prof.)	Pikria Tsotskolauri (Cand. Sci.(Econ.), Assist. prof.)

Associate Editors (Foreign)

- Patrick Boulon** - Paris 8, University Professor (France)
Melanie Rain - Brunel University associated member, Dr. (UK)
Harald Kunz - Brandenburg Technological institute, Dean of economics Depart, Prof. (Germany)
Vladimir Shenaev - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Deputy Director of Institute of Europe (Russia)
Johan Zimmermann - Professor, Bremen University (Germany)
Chris Jarvis-Brunel University Professor (UK)

ეკონომიკური თეორია.
ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია

ა. სილაგაძე, თ. ათაბეგიშვილი

ეკონომიკის მიცნობისათვის დოქტორები საქართველოში (ა-ბ)

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ბევრი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს. სამწუხაროდ, მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციები გაიშვიათდა. მოცემულ პუბლიკაციაში ამ ნაკლის გარკვეულწილად დაძლევის მიზნით ვაქვეყნებთ მასალებს ამჯერად მხოლოდ საქართველოში მოღვაწე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორების ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

გამოსაქვეყნებელი მასალები შეგროვდა და გაანალიზდა საარქივო და ჩვენი კოლეგების დახმარებით მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე შემდეგი სპეციალური კითხვარის საფუძველზე: 1. გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, ადგილი; 2. სადოქტორო დისერტაციის დაცვის წელი; 3. რომელი უმაღლესი სასწავლებელი (უნივერსიტეტი) დაამთავრა და როდის; 4. სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა (უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი – წლების აღნიშვნით); 5. სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობა (არანაკლებ დამოუკიდებელი უწყების ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობისა – წლების აღნიშვნით) და 6. არაუმეტეს სამი ძირითადი გამოქვეყნებული ნაშრომი (მონოგრაფია – გამოცემის წელი).

წინამდებარე პუბლიკაცია არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან და მათი სრულყოფისათვის გამოთქმული ყველა საქმიანი შენიშვნა გათვალისწინებული იქნება მომავალ მუშაობაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჯერად ვთავაზობთ ინფორმაციულ-ანალიტიკურ მასალებს, მხოლოდ საქართველოში მოღვაწე ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორების შესახებ აღფავეტის მიხედვით.

აბესაძე რამაზ ბორისის ძე, დ. 1952 წ. ქ. ტყიბულში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1974). იჯი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის წამყვანი მეცნ. მუშაკი (1974-91), ლაბორატორიის გამგე (1991-97), განყ. გამგე (1997-2000), 2002 წლიდან კი არის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, თსუ დოცენტი (1996-2000), პროფესორი (2002 წლიდან). ძირითადი შრომები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების ეფექტიანობა საქართველოში“, თბ., „მეცნიერება“, 1987წ.; „სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეკონომიკური პრობლემები“, თბ., „მეცნიერება“, 1991 წ. (რუსულ ენაზე); „ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირებისა და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები“, თბ., „ცოდნის წყარო“, 1999წ.

აბულაძე ვალერიან ივანეს ძე (1907-1973), დ. ქუთაისის რ-ნის ს. კვახტორში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1963). პროფესორი. დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკ-ტი. (შემდგომში საფინანსო-ეკონომიკის ინსტიტუტი, 1930). იყო თსუ დოცენტი (1934-41). იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში (1941-46). იყო თბილისის სახ. სამედიცინო ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1950-73), პროფესორი. ძირითადი შრომები: „საქართველოს სსრ შინაგაბრუნება 1921-1932 წწ.“; თბ., საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამომც., 1962 წ. (რუსულ ენაზე); „საქართველოს სსრ შინაგაბრუნება 1933-1941 წწ.“ თბ. „მეცნიერება“, 1968 წ. (რუსულ ენაზე).

ადეაძე ვალერიან სერგოს ძე, დ. 1931 წ. ახალქალაქის რ-ნის ს. პტენაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1970). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1953). იგი იყო 1958-93 წწ. – თსუ პოლიტეკონომიის კათედრის ასისტენტი, სახალხო მეურნეობისა და ეკონ. მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი (1961-71), პროფესორი (1971 წლიდან), გამგე (1978-93). საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1973-88), დირექტორი (1988-93). 1989-91 წწ. ყოფილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი. 1992 წ. (მარტი-ოქტომბერი) – საქ. სახელმწიფო საბჭოს წევრი, ეკონომიკის საკითხთა კომისიის თავ-რე. საქ. სახელმწიფო ქონების მართვის სახელმწიფო კომიტეტის თავ-რე (1992 წ. მაისი-ოქტომბერი). საქ. პარლამენტის წევრი, ეკონომიკის საკითხების კომისიის თავ-რე. (1992-93). რუსეთის უფედრაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (1993-95). 1995-99 წწ. საქ-ოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ-ს ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტის კოლეგიაში, კოლეგიის წევრი. საქ-ოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ-ს ეკ. საბჭოსთან არსებულ ეკონომიკურ საკითხთა კომისიაში (1999 წლიდან). სრულიად რუსეთის საფინანსო-ეკონომიკური ინ-ტის ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის ისტორიის კათედრის გამგე (1999 წლიდან). ძირითადი შრომები: „საქართველოს სსრ ეკონომიკური განვითარება ომის შემდგომ პერიოდში“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ.; „საქართველოს სსრ მრეწველობის ზრდის ტემპები და სტრუქტურა ომის შემდგომ პერიოდში“, თბ. თსუ გამომც., 1970 წ.; „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება: საქართველოს სსრ გამოცდილება“. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1987 წ.

ადეიშვილი გიორგი გიორგის ძე (1927-1999), დ. ვანის რ-ნის ს. ყუმურში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1950). იგი იყო თსუ პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ასპირანტი (1951-53), დოცენტი (1955-72), პროფესორი (1972 წლიდან), გამგე (1986-99). საქ. პროფესიული ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავ-რის მოადგილე (1976-78). ძირითადი შრომები: „შრომითი რესურსების კვლავწარმოების პრობლემები საქართველოში“, თბ., თსუ გამომც. 1971; „შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და ცვალებადობის არსი“, თბ., თსუ გამომც. 1968; „წარმოების ინტენსიფიკაცია და სპეციალისტთა კადრების მომზადების საკითხები“, თბ., თსუ გამომც. 1989 წ.

ალიკოშვილი ოთარ გიორგის ძე (1932-1989), დ. სიღნაღში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1984), პროფესორი. დაამთავრა საქ. სასოფლო სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1955). იგი იყო სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, სექტორის გამგე. ზოოვეტერინარული ინ-ტის ეკონომიკის კათედრის გამგე (1987-1989). ძირითადი შრომები: „სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977 წ.; „სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსაწარმო



ინტეგრაცია", თბ., „ცოდნა“, 1977 წ., „სამეურნეობათა შორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1986 წ.

ანანიაშვილი იური შალვას ძე, დ. 1951 წ. ახალქალაქის რ-ნის ს. კოთელაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1973). იყო ავტომატიზაციის საშუალებების ს/კ ინ-ტის თანამშრომელი (1973-74), თსუ დოცენტი (1981-1998), 1998 წლიდან კი – პროფესორი. გამოქვეყნებულ შრომებში გამოკვლეული აქვს დარგთაშორისი მოდელები სხვადასხვა ასპექტით.

ანდულაძე რობერტ ვასილის ძე, დ. 1937 წ. კასპის რ-ნის ს. თელავტორში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988). პროფესორი. დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1959). იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/მ ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრ. (1959-66) უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი (1966-69). განყ. გამგე (1969-70), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1970-84). ს/მ მეცნ. აკადემიის ამიერკავკასიის განყ. პრეზიდიუმის თავ-რის მოადგილე (1984 წლიდან). 1990 წლიდან არის საქ. აგრარული უნ-ტის პროფესორი. ძირითადი შრომები: „მიწათსარგებლობის თავისებურებანი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანად გამოყენება“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ., „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესში“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1979 წ. (თანაავტ.); „სოფლის მეურნეობის მართვა თანამედროვე მეთოდებითა დონეზე“, თბ. „ცოდნა“, 1981.

ასათიანი იოველ ესტატეს ძე (1907-2002). დ. ქ. ქუთაისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1930). იყო თსუ ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1935-36), დოცენტი (1975-78). საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრ. (1969-96), მთ. მეცნ. თანამშრ. (1996-2000), მეცნ.-კონსულტანტი (2002 წლიდან). ძირითადი შრომები: „ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი“, თბ. „მეცნიერება“, 1994 წ.; „ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა მეთოდი“, თბ. „მეცნიერება“, 1953 წ.; „თბილისის საადგილმამულო ბანკის დაარსება“, თბ. „მეცნიერება“, 1973 წ.

ასათიანი რევაზ ნოდარის ძე, დ. 1951 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990). დაამთავრა თსუ საინჟინრო ეკონომიკის ფაკ-ტი (1973). იგი იყო საქ. აგროსამრეწველო კომპლექსის სამეცნ.-კვლევითი ინ-ტის უმცრ. მეცნ. მუშაკი (1976-78), საქ. აგრარული უნივერსიტეტის ასისტენტი (1981-84), დოცენტი (1984-90), პროფესორი (1990 წლიდან), კათედრის გამგე (1986-90), 2001 წლიდან არის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1990-2001). ძირითადი შრომები: „რეგიონალური სასურსათო კომპლექსების ფორმირება და მართვის ორგანიზაცია“, თბ. აგრ. უნ-ტის გამომც. 1990 წ.; „საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში“, თბ. აგრ. უნ-ტის გამომც. 2002 წ.

ასათიანი როზეტა შალვას ას., დ. 1939 წ. ქ. ქუთაისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1962). იგი იყო თსუ პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ასისტენტი (1972-74), უფ. მასწავლებელი (1974-83), დოცენტი (1983-93); არის თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი (1993 წლიდან). ძირითადი შრომები: „მომსახურება და საბაზრო სისტემა“ თბ. თსუ გამომც., 1993 წ.; „ფული და ფულადი სისტემები“, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 1996 წ.; „საქართველოს ეკონომიკა: წარსული, აწმყო, მომავალი“, თბ. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2002 წ.

ანკლაშვილი კლიმენტი ვასილის ძე, დ. 1941 წ. ახალქალაქის რ-ნის ს. კოთელაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997). დაამთავრა ქ. მოსკოვის სახ. უნ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1965). იგი იყო სსრკ მეცნ. აკად. ციმბირის განყ-ის



პროფესორი. იგი სამეცნიერო შრომებში იკვლევს და აანალიზებს კავდაბანდებების, აგრეგირებული დარტაშორისი ბალანსის სქემას, მოდელსა და სხვ. პრობლემებს.

ახალაია ვლადიმერ რაფაელის ძე, დ. 1933 წ. დ. ჩხოროწყუში, ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (1986). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1954). იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის უმცრ. მეცნ. თანამშრ. (1960-62), თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახ. ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი 1963 წლიდან, გამგე (1987-97), 1997 წლიდან არის ფილოსოფიისა და სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა კათედრის გამგე, პრორექტორი ეკონომიკისა და ფინანსების დარგში (1998 წლიდან). ძირითადი შრომები: „ელექტროენერჯის თვითღირებულებების შემცირების საკითხები საქართველოს ენერგოსისტემაში“, თბ. „მეცნიერება“, 1962 წ.; „სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია განვითარებული სოციალიზმის პირობებში“, თბ. „მეცნიერება“, 1980 წ. (რუსულ ენაზე); „საქართველოს ელექტროფიკაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.

ბაკაშვილი ნიკოლოზი ომარის ძე, დ. 1965 ქ. სიღნაღში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტი (1988). იგი იყო თსუ დოცენტი (1992-97), 1998 წლიდან არის პროფესორი. ძირითადი შრომები: „კომუნიკაციის ნაგებობათა მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობა“, თბ. „ლეგო“, 1994 წ.; „ინვესტიციური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოს სახალხო მეურნეობაში და კაპიტალური მშენებლობის როლი მის რეალიზაციაში“, თბ. „ლეგო“, 1995 წ.; „სამშენებლო ინვესტიციის საწარმოები საბჭოთა ეკონომიკის პირობებში“, თბ. „ლეგო“, 1996 წ.

ბაღანჩივაძე ივანე ილიას ძე (1902-1973). დ. სამტრედიის რ.-ის ს. დიდი ჯიხაიში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1959). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1930). იყო ამიერკავკასიის დაუსწრებელი სწავლების საფინანსო ინ-ტის დოცენტი (1932-40), თსუ დოცენტი (1934-42), საქ. ზოოვეტერინალური ინ-ტის დოცენტი (1942-48), პროფესორი (1961-73), სოფლის მეურნეობის ეკ-ის კათედრის გამგე (1970-72). ძირითადი შრომები: „მარცვლეულის მეურნეობა-სასოფლო სამეურნეო წარმოების საფუძვლები“, თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1951 წ.; „სოფლის მეურნეობის სოციალური გარდაქმნები ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში“, თბ. „განათლება“ 1956 წ.

ბარათაშვილი ევგენი შალვას ძე, დ. 1949 წ. ქ. ქუთაისში. ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი. 1972 წ. დაამთავრა ქ. მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკის ინ-ტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა: საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1973-77); თსუ-ში (1977-86); საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (1986-91); 1999 წლიდან მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტში. ძირითადი შრომები: „ისრაელის ეკონომიკური განვითარების ეტაპები“, თბ., 1992 წ.; „მენეჯმენტის საფუძვლები“, თბ., 1997 წ.; „რევიონული ეკონომიკური პოლიტიკა“, თბ., 2002 წ.

ბასარია რევაზ ვლადიმერის ძე, დ. 1932 წ. ქ. გაღში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1994). დაამთავრა ქ. მოსკოვის საფინანსო ინ-ტი (1956) და სკკპ ცკ-ის უმაღლესი პარტული სკოლა (1968). იგი იყო საქ. კპ ცკ-ის განუ. გამგის მოადგილე (1974-76), საქ. სტატისტიკის სახ. კომიტეტის (სსსკ) თაერე (1976-91). 1991 წლიდან კი არის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების ს/ ინ-ტის დირექტორის მოადგილე, თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორი. ძირითადი შრომები: „გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები“, თბ., სსსკ-ს გამომც., 1995 წ. (თანაავტ.); „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები“,

თბ., თსიპ-ს გამოცემა, 1996 წ. (თანაავტ.); „საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები“, თბ., „ფინანსების ს/კ-ის გამოცემა“, 2001 (თანაავტ.).

ბახტაძე ვაღერძიან საბას ძე (1905-1974), დ. ქ. ქუთაისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1964). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტი (1928). მოღვაწეობდა თსუ-ში ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის, შემდეგ სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე. შრომები: „ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი“, თბ., 1958 წ.; „საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის ნარკვევები (XIX საუკუნის 60-90-იანი წლები)“, თბ., 1960 (რუს. ენაზე); „სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი“, თბ., 1961 და სხვ.

ბაჯაძე იოსებ სერაპიონის ძე (1908-1960), დ. ვანის რ-ნის ს. გორაში, პროფესორი. დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (1930). იგი იყო ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ს/კ ინ-ტის დირექტორი (1935-37), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1935-36), საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის განყ. გამგე (1944-55), საქ. კ. ცკ-თან არსებული პარტიული სკოლის კათედრის გამგე, 1950-58 წწ. – თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე და დეკანი (1950-1955). ძირითადი შრომები: „სსრ კავშირის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთობა“, თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოცემა, 1958 წ.; „სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის სახესხვაობად გადაქცევის შესახებ“, თბ., თსუ, 1948 წ.; „საქართველოს სსრ ინდუსტრიული განვითარების ტემპების შესახებ“, თბ., 1947 წ.

ბაჯელიძე ალექსანდრე ქამილის ძე (1923-1985), დ. ქობულეთის რ-ნის ს. ხუცუბანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1951). იყო თსუ პოლიტეკონომიის კათედრის ასისტენტი (1955 წლიდან), საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის ასისტენტი (1955 წლიდან), საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი (1958-70), თსუ პოლიტეკონომიის კათედრის პროფესორი (1970-85). ძირითადი შრომები: „აჭარის ეკონომიკის ძირითადი საკითხები“, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1973 წ. (რუსულ ენაზე); „სოციალისტური ეკონომიკის წარმოშობა და დამკვიდრება აჭარაში“, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1976 წ.; „აჭარის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, ბათუმი, „საბჭოთა აჭარა“, 1981 წ.

ბაქრაძე ვიორგი კონსტანტინეს ძე (1908-1989), დ. ჩოხატაურის რ-ნის ს. ბუიციხეში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1960). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (1929). 1937-89 წ. იგი იყო თსუ ლექტორი, დოცენტი, პროფესორი (პოლიტეკონომიის კათედრისა). საქ. კ. ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილე (1941-45). თსუ პარტიკომის მდივანი (1945-46). ძირითადი შრომები: „საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის წარმოშობა და განვითარება XIX ს-ში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1958 წ.; „საქართველოს რესპუბლიკის განვითარების ზოგიერთი საკითხი“, თბ., 1967 წ.; „იმპერიალიზმის ღენინური თეორიის ზოგიერთი საკითხი“, თბ., 1964 წ.

ბერაძე შოთა ფილიპეს ძე (1908-1980), დ. ამბროლაურის რ-ნის ს. ცახში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1974), პროფესორი. დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტი (1933). 1933-80 წწ. იგი იყო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (1946-58), დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (1954), სტატისტიკის კათედრის გამგე (1953-1974), პროფესორი. სხვადასხვა პერიოდში შეთავსებით მუშაობდა გორის პედაგოგიკურ და ლიხი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში (1941-45). ძირითადი შრომები: „მოსახლეობის 1959 წლის

„მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა“, თბ. „ცოდნის გამავრც. საზ-ბა“, 1958 წ. ; „ქველახე დიდი სიმდიდრის გამოთვლა“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1969 წ. „მოსახლეობის 1979 წლის სრულიად საკავშირო აღწერის პროგრამულ-მეთოდური საკითხები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ. (თანავტ.).

ბერიძე თეიმურაზ არჩილის ძე, დ. 1956 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1978). თსუ კომპაეშირის კომიტეტის მდივანი (1980-81). იგი იყო პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი (1982-83). საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნ. თანამშრომელი, განცხადების გამგე, დირექტორის მოადგილე, თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი (1993 წლიდან), 1996 წლიდან კი არის საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის თავ-რე. ძირითადი შრომები: „სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლები: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმოქმედების ახალი ასპექტები“, თბ., „მეცნიერება“, 1993 წ.; „რეკონსტრუქციის ეკონომიკის ეფექტიანობა (პოლიტეკონომიური ასპექტი)“, თბ., „მეცნიერება“, 1987 წ. (რუსულ ენაზე); „ცენტრალიზმი და დამოუკიდებლობა ეკონომიკაში“, თბ. „მეცნიერება“, 1981 წ. (რუსულ ენაზე).

ბერულავა გიორგი ვახტანგის ძე, დ. 1966 წ. ქ. სოხუმში. ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (2000), პროფესორი. 1988 წ. დაამთავრა ქ. ვოროშილოვგრადის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტი. იგი მუშაობდა: საქართველოს ეკონომიკის საქმინისტროსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ს/კ ინ-ტის სოხუმის განყოფილებაში; 1993 წლიდან საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტში; 1994 წლიდან თსუ სოხუმის ფილიალში. ძირითადი შრომა: „ფორმის მარკეტინგული მოდელი“, თბ., თსუ გამომც., 1999 წ.

ბერუნიაშვილი დავით სტეფანეს ძე (1911-1981), დ. ცაგერის რ-ნის ს. ლაილაშში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი. დაამთავრა ქ. თბილისის სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინ-ტის აგრარული ფაკ-ტი (1932). იგი იყო ქ. ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის პედაგოგი (1955-57), დოცენტი (1957-58; 1962-72), პროფესორი (1972-81). საქ. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1958-62). ძირითადი შრომები: „აჭარის არ საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის საკითხები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.; „აჭარის არ სოფლის მეურნეობისა და მისი განვითარების პერსპექტივები“ (1921-1975 წწ.), თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1967 წ.

ბიჭიაშვილი ნოდარ სიკოს ძე, დ. 1935 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1986), პროფესორი, დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1958). იგი იყო სპი ასისტენტი (1964-65). თსუ დოცენტი (1970-86), პროფესორი (1987 წლიდან), კათედრის გამგე (1991 წლიდან). ძირითადი შრომები: „ასაწყობი რკინაბეტონის სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის განვითარების საკითხები“, თბ. თსუ გამომც., 1979 წ.; „სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, თბ. გამომც. „ლევა“, 1996 წ.; „მოქნილი წამოების ორგანიზაცია და ეფექტიანობა“, თბ., გამომც. „ქრონოგრაფი“, 2001 წ.

ბოლაშვილი პაატა ავთანდილის ძე, დ. 1958 წ. სიღნაღის რ-ნის ს. ჯუგაანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002). დაამთავრა: სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1980); თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990). იგი იყო საქ. კომპაეშირის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი (1982-83), სიღნაღის რ-ნის გამგეობის თავ-რის მოადგილე (1995-97), 1997-2002 წწ. – საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურთან არსებული მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი. ძირითადი შრომა: „მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები“, თბ., შპს „ფორმა“, 2000 წ.



ბოლოკამე ესტატე სანდროს ძე, დ. 1937 წ. ქ. ხაშურში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1987). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1968). იგი იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის თანამშრომელი (1969-73), თსუ-ს (1974 წლიდან) უფრ. მასწავლებელი (1974-76), დოცენტი (1977-80), პროფესორი, 1988 წლიდან არის კათედრის გამგე. ძირითადი მონოგრაფიები: „საქონელშიმოქცევის სფეროს მთლიანი შემოსავლები და ხარჯები“, თბ. თსუ გამომც., 1987 წ. (რუსულ ენაზე); „მოქცევის ხარჯები ვაჭრობაში“, თბ. თსუ გამომც., 1989 წ.

ბურდული ვახტანგ შალვას ძე, დ. 1945 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1999). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1969). იგი იყო ფიზიკის ინ-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1971-72), საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უმც. მეც. თანამშრომელი (1975-77), უფრ. მეცნ. თანამშრ. (1977-82), ლაბორანტ. გამგე (1982-86; 1991-94), 1994 წლიდან არის განვ. გამგე. ძირითადი შრომები: „საწარმოო სამეურნეო კომპლექსების ტერიტორიული მართვის პრობლემები“, თბ., „მეცნიერება“, 1989 წ. (რუსულ ენაზე); „ბუღალტრული აღრიცხვა, თეორია და ნორმატიული დოკუმენტები“, თბ., „მეცნიერება“, 1997 წ. (თანაავტ.); „რეგიონალური ეკონომიკის მართვის სრულყოფა საქართველოს მაგალითზე“, თბ., „მეცნიერება“, 1985 წ. (რუსულ ენაზე).

ბურკაძე ვახტანგ კონსტანტინეს ძე, დ. 1931 წ. ქ. გურჯაანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი. დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკ-ტი (1954). იგი მუშაობდა: საქ. მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტში (1958-59); საქ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინსტიტუტში (1959-63); სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინსტიტუტში (1963-66); თსუ-ში (1966-74); იყო საქ. სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, (შემდგომში აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის) ს/კ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1966-73), დირექტორის მოადგილე (1973-88), 1988 წლიდან არის დირექტორი. საქ. ზოოვეტაკადემიის პროფესორი (1974 წლიდან). ძირითადი შრომები: „მიწის ეკონომიკური შეფასება და გამოყენება“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973 წ.; „მიწის კადასტრი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფასი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.; „საგადასახადო და სადაზღვევო სისტემები სოფლის მეურნეობაში“, თბ., 2001 წ.

გაბიძაშვილი ბიკნტი სპირიდონის ძე, დ. 1935 წ. ცაგერის რ-ნის ს. ორხეში. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1959). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფესორი. 1965-68 წწ. – თსუ მასწავლებელი, დოცენტი. იგი იყო საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, მართვისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1968-70), 1970 წლიდან თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანი (1970-74), 1974 წლიდან არის თსუ სტატისტიკის კათედრის გამგე. ძირითადი შრომები: „ჩაის წარმოებისა და მოხმარების პროექტირების ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები“, თბ., თსუ გამომც., 1981 წ. (რუსულ ენაზე); „მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ.; „ტექნიკური პროგრესი და საწარმოო სიმძლავრეების გამოყენება საქართველოს მანქანათმშენებელ მრეწველობაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.

გაბუნია კონსტანტინე ფარნაოზის ძე (1906-1969), დ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1964). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკ-ტი (1928). 1947-69 წწ.-ში იყო თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის (შემდგომში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის) კათედრის უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. 1966-69 წწ. შეთავსებით მუშაობდა

საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტში. საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი (1968). ძირითადი შრომები: „ნარკვევები ჩაის მრეწველობის ეკონომიკაში“, თბ. თსუ გამომც., 1965 წ. (რუსულ ენაზე); „ყოფლის ციტრუსების მეურნეობა“, თბ., 1955 წ. (რუს. ენაზე).

ვაგნიძე ამირან სოსოს ძე, დ. 1936 წ. ონის რ-ნის ს. შქმერში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი. საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის მეცნ.თანამშრომელი (1960-66), მოსახლეობის მოთხოვნისა და ვაჭრობის კონიუნქტურის შესწავლის საკავშირო ს/კ ინ-ტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე (1966-77), 1977 წლიდან მუშაობს თსუ-ში დოცენტად, შემდეგ პროფესორად. ძირითადი შრომები: „მოსხარება და სავაჭრო კონიუნქტურები“, თბ., თსუ გამომც., 1971 წ. (თანაავტ.); „საქართველოს საქონელბრუნვისა და საქონლის მარაგის განვითარების პრობლემები“, თბ. თსუ გამომც., 1992 წ.; „საქონლის მარაგი საცალო ვაჭრობაში“, თბ. თსუ გამომც., 1986 წ.

გამსახურდია გივი გრიგოლის ძე, დ. 1937 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1961). იგი იყო 1961 წლიდან თსუ ასპირანტი, კაბინეტის გამგე, დოცენტი. არის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე (1994 წლიდან), პროფესორი. საქ. კვ ცკ-ის ინსპექტორი (1971-82), აბაშის რაიკომის მეთრე მდივანი (1981-82), საქ. რესპ. კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1990-91). ძირითადი შრომები: „სოციალისტური შევიდრების როლი წარმოების პროცესის სრულყოფაში“, თბ., თსუ გამომც., 1973 წ.; „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, თბ. გამომც. „მერიდიანი“, 1995 წ.; „ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში“, თბ. გამომც. „მერიდიანი“, 1997 წ.

გელაშვილი სიმონ გიორგის ძე, დ. 1954 წ. ახალგორის რ-ნის ს. იკოთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1999). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1977). იგი იყო თსუ სტატისტიკის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი, ამჟამად ამავე კათედრის პროფესორია. 2001 წლიდან არის საქ. სტატ. სახ. დეპარტ. სტატისტიკის ს/კ ინ-ტის დირექტორი. ძირითადი შრომები: „მოსახლეობის მოთხოვნის ეკონომიკურ-სტატისტიკური შესწავლის რეგიონული პრობლემები“ (საქართველოს მაგალითზე), მოსკოვი, 1991 წ. (რუსულ ენაზე); „თამაშთა თეორიის გამოყენება საბაზრო პროცესების პროგნოზირებაში“, პოტსდამის უნ-ტის გამომცემლობა, 1999 წ. (გერმანულ ენაზე); „მოვლენათა დინამიკის სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდოლოგიური საკითხები“, თბ., თსუ გამომც., 2002 წ.

გველესიანი რევაზ ალექსანდრეს ძე, დ. 1955 წ. თერჯოლის რ-ნის ს. ქვემო საზანოში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1978). იგი იყო თსუ პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი (1986-91 წწ.), 1991 წლიდან არის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი. ძირითადი შრომები: „ეკონომიკური ინტერესები, ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმი სოციალიზმის დროს“, თბ., თსუ გამომც., 1987 წ.; „სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური ინტერესები“, თბ., „მეცნიერება“, 1988 წ.; „მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა“, თბ. „სამშობლო“, 1999 წ.

გვიშინი ნიკოლოზ სარდიონის ძე (1917-1989), დ. სამტრედიის რ-ნის ს. ილორში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის

ფაკულტეტი (1939). იგი იყო ქ. გორის სახ. პედინ-ტის დექტორი (1940-53), საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის დოცენტი (1963-70), საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის დოცენტი (1954-69), თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინ-ტის პროფესორი (1970-89), კათედრის გამგე (1974-1987). ძირითადი შრომები: „შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა სამრეწველო წარმოებაში“, თბ. „სახელგამი“, 1957 წ.; „შრომის ნაყოფიერების ზრდის როლი კომუნიზმის მშენებლობაში“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1962 წ.; „70-იანი წლების სტახანოველები“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1975 წ.

გიორგაძე კამლელ გრიგოლის ძე, დ. 1937 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1981), პროფესორი (1983 წ.). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტ-ის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ფაკულტეტი (1960). იგი იყო საქ. აგრარული უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის ასისტენტი (1965 წლიდან), დოცენტი, ეკონომიკური ტექნოლოგიის კათედრის გამგე (1970-75). 1976 წლიდან არის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგე. ძირითადი შრომები: „სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია საქართველოს მთიან რაიონებში“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1983 წ. (რუსულ ენაზე); „სასურსათო პრობლემიდან სასურსათო უსაფრთხოებაზე“, თბ. „ამირანი“, 1993 წ. (თანაავტ.).

გიორგობიანი ოთარ დეონტის ძე, დ. 1962 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა ქ. ქუთაისის სუბროპიკული მეურნეობის ინ-ტის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1959). იგი იყო ამავე ინ-ტის უფრ. მასწავლებელი (1959-60). საქ. სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე (1973). საქ. სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის განვ. გამგე (1973-88), საქ. აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1988-2001). 2001 წლიდან არის მთ. მეცნიერ თანამშრომელი. ძირითადი შრომები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემები კვების მრეწველობაში“, თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1986 წ.; „კვების მრეწველობის ეკონომიკა და ორგანიზაცია“, თბ. „მნათობი“, 1993 წ.; „კვების მრეწველობის ეკონომიკა“, თბ. „მნათე“, 1996 წ.

გოგოხია რევაზ აკაიის ძე, დ. 1936 წ. წაღუნჯიხის რ-ნის ს. ფახულანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1958). იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი (1965-77). საქ. კმ ცკ-თან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევების ლაბორატორიის გამგე (1982-86), საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე (1991-92), ჟურნ. „სოციალური ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი (1999 წლიდან). თსუ-ში მუშაობს 1978 წლიდან, ამჟამად ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორია. ძირითადი შრომები: „სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია“, თბ. „მეცნიერება“, 1975 წ.; „ეკონომიკური ინტერესები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში“, თბ. „მეცნიერება“, 1981 წ.; „საბაზრო ეკონომიკა“, თბ. „საქპროგრამა“, 1986 წ.

გოგინაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე (1872-1950), დ. ღანჩხუთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი (1918). თსუ ერთ-ერთი დამაარსებელი. ლაიფციგის უნ-ტის ფილოსოფიის ფაკ-ტის ეკონომიკის განყოფილების სტუდენტი (1897-1901), იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში (1901). იგი იყო თბილისის საკლდელო სათათბიროს, შემდეგ კავკასიის სოფლის მეურნეობის საზ-ბის სტატისტიკური ბიუროს გამგე (1903-13), სრულიად რუსეთის საერობო კავშირის რწმუნებული ამიერკავკასიაში (1914-16), კახეთის რკინიგზის გამგეობის თავ-რე (1917-18), სახელმწიფო კონტროლიორი (1918-1920). თსუ

პროფესორი (1918-50) – პარალელურად საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი (1946-50). გაზ. „ივერიის“ რედაქტორი (1905-06). მისი მონაწილეობით თარგმნილი და რედაქტირებულია: კ. მარქსის „კაპიტალი“ (ტ. 1-3), „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1932), „ფილოსოფიის სიღალბაჲ“ (1931); „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1940); ა. სმიტისა და დ. რიკარდოს მნიშვნელოვანი შრომები (1938; 1937) და სხვ. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ძირითადი შრომა: „ხელოვნობა საქართველოში“, თარგმანი გერმანულიდან, თბ., თსუ გამომც., 1976 წ.

გოკიელი არჩილ პეტრეს ძე (1903-1985), დ. ქ. ქუთაისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1949), პროფესორი (1954). დაამთავრა თსუ სოციალ-ეკონომიკური ფაკ-ტი (1925). 1926-30 წწ. იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგე. თსუ (1930 წლიდან) დოცენტი, პროფესორი, ვაჭრობის ეკონომიკისა და დაგეგმვის კათედრის გამგე (1954-73), სახალხო მეურნეობის კათედრის გამგე (1974-85). ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1937-38). ძირითადი შრომები: „საბჭოთა ფინანსების არსი, ფუნქციები და როლი“, მოსკოვი, „ეკონომიკა“, 1960 წ.; (რუსულ ენაზე); „საბჭოთა ვაჭრობის ფინანსები“, თბ., თსუ გამომც., 1960 წ.

გოშაძე გივი გიორგის ძე, დ. 1928 წ. ონის რ-ნის ს. კვაშიხეთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1952). იგი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასისტენტი, თსუ კომკაუშირის კომიტეტის მდივანი (1954-55); დოცენტი (1960-66), პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1980-91); დოცენტი (1966-73), პროფესორი (1973-80). ამჟამად არის თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი. ძირითადი შრომები: „სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაცია და ტექნიკური პროგრესის საკითხები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ.; „ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ისტორიის ნარკვევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში“, თბ., თსუ გამომც., 1971 წ. (რუს. ენაზე); „ზოგიერთი ეკონომიკური კანონისა და კატეგორიის მოქმედება თანამედროვე პირობებში“, თბ., თსუ გამომც., 1980 წ.

გრიგოლაშვილი ზიგფრიდ შალვას ძე, დ. 1942 წ. ქ. მცხეთაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1989), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი, ვაჭრობის ეკონომიკის სპეც-ით (1965). თსუ-ში მოღვაწეობს 1967 წლიდან. ძირითადი შრომები: „ბაზარი: პრობლემები, თვალსაზრისი“, თბ., თსუ გამომც., 1994 წ.; „საქონელმომოქცევის განვითარება და მოსახლეობის თავისუფალი დროის ასპექტები“, თბ., თსუ გამომც., 1990 წ. (რუს. ენაზე); „საქართველოს სსრ ვაჭრობის ორგანიზაციისა და დაგეგმვის აქტუალური საკითხები“, თბ., თსუ გამომც., 1978 წ. (თანაავტ.).

გუგუშვილი პაატა ბესარიონის ძე (1905-1987), დ. აბაშის რ-ნის ს. კოდორში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1940). საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1974). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი (1928). 1930-84 წწ. თსუ ლექტორი, დოცენტი, პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1941-42), პროფესორი. იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის დამაარსებელი (1944) და დირექტორი (1944-1976). განყოფილების გამგე (1976-87). ძირითადი შრომები: „საქართველოს სსრ აღწარმოების საკითხები“, თბ., „მეცნიერება“, 1973 წ.; „სოციოლოგიური ეტიუდები“, ტ. 1, თბ.; „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ.; ტ. 2, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1971 წ.; „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს-ში“, ტ. 1, თბ., „სახელგამი“, 1949 წ.; ტ. 2, თბ., „სახელგამი“, 1956 წ.; ტ. 3, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1959 წ.; ტ. 4, თბ., „მეცნიერება“, 1965 წ.; ტ. 5, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1962 წ.; ტ. 6, თბ.,



„მეცნიერება“, 1979 წ.; ტ. 7, თბ., „მეცნიერება“, 1984 წ.

გუნია აუთანდილ ლევანის ძე (1912-1997), დ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1962). საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1979). დაამთავრა ქ. მოსკოვის გ. პლენანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1939). 1942-52 წწ. მუშაობდა სკკპ. (ბ) ცკ-ის აპარატში. საქ. კმ. ცკ-ის განკ-ბის გამგე (1953). იგი იყო საქ. სსრ კულტურის მინისტრი (1953-57). საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტ-ის განკ-ბის გამგე (1957-60), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1960-76), დირექტორი (1976-91), კონსულტანტი (1991-97). ძირითადი შრომები: „სოციალისტური კვლავწარმოების ტემპები და პროპორციები საქართველოს ეკონომიკაში“, თბ., „მეცნიერება“, 1966 წ. (რუს. ენაზე); „კვლავწარმოების ზოგიერთი თავისებურებანი განვითარებული სოციალისტის ეკონომიკის პირობებში“, თბ., „მეცნიერება“, 1977 წ. (რუს. ენაზე); „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოში“, თბ.; „მეცნიერება“, 1984 წ.

დათუაშვილი ვალერიან იოსების ძე, დ. 1922 წ. დედოფლისწყაროს რ-ნის ს. არბოშიკოში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1946). 1946-83 წწ. იგი იყო თსუ ლექტორი, დოცენტი, პროფესორი (1968-83), კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1945-46), პარტიული კომიტეტის მდივანი (1952-53). ზოგიერთინარული ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1955-60). საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1983-91). საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის მთ. მეცნ. თანაშრომელი (1991-99), განკ-ბის გამგე (1999-2002), ლაბორატორიის გამგე. (2002 წლიდან). ძირითადი შრომები: „საქართველოში მანქანათმშენებლობის მრეწველობა და მისი განვითარების პერსპექტივები“, თბ.; „საბჭოთა საქრთველო“, 1966 წ.; „ნარკვევები საქართველოს სსრ მანქანათმშენებლო მრეწველობის განვითარების ისტორიიდან“, თბ., „საბჭოთა საქრთველო“, 1966 წ.; „საწარმოო დისციპლინის არსი და მისი განმტკიცების აუცილებლობა“, თბ., „საბჭოთა საქრთველო“, 1983 წ.

დოღონაძე ვიორჯი ვიორჯის ძე, დ. 1943 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1966). 1974 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, 1988 წლიდან კი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინ-ტში. იგი არის თსუ პროფესორი (1999 წლიდან). ძირითადი შრომები: „საქართველოს მიწის ფონდების გამოყენების ძირითადი მიმართულებები“, თბ., „საბჭოთა საქრთველო“, 1984 წ. „საქართველოს მიწის ფონდები და მათი ინტენსიურად გამოყენების გზები“, თბ., „საბჭოთა საქრთველო“, 1987 წ. (თანაავტ.).

ელიზბარაშვილი ზურაბ ალექსანდრეს ძე, დ. 1930 წ. ქ. ბორჯომში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1984). დაამთავრა საქ. სსრ სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1960). მუშაობდა საქ. სსრ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1960-76). იგი არის საქ. აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის გამგე (1976 წლიდან). ძირითადი შრომები: „ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება სოფლის მეურნეობაში“, თბ., საქ. სას-სამ. ინსტ. გამომც., 1998 წ. ; „სოფლის მეურნეობაში საწარმოო სისტემათა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება“, თბ., „განათლება“, 1991 წ.

ვაშაქიძე ომარ შალვას ძე, დ. 1933 წ. სამტრედიის რ-ნის ს. დიდი ჯიხაიში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1989). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1955). მუშაობდა: სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინ-ტში (1959-64) და ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინ-ტში (1964-94). 1994 წლიდან არის ეკონომიკისა და სოციალური

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



პრობლემების ს/კ ინ-ტის განუების გამგე, ძირითადი შრომები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1982 წ.; „პირადი დამხმარე მეურნეობა საქართველოში და მისი პერსპექტივები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.; „საქართველოს აგრარული პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, თბ., „სიახლე“, 2000 წ.


ვეშაპიძე შოთა ალექსის ძე, დ. 1954 წ. საგარეჯოს რ-ნის ს. კაკაბეთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000). დაამთავრა თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი ვაჭრობის ეკონომიკის სპეც-ით (1977). იგი იყო „ტექნიფორმის“ ეკონომიკური განათლების სექტორის გამგე (1985-87), საქ. კ. ც.კ-ის მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის დეკანი (1987-91). ამჟამად არის თსუ პროფესორი. ძირითადი შრომა: „იღია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები“, თბ., 1999 წ.

ზედგინიძე ავთანდილ ალექსანდრეს ძე, დ. 1939 წ. ახალქალაქის რ-ნის ს. კოთელიაში, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატყეო სამეურნეო ფაკულტეტი. 1972 წლიდან მუშაობს საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასისტენტად, დოცენტად. ამჟამად არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი. ძირითადი მონოგრაფია – „წარმოების გაძლიერის საფუძვლები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.

ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის ძე, დ. 1917 წ. ოსურგეთის რ-ნის ს. შუშოქედში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1939). მუშაობდა: თსუ-ში (1961-86); სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტში (1986-91); ფინანსებისა და სტატისტიკის ინ-ტში (1991-95). იგი იყო საქ. სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე (1974-86). 1994 წლიდან მუშაობს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემების ს/კ ინ-ტში. ძირითადი შრომები: „მშენებლობის ეკონომიკური ანალიზი“, თბ., თსუ გამომც., 1990 წ.; „საწარმოთა საბრუნავი საშუალებები“, თბ., ფინ. ს/კ ინ-ტის გამომც., 1993 წ.; „სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ბერკეტები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.

თარგამაძე კონსტანტინე მიხეილის ძე (1910-1994), დ. სამტრედიის რ-ნის ს. ნიგოზვაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1962). დაამთავრა ამიერკავკასიის სატყეო-ტექნიკური ინ-ტის სატყეო ეკონომიკის ფაკ-ტი (1934). იგი იყო თბილისის სატყეო ტექნ. ინ-ტის დეკანი (1934-38), საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის რექტორი (1953-56), კათედრის გამგე (1938-83), სატყეო-სამეურნეო ფაკ-ტის დეკანი (1976-77). საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1937-38), თავ-რე (1938-43), მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე (1943-46), სოცურუნველყოფისა (1946-50) და კომუნალური მეურნეობის (1950-52) მინისტრი. ძირითადი შრომები: „საქართველოს სსრ ტყის რესურსები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ.; „საქართველოს ტყის ფონდი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973 წ.; „დაცვიანი ტყის ზოლები და მათი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა საქართველოს პირობებში“, თბ., სახელგამი, 1955 წ.

თეთრაული არჩილ იოსების ძე, დ. 1935 წ. თიანეთის რ-ნის ს. ბოდახევაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1994). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1958). იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის (1959-63 წწ., და 1966 წლიდან) უმცრ.-უფრ. მეცნ. თანამშრომელი, განუების გამგე (1991 წლიდან). თსუ დოცენტი (1962-80), თბილისის სახ. სამედიცინო ინ-ტის მასწავლებელი, დოცენტი (1964-80), თბილისის სახ. პედინსტ-ის მასწავლებელი, დოცენტი (1964-85), საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორი. ძირითადი შრომები: „კვლავწარმოების კანონზომიერებანი საქართველოში“, თბ., „მეცნიერება“, 1981 წ.; „კვლავწარმოების ტემპები და პროპორციები“, თბ., „მეცნიერება“, 1986 წ.; „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი“, ნაწ. 1, თბ.,



„მეცნიერება“, 1992 წ.

თეთრუაშვილი ზაურ გიორგის ძე, დ. 1935 წ. დუშეთის რ-ნის ს. არანისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1991). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტი (1959). იგი იყო გორის სახ. უნ-ტის პროფესორი, პრორექტორი (1977-83), ამჟამად კათედრის გამგეა. ძირითადი შრომები: „საქართველოს სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები“, გორი, 1991 წ. (რუს. ენაზე); „ფინანსური მენეჯმენტი“, გორი, 1997 წ.; „ინვესტიციური პროცესების რეგირული რეგულაციების საკითხები საქართველოში საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში“, გორი, 1997 წ.

თოდუა ნუგზარ შადღვას ძე, დ. 1964 წ. ქ. მარტვილში. დაამთავრა თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტი (1986). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი. იგი იყო თსუ ასისტენტი 1990 წლიდან, დოცენტი (1995-96), კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში (1994 წლიდან), ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრის გამგეა 2000 წლიდან, ხოლო 2002 წლიდან თსუ მარკეტინგის კათედრის გამგე. გამოქვეყნებულ შრომებში გამოკვლეული აქვს: საქონლისა და კონკრეტულ ნაწილობისა და საერთაშორისო მარკეტინგის პრობლემები.

თოდუა გრიგოლ სიმონის ძე, დ. 1928 წ. ჩოხატაურის რ-ნის ს. კობნარში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტი (1951). იყო თელავის სახ. პედაგოგიური ინ-ტის უფრ. მასწავლებელი, დოცენტი (1954-57). 1956-60 წწ. საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უმცრ.-უფრ. მეცნ. თანამშრომელი. სახელმწიფო პედინსტი-ის (ქ. თბილისი) დოცენტი, შემდეგ – პროფესორი (1960-69). თსუ პოლიტეკონომიის კათედრის პროფესორი (1971-88), ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1977-82), სახალხო მეურნეობის (ამჟამად საერთაშორისო ეკონომიკისა) და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე (1993 წლიდან). ძირითადი შრომები: „ეკონომიკურ კატეგორიათა დიალექტიკური კავშირურთიერთობის აქტუალური პრობლემები“, თბ., თსუ გამომც., 1979 წ. (რუს. ენაზე); „XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები“, ნაწ. I, თბ., თსუ გამომც., 1983 წ.; ნაწ. II, თბ., თსუ გამომც., 1987 წ.; „ა. სმიტი და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, თბ., ს.ს. „პირველი სტამბა“, 2000 წ.

თოთაძე ანზორ ბაგრატიის ძე, დ. 1939 წ. ქ. ზესტაფონში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1996). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეკონომიკის ფაკულტეტი (1963 წ.) იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმც. უფროსი მეცნ. თანამშრომელი (1966-77). საქ. კვ. ცკ-ის დექტორი (1997-87), ეროვნებათშორისი ურთიერთობების სექტორის გამგე (1988-90), საქ. მეცნ. აკადემიის დემოგრაფიისა და სოც. კვლევის ინ-ტის განკუთვნილი გამგე (1990-96). საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავრის მოადგილე (1996-1997), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავრე (1998 წლიდან). ძირითადი შრომები: „აფხაზეთის მოსახლეობა, ოსები საქართველოში“, თბ., „სამშობლო“, 1994 წ. (რუს. ენაზე). „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი“, თბ., „სამშობლო“, 1993 წ.; „საქართველოს მოსახლეობა მესამე ათასწლეულის მიჯნაზე“, თბ., 1994 წ.

თოფურია დანიელ არსენის ძე (1929-1996), დ. აბაშის რ-ნის ს. განათლების კარში (მაცხოვრისკარი). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1992). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1952). იყო საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის მეცნ.

თანამშრომელი (1964-70). 1970-78 წწ.: თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის (№2) უმასწავლებელი, დოცენტი. თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი (1986-92), პროფესორი (1992-96). საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტის კვების მრეწველობის განყების უფროსი (1978-86). ძირითადი შრომები: „ხილბოსტნეულის წარმოებისა და გადამამუშავების კომპლექსის ეფექტიანობა“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1997 წ.; „წარმოების ეფექტიანობის ეკონომიკური პრობლემები“, თბ., თსუ გამომც., 1978 წ.; „ინტეგრაცია, ინტენსიფიკაცია, ეფექტიანობა“, თბ., თსუ გამომც., 1988.

თოქმაზიშვილი მიხეილ დავითის ძე, დ. 1955 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1977). 1977-98 წწ. – საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უფრ. მეც. თანამშრომელი, განყ. გამგე-ჯ. პოპკინის უნ-ტის მკვლევარი (1994-2000). სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის პროფესორი, საქ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მაკროეკონომიკის განყების გამგე (1998 წლიდან). ძირითადი შრომები: „ეკონომიკური რეფორმები საქართველოში“, თბ., „კავკ. ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“, 1997 წ.; „შემოსავლების განაწილების თეორია; ისტორია და თანამედროვეობა“, თბ., პუბლიცარულ-ეკონომიკური ინ-ტის გამომც., 1995 წ.

იაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე (1900-1981), დ. ქუთაისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1948), პროფესორი. დაამთავრა თსუ აგრონომიული განყ-ბა (1925). 1938-81 წწ. – თსუ დოქტორი, დოცენტი, პროფესორი. მუშაობდა: საქ. ზოოვეტ-ინსტიტუტში (1936-47); საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (1939-57; 1939-45 წწ. ამავე ინ-ტის პრორექტორად). ძირითადი შრომები: „ტერიტორიის ორგანიზაცია“, თბ., საქ. მიწათმოქმ. კომისარიატის გამომც., 1934 წ.; „საქართველოს მიწის ფონდი“, თბ., თსუ გამომც., 1964 წ.; „მელიორაცია საქართველოში“, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1973 წ.

იოსელიანი კონსტანტინე ავთანდილის ძე (1944-2003), დ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი 1966 წელს. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედინსტიტუტში (1974-78) და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1978-91). იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე (1991-96), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1996-2003). ძირითადი შრომები: „ვაჭრობა და წარმოება მეურნეობრიობის ახალ პირობებში“, თბ., 1990 წ. (რუს. ენაზე); „სახელმწიფო ქონების პრივატიზება, გზა მონოპოლიზმიდან კონკურენციისაკენ“, თბ., 1997 წ. (რუს. ენაზე); „მარკეტინგი“, თბ., 2000 წ. (რუს. ენაზე).

ირემაძე ვალერიან ანდრეას ძე (1922-1982), დ. ცაგერის რ-ნის სოფ. უცხურში, ეკონ. მეცნ. დოქტორი (1979), პროფესორი. დაამთავრა ქუთაისის აღ წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1944წ.). მუშაობდა ამავე ინსტ-ის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ (1960-1974). პრორექტორად (1962-1972). ძირითადი შრომები: „ლითოფონის წარმოების და განვითარების ეკონომიკის საკითხები“, თბ., 1961 წ.; „ქიმიური მრეწველობის განვითარება საქართველოში“, თბ., 1978 წ. „მუშაობის ორგანიზაციის საკითხები“, თბ., 1940; „სოციალური მრეწველობის“ საბრუნავი საშუალებანი“, თბ., 1959; „საქართველოს სსრ ფინანსების განვითარების კანონზომიერებანი“, თბ., 1962 (რუს. ენაზე).

კაკულია მერაბ რევაზის ძე, დ. 1961 წ. ქ. მახარაძეში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002). 1983 წ., პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი. იყო საქ. სამრეწველო-სამშენებლო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი (1991-92). 1993 წლიდან



არის საქ. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. ძირითადი შრომები: „დოლარიზაცია საქართველოში: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები“, თბ., საქ. მეცნ. აკად., 2000 წ.; (თანაავტ.); „სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში“, თბ., ესპსკი-ის გამოცემა, 2001 წ.

კაკუღია რევაზ შაღვას ძე, დ. 1936 წ. აბაშის რ-ნის ს. ნორიოში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1959). 1966 წლიდან არის თსუ დექტორი, დოცენტი, პროფესორი. 1991 წლიდან იყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. საქ. კპ. ცკ-ის ინსტრუქტორი (1962-72), საქ. ფინანსთა (1972-79) და სოფლის მეურნეობის (1979-85) მინისტრის მოადგილე. ძირითადი შრომები: „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია“, თბ., „ესპსკი“, 2000 წ.; „ფინანსების ზოგადი თეორია“, თბ., „ესპსკი“ 2001 წ.; „საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები“, თბ., „ესპსკი“, 1995 წ.

კალანდია ბორის გიორგის ძე, დ. 1950 წ. ქ. ზუგდიდში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1987). დაამთავრა: თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1974); უცხო ენათა სახელმწიფო პედინსტიტუტის გერმანული ენის ფაკ-ტი (1982); 1977-91 წწ. იგი იყო თსუ პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. 1991-92 წწ. იყო საქ. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. ძირითადი შრომები: „მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენცია თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988 წ.; „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკა“, მოსკოვი, „მსოფლიო ეკონომიკისა და საერთ. ურთ. ინ-ტის გამოცემა“, 1986 წ. (რუსულ ენაზე); „უშუშვერობაზე დახმარების სოციალური ფონდი. ბურჟუაზიული პროპაგანდა და სინამდვილე“, თბ., თსუ გამოცემა, 1986 წ.

კანდელაკი თეიმურაზ ვლიზბარის ძე, დ. 1941 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1986). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატექნო-სამეურნეო ფაკ-ტი (1964). იგი იყო საქ. სასოფლო-სამეურნეო ს/კ ინ-ტის უმც. მეცნ. მუშაკი (1965-69), სექტორის უფროსი, დოცენტი (1975-83), კათედრის გამგე, პროფესორი (1983 წლიდან). 1970-74 წწ. საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი. 1997-2002 საქ. სატექნო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავრის მოადგილე. ძირითადი შრომები: „მერქნის შემცველი ადგილობრივი რესურსების სამრეწველო ათვისების პრობლემები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ. (რუსულ ენაზე); „სატექნო მეურნეობის წარმოების მართვის საფუძვლები“, თბ., სსი-ის გამოცემა, 1989 წ.; „მსოფლიოს ზომიერი და ბორიალური ტყის რესურსები (საქართველო)“, ნიუ-იორკი, ვენევა: „პაერო“, 2000 წ. (ინგლ. ენაზე).

კანდელაკი ევგრაფ იაკინთეს ძე, დ. 1917 წ. ამბროლაურის რ-ნის ს. ნიკორწმინდაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1950). მუშაობდა საქართველოს მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტში (1973-80), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტში. 1960 წლიდან მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინ-ტში (ტექნიკურ უნივერსიტეტში). ძირითადი შრომები: „შავი მეტალურგიის ეკონომიკური პრობლემები“, ორტომეული, თბ., 1967-1969 წწ. (რუსულ ენაზე); „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია უმაღლეს სკოლაში“, თბ., 1971-1997 წწ.

კარბელაშვილი ლუარსაბ ანდრიას ძე (1926-1973), დ. მცხეთის რ-ნის ს. მუხრანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1951), პროფესორი (1952). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1923). 1920-24 წწ. იგი იყო საქ. სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფრ. სტატისტიკოსი, განყ-ბის გამგე, 1924-28 წწ. - საქ. სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექციის წევრი - განყ-ბის გამგე. 1926-73 წწ. - თსუ დექტორი, დოცენტი, პროფესორი. ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის



გამგე (1957-63); 1944-46 წწ. - საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი, განყების გამგე. ძირითადი შრომები: „სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ისტორიისათვის საქართველოში“, თბ., 1947 წ.; „აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია“, თბ., 1950 წ.; „საქართველოს სსრ-ის ეკონომიკური გეოგრაფია“, თბ., 1960 წ და სხვ.

კახეთელიძე მიხეილ (ვახტანგ) კუხშას ძე (1912-1994), დ. ონის რ-ნის ს. სამთავროსში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1938). იგი იყო საქ. კ. ცკ-ის ლექტორი (1953-54). 1950-80 წწ. : საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, განყების გამგე; თსუ და საქ. პოლიტექნიკური ინ-ტის ლექტორი, დოცენტი, პროფესორი. ძირითადი შრომები: „მიწის რენტა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში“, თბ., „მეცნიერება“, 1975 წ.; „მიწის რენტის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა“, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1958 წ.; „საქართველოს სსრ მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები“, სამ ნაწილად, თბ., „მეცნიერება“, 1962-1973 წწ.

კაკელიძე მამულა ვიქტორის ძე (1925-1983), დ. ჩოხატაურის რ-ნის ს. იანუელში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1969). დაამთავრა სსრკ ეკონომიკურ-სტატისტიკური ინ-ტის თბილისის ფილიალი (1950). იგი იყო თსუ ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1960-63), დოცენტი. საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკური ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1951-60), საქ. კ. ცკ-ის რესპუბლიკური სკოლის კათედრის გამგის მოადგილე (1956-57), სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის განყების გამგე (1963-83). ძირითადი შრომები: „რესპუბლიკის დარგთაშორისი კავშირების ანალიზი“, თბ., „მეცნიერება“, 1968 წ.; „წარმოების მართვის თანამედროვე პრობლემები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1974 წ.; „მართვის მეთოდები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980 წ.

კვარაცხელია მურმან სარდიონის ძე, დ. 1952 წ. ოჩამჩირის რ-ნის სოფ. კოხარაში. ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (2003). დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (1973). 1977-83 წ.წ. – საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცრ.-უფრ. მეცნ. მუშაკი, 1983-85 წ.წ. – თსუ დოცენტი, 1986-93 წ.წ. – სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის (ქ. სოხუმი) დოცენტი, 1994-97წ.წ. – ვ. შეღაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რევიონული პრობლემების ს/კ ინ-ტის განყების გამგე. 1995-2000 წ.წ. – თსუ სოხუმის ფილიალის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის გამგე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი – ეკონომიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე. ძირითადი შრომები: „საქართველოს მრეწველობის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები“, თბ., „მეცნიერება“, 1985; „ილია ჭავჭავაძე საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ“, თბ., თსუ გამომც., 1998წ., „ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა“, თბ., გამომც. „თბილისი“, 2001 წ.

კიკნაველიძე ანდრო ივანეს ძე, დ. 1927 წ. ბაღდათის რ-ნის ს. კიკნაველეთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი. 1953 წ. დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრო-ეკონომიკური ფაკ-ტი. იგი იყო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საქავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის განყების გამგე (1954-60), საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ს/კ ინ-ტის განყის გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1960-73). საქ. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის განყების გამგე (1963-66), საქ. აგრარული უნივერსიტეტის კათედრის



გამგე (1981 წლიდან). საქ. სახელმწიფო საგვგმო კომიტეტის თაერის პირველი მოადგილე (1973-81). საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყბის აკადემიკოს-მდივანი (1990-97). ძირითადი შრომები: „შრომის ორგანიზაცია და ანახლარება მეჩაიეობის კოლმეურნეობებში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“ 1958 წ.; „საკოლმეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები საქართველოში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1971 წ.

კოლეა იოსებ ივანეს ძე (1902-1978), დ. ხობის რ-ნის სოფ. ქველონში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1965). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკ-ტი (1930). იყო სპი პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი (1934-45), მარქსიზმ-ლენინიზმის ინ-ტის საქართველოს ფილიალის უფრ. მეცნ.-მუშაკი (1945-46), 1947-78 წწ. – თსუ დოცენტი, პროფესორი. ძირითადი შრომები: „საბჭოთა საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა“, თბ., თსუ გამომც., 1961. „შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტურობა კომუნისტური შშენებლობის პერიოდში“, თბ., „ცოდნა“, 1969.

კობახიძე ნიკოლოზ ლუკას ძე (1907-1987), დ. ამბროლაურის რ-ნის სოფ. ახალსოფელში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი. დაამთავრა საქ. სოფელმეურნეობის ინ-ტის ზოოტექნიკური ფაკ-ტი (1934). იყო ამავე ინ-ტის ასისტენტი (1939), დოცენტი (1944-46), სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე (1946-87). გამოქვეყნებულ შრომებში გამოკვლეული აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის და დარაიონების საკითხები.

კოუზანაძე ირაკლი კარლოს ძე, დ. 1962 წ. ქ. ქუთაისში. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის და ეკონომიკის ფაკულტეტები (1984;1995). იყო თსუ გამოთვლითი მათემატიკის კათედრის უფროსი ლაბორანტი (1988-90), უფროსი მასწავლებელი (1990-91), დოცენტი (1992 წლიდან). ფინანსებსა და კრედიტის კათედრის პროფესორი (2004), 1998-2003 ს.ს. „გაერთიანებული ქართული ბანკის“ გენერალური დირექტორი. ძირითადი შრომა: „საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“, თბ., თსუ გამომც., 2002 წ.

კოლეაშვილი პაატა პეტრეს ძე, დ. 1956 წ. ქ. ქუთაისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2003 წ.); დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1978 წ.). იგი იყო ნიადაგმცოდნეობის, აგრონომიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1978-83 წ.წ.). საქ. სახ. აგარული უნ-ტის დოცენტი (1999-2003 წ.წ.), პროფესორი (2003 წლიდან), „საქსახაგრომრეწვის“ განყოფილების უფროსი (1983-90 წ.წ.). საქ. უსენავსი საბჭოს დეპუტატი (1990-91 წწ.), 1992 წ. – საქ. მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმების სახელმწიფო კომიტეტის თამეჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე – ვიცე-პრემიერი. 1992-95 წ.წ. – საქ. პარლამენტის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თამეჯდომარის მოადგილე 1996 წლიდან მუშაობს საქ. სახელმწიფო კანცელარიაში მთავარ სახელმწიფო მრჩეველად აგარული რეფორმის საკითხებში, ძირითადი შრომები: 1. „აგარული რეფორმა, შედეგები და პერსპექტივები“, თბ., აგარული უნ-ტის გამომცემლობა, 1998 წ., 2. „სასურსათო პრობლემებიდან სასურსათო უშიშროებამდე“ (თანავეტ.), თბ., გამომც. „მერანი“, 1999 წ.

კრიჭინაშვილი რევაზ იოსების ძე, (1933-2003), დ. გარდაბნის რ-ნის სოფ. საცხენისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1956). იყო ცუკავშირის გამგეობის თამეჯდომარის მოადგილე (1973-87). თსუ დოცენტი (1968-91), პროფესორი (1992-2003). ძირითადი შრომები: „ბაზარტმცოდნეობის საკითხები“, თბ., თსუ გამომც., 1992 წ.; „საქართველო საერთაშორისო ბიზნესურ სივრცეში“, თბ., თსუ გამომც., 1998 წ.

კუნტულია თამაზ ვასილის ძე, დ. 1935 წ. ღანჩხუთის რ-ნის სოფ. ლესაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1959). მუშაობდა: საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკისა და სამართლის ს/კ ინ-ტში (1959-63), სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტში (1963-65), სოფლის მეურნეობის საქ. კ. დაღანხუთისა და მახარაძის რაიონების რაიკომის პირველი მდივანი (1981-90), საქ. სახ. აგროსამრეწველო კომიტეტის თავრის მოადგილე (1990-91), საქ. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე (1994-96). მუშაობს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინ-ტში. ძირითადი შრომები: „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების გამოცდილება“, თბ., საქ. კ. ცკ-ის გამომც., 1981 წ. (თანაავტ.); „საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები“, თბ., „მეცნიერება“, 1997 წ.; „საბაზრო ურთიერთობებისადმი შეჩაივობის ადაპტირების ძირითადი მიმართულებები“, თბ., სოფლის მეურნ. მეც. აკად., 1999 წ. (თანაავტ.).

კუპრეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე (1906-1981), დ. ქ. კასპში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967). დაამთავრა სოხუმის სუბტროპიკული ინ-ტის სუბტროპიკული ფაკ-ტი (1925). იყო საქ. სას-სამეურნეო ინ-ტის ასისტენტი (1939-41; 1946-49), დოცენტი (1949-69), პროფესორ-კონსულტანტი (1979-81). ძირითადი შრომები: „საბჭოთა მეურნეობის როლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობაში“, თბ., სას-სამ. ინსტ. გამომც. 1959 წ.; „სოციალური ცვლილებანი სოფლად (ზუგდიდის მაგალითზე)“, თბ., „განათლება“, 1949 წ.

კურატაშვილი ალფრედ ანზორის ძე, დ. 1941 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1962). იყო 1972-91 წ.წ. – თბილისის სახ. კონსერვატორიის უფრ. მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, საზოგად. მეცნ. კათედრის გამგე (1986-91). საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი (1991-92), განყ-ბის გამგე (1992 წლიდან). ძირითადი შრომები: „ცენტრალიზებული გეგმა და სამეურნეო ანგარიში ეკონომიკური თეორიისა და სამეურნეო პრაქტიკის საკითხები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1976 წ. (რუსულ ენაზე); „სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორია“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1982 წ. (რუსულ ენაზე); „სამეურნეო ანგარიში საზოგადოებრივ კვებაში“, მოსკოვი, „ეკონომიკა“, 1976 წ. (რუსულ ენაზე).

კუჭუხიძე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, დ. 1922 წ. აბაშის რ-ნის სოფ. ნაესაკოვოში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი. დაამთავრა ქ. თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინ-ტის საქსპლოატაციო ფაკ-ტი (1948). მუშაობდა: საქ. პოლიტექნიკურ ინ-ტში (1965-70). იყო თსუ (1968 წლიდან). საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, დეკანი. 1991 წლიდან არის პუბლიცისტურ-ეკონომიკური ინ-ტის (კერძო) რექტორი. ძირითადი შრომები: „ნარკვევები დღემდე განუხორციელებელი ტრანსკაპკასიის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე“, თბ., 2001 წ.; „პოსტსაბჭოური საქართველოს პოლიტიკური ასპექტები“, თბ., 2001 წ.

ლაჭყევიანი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1897-1982). დ. ქ. ქუთაისში. დაამთავრა ქ. მოსკოვის გ. პლეხანოვის სახ. სახალხო მეურნეობის ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1919). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1960). 1930-82 წ.წ. იყო საქ. სსრ სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის დოცენტი, პროფესორი (1960 წლიდან), ეკონომიკის ფაკ-ის დეკანი (1934-39; 1961-70), სტატისტიკის და ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის გამგე (1961-82). ძირითადი შრომები: „სასოფლო-სამეურნეო



სტატისტიკის პრაქტიკუმი", თბ., „საბჭოთა საქართველო", 1959 წ.; „სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და გააღვივლება აღმოსავლეთ საქართველოში", თბ., „საბჭოთა საქართველო", 1960 წ.; „ვარიაციის მანევრებლები. კორელაციური და დისპერსიული ანალიზის საფუძვლები", თბ., სახ-სამ. ინსტ. გამომც., 1972 წ.

ღებანიძე ვლადიმერ დიმიტრის ძე (1913-1987), დ. ონის რ-ნის სოფ. კვაშხიეთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1971), პროფესორი (1971). სხვადასხვა დროს მუშაობდა: ქ. რუსთავის საფინანსო განყოფილების გამგედ, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს უფროსად, ქუთაისის ოლქის საფინანსო განყოფილების გამგედ, საკავშირო დაუსწრებელი ინ-ტის თბილისის ფილიალის დირექტორად. 1956 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თსუ-ში – 1970-76 წწ. იყო ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, შემდეგ დეკანი. ძირითადი შრომები: „სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი", თბ., თსუ გამომც., 1972 წ.; „წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფინანსური ბერკეტები, თბ., „საბჭოთა საქართველო", 1979 წ.; „სამეურნეო ანგარიში მართვის სისტემაში", თბ., თსუ გამომც., 1981 წ.

ღვიაშვილი პაატა რობერტის ძე, დ. 1954 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი. დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ.ტი (1977). იყო სსრკ შრომისა და სოციალური საკითხების კომიტეტთან არსებული შრომის სამეცნიერო კვლევითი ინ-ტის საქართველოს ფილიალის უმცრ.-უფროსი მეცნ.-თანამშრომელი (1982-99), 1999 წლიდან თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორია. ძირითადი შრომები: „ეკონომიკური ფასეულობის ანალიზი", მოსკოვი, 1990 წ. (რუსულ ენაზე); „ფასეულობა როგორც აქსიოლოგიის კატეგორია", თბ., თსუ გამომც., 1990 წ.

ღვინოჯავა პარმენ ბეგის ძე, დ. 1936 წ. გაღის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში, ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1960 წ.). იყო 1972-1978 წწ. – საქართველოს პოლიტექნიკური ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, 1987 წლიდან თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, შემდეგ პროფესორი. 1967-72 წწ. საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი. ძირითადი შრომები: „ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემები", თბ., თსუ გამომც., 1987 წ.; „ბუნების გამოყენების ეკონომიკა", თბ., თსუ გამომც., 1993 წ.; „ეკონომიკური განვითარების პრობლემები", თბ., თსუ გამომც., 2002 წ.

ღიპარტია ზურაბ შალვას ძე, დ. 1947 წ. დ. ზუგდიდის რ-ნის სოფ. რუსში. 1972 წელს დაამთავრა ქ. ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი (1999). მუშაობდა: ქ. ლენინგრადის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფილიალის ინსტიტუტში (1972-78); მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტში (1987-89). 1989 წლიდან თსუ სოხუმის ფილიალის პროფესორია. ძირითადი შრომები: „ოჯარული ურთიერთობების სრულყოფა აგრარულ სექტორში", თბ., 1990 წ.; „აგროსამრეწველო კომპლექსში მეწარმეობის მართვა", თბ., საქ. აგრ. უნ-ტის გამომც., 1997 წ.; „სტრატეგიული დაგეგმვა: პრობლემები, მეთოდები, პერსპექტივები", თბ., თსუ გამომც., 1998 წ.

ღობჯანიძე თევდორე დომენტის ძე (1906-1975), დ. ონის რ-ნის სოფ. ღებში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1966), პროფესორი. დაამთავრა ამიერკავკასიის 26 ბაქოელი კომისარის სახ. კომუნისტური უნივერსიტეტი (1933), იყო თსუ პოლიტეკონომიის კათედრის დეკტორი (1949 წლიდან), დოცენტი (1966 წლიდან), პროფესორი (1969 წლიდან). ძირითადი შრომები: „შრომის მიხედვით განაწილება

და მატერიალური დაინტერესება კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966 წ.; „რეალიზაციის თეორიის ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის ადრინდელ შრომებში“, თბ., თსუ გამომც., 1957 წ.; „გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაბლევის პრობლემები სსრ კავშირში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1959 წ.

ლორთქიფანიძე ვაჟა გიორგის ძე, დ. 1949 წ. ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი. დაამთავრა: თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკ-ტი (1973); მოსკოვის საზოგ. მეცნ. აკადემია (1940). იყო 1972-73 წწ. – თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტის უფრ. ლაბორანტი, მეცნ.-მუშაკი. თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1973-76). 1976-88 წწ. – საქ. ალკა ცკ-ის განყ-ბის გამგე, მდივანი, მეორე მდივანი. პირველი მდივანი. საქ. კ თბილისის კალინინის რაიკომის I მდივანი (1986-88). საქ. კ ცკ-ის განყ-ბის გამგე (1988-90). საქ. მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე (1990). საქ. ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრის პირველი მოადგილე (1990-91). საქ. მეცნ. აკად. დემოგრაფიის ინ-ტის უფრ. მეცნ. მუშაკი (1991-95 წწ.). საქ. სახ. საბჭოს მთ. მრჩეველი (1992). საქ. სსრ სახ. მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი (1992-95). საქ. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში (1995-98). საქ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1983-90 წწ.); საქ. პარლამენტის წევრი (1993. 1995-99). 2002-2004 წ.წ. საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქციის თავ-რე. 1994 წლიდან – თსუ დოცენტი, სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დემოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი. სამეცნიერო შრომებში გამოკვლეული აქვს სამცხე-ჯავახეთის, ისტორიული მესხეთის, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების დემოგრაფიული პროცესები.

მალაშხია გიორგი მამანტის ძე, დ. 1934 წ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ნაკიფში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1957). სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა: ეკონომიკისა და დაგეგმვის სკ ინ-ტში (1964 წლიდან), თსუ-ში (1966 წლიდან შეთავსებით). საქ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975). ძირითადი შრომები: „ავტომატიზაცია და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984 წ.; „მეტაეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია“, თბ., „ესპსიკი“, 1995 წ.; „ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები“, თბ., „ეგრისი“, 2001 წ.

მალუძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1929-1988). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1967), პროფესორი (1952). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი. (1952). მუშაობდა: თელავის რ-ნის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივნად (1952-54 წწ.), პირველ მდივნად (1954-55 წწ.), თელავის რაიკომის მდივნად (1955-58 წწ.). იყო თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, გამგე, რექტორი (1985-88). ძირითადი შრომები: „საქართველოს სსრ თელავის რაიონის კოლმეურნეობათა მევენახეობის ეკონომიკის საკითხები“, თბ., 1959 წ.; „საქართველოს სსრ მევენახეობისა და მეღვინეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები“, თბ., 1967 წ.; „მევენახეობა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები“, თბ., 1967 წ. (თანავტ.).

მანგელიძე რევაზ ისმაილის ძე, დ. 1954 წ. ქ. ქუდაში (ჯალაბაშვილები). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკ-ტი (1975). იყო საქ. მიწათმოქმედების სკ ინ-ტის უმცრ. მეცნ.-მუშაკი (1975-79), სუბტროპიკული ხილის შენახვისა და გადამუშავების სკ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1982-86). ბათუმის სახელმწიფო უნ-ტის დოცენტი (2000 წლიდან). პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის განყ. გამგე (1986-91). ქედის რ-ნის გამგეობის თავ-რე (1993-



96). აჭარის ავტ. რესპ-ბის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების განმკ-ბის გამგე (1993), კომისიის თავ-რე (1996-2001). ძირითადი შრომები: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, ბათუმი, „აჭარა“, 1997 წ. ; „აგრარული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“, ბათუმი, „აჭარა“, 2002 წ.

მარშავა ქეთევან მაზიას ას, დ. 1952 წ. ქ. ვალში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1992). დაამთავრა: ქ. მოსკოვის კვების შრეწველობის ინ-ტი (1973), უბანის სახელმწიფო უნ-ტი (1982). 1992 წლიდან არის თსუ სტატისტიკის კათედრის პროფესორი. ძირითადი შრომები: „საქართველოს რეგიონის ქსოვილების საქონლის ბაზარი და მისი განვითარების პერსპექტივები“, თბ., თსუ გამომც., 1989 წ.; „ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელირების მეთოდები“, მოსკოვი, საფ. ინ-ტის გამომც. (რუსულ ენაზე); „მარკეტინგის საფუძვლები“, თბ., თსუ გამომც., 1990 წ.

მარშანია ლორიკ ბესარიონის ძე, დ. 1932 წ. ქ. ოჩამჩირეში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1988), დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკური ინ-ტი (1957). 1957-59 წწ. – მუშაობდა აფხაზეთის არ-ის სახ. საგვემო კომიტეტში. იყო საქ. მეცნ. აკად-თან არსებული დ. გულიას სახ. ინ-ტის მეცნ. მუშაკი (1963-64). 1964-72 წწ. – საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის დოცენტი, პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში. აფხაზეთის არ-ის მინისტრთა საბჭოს თავრის პირველი მოადგილე (1973-78; 1992-2002). აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი (1978-80). საქ. კპ ცკ-ის განკ-ბის გამგის მოადგილე (1980-85). საქ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის რექტორი (1985-91). ამჟამად არის საქ. პრეზიდენტის თანაშემწე, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასალის პირველი ხარისხის ორდენით (1997). არჩეული იყო აფხაზეთის არ-ისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, არის საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გიორგი შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ღაურეატი (1996) ძირითადი შრომები: „ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების გზები საქართველოს სოფლის მეურნეობაში“, თბ., 1986 წ. (რუსულ ენაზე). „მეჩაიეობის ეკონომიკა“, სოხუმი, „აღაშარა“ (რუსულ ენაზე); „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა“, თბ., 1998 წ. (რუსულ ენაზე); „აფხაზეთის არ აგროსამრეწველო კომპლექსის ადორმინებისა და განვითარების პერსპექტივები“, თბ., 2003.

მაქსოვეი მიხეილ შავარშის ძე (1930-2002), დ. ქ. თბილისში. დაამთავრა სპი (1961). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1986). მუშაობდა: საქ. სსრ სახ. საგვემო კომიტეტში; თსუ-ში დოცენტად, სოფლის მეურნეობისა და შრომის კათედრის პროფესორად (1970-2002). ძირითადი შრომები: „სამრეწველო წარმოების ეფექტიანობა“, თბ., თსუ გამომც., 1980 წ. (რუსულ ენაზე); „სასოფაღობრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი გაზომვის საკითხები“, თბ., თსუ გამომც., 1984 წ. (რუსულ ენაზე); „მეწარმეობისა და ბიზნესის საფუძვლები საქართველოში“, თბ., 1997 წ.

მახარაძე აკაკი ვენადის ძე (1922-1994), დ. ვანის რ-ნის სოფ. ქვედა ციხესულორში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1948). იგი იყო თბილისის სახ. ზოოვეტ. ინსტიტუტის უფრ. მასწავლებელი (1953-54); თბილისის სახ. კონსერვატორიის ლექტორი (1956); საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის დოცენტი (1962), პროფესორი, ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანი (1972-79), პოლიტეკონომის კათედრის გამგე (1974-80); ა. ლუშინის სახ. პედაგოგ-ის პოლიტეკონომის კათედრის გამგე (1980-1994). ძირითადი

შრომები: „სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი კოლმურნეობებში“, თბ., 1974; „მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984 წ.; „სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი სოციალიზმის დროს. ღირებულების კანონი“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.

მახარაძე ჯემალ ილიას ძე, დ. 1935 წ. ჩოხატაურის რ-ნის სოფ. ბომლეთში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1998). დაამთავრა საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკტი (1959). იგი იყო საქ. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და ორგანიზაციის (შემდგომ აგრესამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის ს/კ ინ-ტის უმცრ. მეცნ. თანამშრომელი (1959-64), განუბის გამგე (1970-88), დირექტორის მოადგილე სამეცნ. ნაწილში (2000 წლიდან). სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის უფრ. ინჟინერ-ეკონომისტი, შემდგე უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1964-66). ამჟამად მუშაობს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესორად. ძირითადი შრომები: „დაშრობითი მედიორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები – სასურსათო პროგრამის გადაწყვეტის დიდი რეზერვი“, თბ., „ცოდნა“, 1984 წ.

მალრაძე გიორთაზ ვახტანგის ძე, დ. 1942 წ. ხარაგაულის რ-ნის სოფ. ლელვანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკტი (1969). იგი იყო თსუ ასისტენტი (1972-79), დოცენტი (1980-94). 1994 წლიდან ეკონ. ინფორმაციის კათედრის გამგე, პროფესორი (2001 წლიდან). ძირითადი შრომა: „სოციალური ეკონომიკური პროცესების ინფორმაციზაცია“, თბ., „ქრონოგრაფი“, 2000 წ.

მეგრელი შვილი გაბრიელ ივანეს ძე (1906-1978), დ. ოზურგეთის მაზრის (ახლანდელი ჩოხატაურის რ-ნის) ს. ზემო ფარცხმაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1962), პროფესორი (1964). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1930). იგი იყო თსუ პოლიტეკონომიის კათედრის პროფესორი (1968-78). საქ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1940-45). სსრკ მეცნ. აკად. ქ. მოსკოვის ეკონომიკის ინ-ტის ასპირანტურის განუბის გამგე (1945-56). ძირითადი შრომები: „კაპიტალი, ზედმეტი ღირებულება და ხელფასი კაპიტალიზმის დროს“, თბ., 1964 წ.; „XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი“, თბ., 1959 (რუს. ენაზე); „ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბ., 1960 წ.

მელქაძე ვალერიან ირაკლის ძე (1912-1981), დ. სამტრედიის რ-ნის სოფ. ჩხენიშში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი (1977). საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1979). საქ. სსრ სახელმწიფო პრემიის ღაურვატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკტი (1937). 1946-48 წწ.-ში მუშაობდა საქ. მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტში. იგი იყო თსუ ლექტორი (1946-48), ეკონომიკის ფაკტის დეკანი-დოცენტი (1960-63), სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დეგეგმვისა და მართვის ს/კ ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (1963-81), ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი (1951-52), საქ. კპ ცკ-ის მდივანი, განუბის გამგე (1952-53). საქ. კპ ცკ-ის პარტიული სკოლის დირექტორი (1955-58). საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი (1958-60). ძირითადი შრომები: „ეკონომიკური კრიზისები კაპიტალიზმის განუყრელი თანამგზავრია“, თბ., „პოლიტ. და სამეცნ. ცოდნის გამავრც. საზ-ბა“, 1957 წ.; „კანონზომიერებები საქართველოს სსრ ეროვნული შემოსავლის წარმოებაში“, თბ., 1974 წ. (რუსულ ენაზე); „საქართველოს ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კომპლექსური პროგრამა“, თბ., 1975 წ.; „საქართველოს სსრ საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის

რეგიონალური სტრუქტურა“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ.

მენაბდიშვილი ელგუჯა სოლომონის ძე, დ. 1937 წ. ქ. კასპში. დაამთავრა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1962). ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000). იგი იყო საქ. სახ.-სამეურნეო ინ-ტის ფილოსოფიის კათედრის გამგე (1964-68); საქ. მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინ-ტის უმცრ. მეცნ. თანამშრომელი (1969-82), სახ. მეცნ. სექტორის ლაბორატორიის გამგე (1982-91), 1991 წლიდან არის დემოგრაფიისა და სოც. კვლ. ინ-ტის განყ. გამგე. ძირითადი შრომები: „ეროვნული ურთიერთობები შრომით კოლექტივებში“, თბ., „მეცნიერება“, 1980 წ.; „სახელგაზრდობის სოციალურ და კულტურულ ღირებულებათა ფორმირების საკითხები“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.; „სოფლის მეშაქის კულტურა“, თბ., „მეცნიერება“, 1988 წ.

მეხსია იაკობი (იაშა) ვენატეს ძე, დ. 1946 წ. წალენჯიხის რ-ნის სოფ. ობუჯში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1983). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1967). 1972-85 წწ. იგი იყო საქ. სსრ სახ. საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის ს/კ ინ-ტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე, განყ. გამგე. 1986-90 წწ. – სსრკ სტატისტიკის სახ. კომიტეტის აღრიცხვისა და სტატისტიკის დარგთაშორისი ინ-ტის საქ. ფილიალის დირექტორი. საქ. რესპ. კადრების კვალიფიკაციის ამღლები და გადამზადების ეკონომიკის ინ-ტის რექტორი (1991). საქ. რესპ. ეკონომიკისა და ფინანსთა სამ-თან არსებული ეკონომიკისა და ფინანსების ს/კ ინ-ტის დირექტორი (1992). საქ. ფინანსთა სამინისტროსა და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახ. კომიტეტთან არსებული ფინანსებისა და სტატისტიკის ინ-ტის დირექტორი (1993-96). 1996 წლიდან არის საქ. ფინანსთა სამ-თან არსებული ფინანსების ს/კ ინ-ტის დირექტორი. ძირითადი შრომები: „რევიონული ეკონომიკური პროგნოზირების საკითხები“, მოსკოვი, „ნაუკა“, 1983 წ. (რუს. ენაზე); „მაკროეკონომიკური პროგნოზირების თეორია და პრაქტიკა“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ. (რუს. ენაზე); „ეკონომიკური რეფორმა საქართველოში“, თბ., თსუ გამომც., 1996 წ.

მენთეშაშვილი ფარნაოზ იაკობის ძე (1918-1995). დ. თბილისში. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1936). ეკონ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი 1950-95 წწ. იგი იყო თსუ დოცენტი, პროფესორი, აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის კათედრის გამგე (1974-92). ძირითადი შრომები: „სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა საქმიანობიანობის ეკონომიკური ანალიზი“, თბ., 1984 წ.; „სიახლენი მოგებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზში“, თბ., 1994 წ.

მეკვაბიშვილი ელგუჯა გიორგის ძე, დ. 1956 წ. ლანჩხუთის რ-ნის სოფ. მამათში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (1999). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1978). იგი იყო საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის მეცნიერ-მუშაკი (1978-88). თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, დეკანის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში (1990-92), დეკანი (1992 წლიდან); 1999 წლიდან არის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პროფესორი. საქ. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ძირითადი შრომები: „საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები“, თბ., თსუ გამომც., 1990 წ.; „ეკონომიკური ცოდნის საწყისები“, თბ., თსუ გამომც., 1992 წ. (თანაავტ.); „სახელმწიფო და ეკონომიკა“, თბ., თსუ გამომც., 1995 წ.

მიროტაძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1929-1992), დ. ჭიათურის რ-ნის სოფ. წირქვალში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1977). იგი იყო საქ. სსრ სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის უფრ. მასწავლებელი (1961 წლიდან), დოცენტი (1965 წლიდან),



პროფესორი (1978 წლიდან), კათედრის გამგე (1979-1991). ძირითადი შრომები: „წარმოების მართვის სტრუქტურა და ტიპები“, თბ., „სას. სამ. ინსტ. გამომც.“, 1982 წ.; „სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საფუძვლები“, თბ., „განათლება“, 1984 წ.

მიქელაძე ირაკლი სოლომონის ძე (1902-1986), დ. ქ. ერევანში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1961), პროფესორი (1963), საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1969). საქ. სახ. პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1972). დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკ-ტი (1925). 1935-86 წ.წ. იგი იყო თსუ დექტორი, დოცენტი, პროფესორი, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრის გამგე (1937-77 წ.წ.), ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანი (1954-56). 1960-68 წ.წ. – საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრი. ძირითადი შრომები: „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, თბ., თსუ გამომც., 1968 წ.; „საქართველოს სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება“, მოსკოვი, „ეკონომიკა“, 1964 წ. (რუსულ ენაზე); „საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“, თბ., „თსუ გამომც.“, 1977 წ.; „ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები“, თბ., 1980 წ.

მუჯირი იესიხ პორფილეს ძე (1911-1983), დ. ოზურგეთის რ-ნის სოფ. ბოხვაურში. ტექნ. მეცნ. დოქტორი (1972), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1936). იგი იყო თსუ დოცენტი (1950-64), სსრკ მანქანათმშ. სამინისტროსთან არსებული მანქანათმშენებლობის ს/კ ინ-ტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნ. მუშაკი (1964-66), თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი (1972-74), თსუ სამრეწველო საქონელმცოდნეობისა და ტექნოლოგიის კათედრის გამგე (1974-83). ბორჯომის რაიკომის მდივანი (1944-47). ძირითადი შრომები: „სინთეზური მასალების გამოყენება ქიმიური ბოჭკოვანი ქსოვილების დამუშავებაში“, თბ., თსუ გამომც., 1960 წ.; „მასალათმცოდნეობა“, თბ., თსუ გამომც., 1965 წ.; „ტუნგოს კულტურა და მისი ნაყოფის კომპლექსური გამოყენება“, თბ., თსუ გამომც., 1972 წ. (რუსულ ენაზე).

მშივილაძე გიორგი ვაღერიანის ძე, დ. 1927 წ. ბაღდათის რ-ნის სოფ. ობაში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1949). იგი იყო თსუ ასისტენტი (1949-53), საქ. კპ ცკ-ის ინსტრუქტორი, სექტორის გამგე (1956-59), საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის წამყვანი მეცნ. მუშაკი (1959-61). თსუ პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი, პროფესორი, გამგე (1981-87), ამჟამად არის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი. ძირითადი შრომები: „ძირითადი ფონდების კვლავწარმოების საკითხები მრეწველობაში“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980 წ.; „ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოში“, თბ., თსუ გამომც., 1986 წ.; „საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემები“, თბ., „განათლება“, 1990 წ.

საქართველოში აგრობიზნესის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას მისი III სფეროს – მარკეტინგული სამსახურის განვითარებლობა წარმოადგენს. მარკეტინგული სფერო არაერთგვაროვანია არა მარტო შემადგენლობისა და ფუნქციების, არამედ საბაზრო სტრუქტურების თვალსაზრისითაც.

3. ხარაიშვილი, ბ. მუტიანიშვილი

სასურსათო ბაზრის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

საქართველოში აგრობიზნესის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას მისი III სფეროს – მარკეტინგული სამსახურის განვითარებლობა წარმოადგენს. მარკეტინგული სფერო არაერთგვაროვანია არა მარტო შემადგენლობისა და ფუნქციების, არამედ საბაზრო სტრუქტურების თვალსაზრისითაც.

მარკეტინგულ სფეროში ბაზრის ოთხი ტიპი გამოიყოფა: 1. სასურსათო საქონლის სანედლეულო ბაზარი. ბაზრის ეს ტიპი ძირითადად ისეთი პროდუქციისათვის, როგორცაა ფქვილბურღულეულის, შაქრის და სხვათა წარმოება. მისი დამახასიათებელი ნიშანია პროდუქციის შედარებით ერთგვაროვნება, სტანდარტიზაცია, საქონლის მსხვილი პარტიებით რეალიზაცია.

2. სასურსათო საქონლის ბაზარი პროდუქციის გადაამუშავების მაღალი დონით (თამბაქო და საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვები, მოხმარებისათვის საჭირო შხა პროდუქტების ფართო სპექტრი). ამ სახის ბაზარზე აუცილებელია პროდუქტებისათვის განმასხვავებელი ნიშნების მიცემა და ანალოგიური სამომხმარებლო თვისებების საქონელთა ჯგუფებიდან მათი განცალკევება. კონკურენტული ბრძოლის ძირითად იარაღს წარმოადგენს რეკლამა და საქონლის მიწოდებისა და გასაღების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში ბაზარი ჩვეულებრივ ოლიგოპოლიურია მაკლადიფერენცირებული პროდუქციით.

ცხადია, ასეთ ბაზარზე შესვლის ბარიერი ძალიან დიდია: აქ განსაკუთრებული ძალით მოქმედებს მასშტაბის ეფექტი და პატენტი გამოყენებულ ტექნოლოგიებზე. თუმცა მთავარ ბარიერად მაინც მასობრივი რეკლამა ითვლება. ზოგჯერ დანახარჯები რეკლამაზე საქონლის ღირებულების 20%-ს შეადგენს. გაჯერებული ბაზრის პირობებში საქონლის რეალიზაცია გაძნელებულია, თუნდაც ახალ საქონელს რეალური უპირატესობები გააჩნდეს ბაზარზე გაბატონებულ საქონელთან შედარებით. გამოსავალი ამ შემთხვევაში ის არის, რომ რეკლამის სფეროში ადგილის მოსაპოვებლად გამოინახოს დამატებითი სახსრები.

3. მარკეტინგული სფეროს მესამე ქვეჯგუფია შედარებით ერთგვაროვანი პროდუქცია გადაამუშავების დაბალი დონით: ხორცის ნახევარფაბრიკატები, ახალი ხორცი, რძე და რძის პროდუქცია. საქონლის გადაამუშავების დონესა და მის ასორტიმენტს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. რაც უფრო დაბალია პროდუქციის გადაამუშავების ხარისხი, მით მცირეა მისი ასორტიმენტისა და ინტენსიური რეკლამის შესაძლებლობები. ამ საბაზრო ჯგუფში შესვლის



ბარიერი შედარებით ნაკლებია და ფასწარმოქმნა კონკურენციის საფუძველზე ხორციელდება.

4. სასურსათო სერვისის ბაზარი. ბაზრის აღნიშნული ტიპი განვითარებულ ქვეყნებში ბოლო 10 წელიწადში განვითარდა. იგი მოიცავს საზოგადოებრივი კვების ყველა ტიპს.

სასურსათო ბაზარი დაიყოფა დონეების მიხედვითაც. ბაზარი შეიძლება იყოს ლოკალური (პურპროდუქტებისათვის, ახალი რძისა და რძის პროდუქტებისათვის); რეგიონური (ხორცის პროდუქტებისათვის, ბოსტნეულისა და ხილისათვის). სურსათის მალეფუჭებადი ხასიათი განსაზღვრავს ბაზრის საზღვრებს, ხოლო სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებები და საცავეები აფართოებს მას. ბაზრის დონის გათვალისწინება საჭიროა ფერმერულ მეურნეობათა ქცევის პროგნოზირებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული აგრობიზნესის პირობებში სასურსათო ბაზარი ესაა მონოპოლიური კონკურენციის ბაზარი ფირმების შედარებით მრავალრიცხოვნობით და პროდუქციის მაღალი დიფერენციაციით. სასურსათო ბაზარზე ფასისმიერ კონკურენციასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაფასისმიერ კონკურენციასაც ისეთი კლასიკური ატრიბუტებით, როგორცაა მასობრივი რეკლამა, პროდუქტების დიფერენციაცია და გაუმჯობესებული სერვისი. სოფლის მეურნეობისა და მარკეტინგული სფეროს განსხვავებული სტრუქტურები იწვევს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაღალკონკურენტუნარიანი მიწოდების დაპირისპირებას მოთხოვნაზე, რომელიც რამდენადმე მონოპოლიზებულია დარგებისა და ბაზრის მასშტაბების მიხედვით.

საქართველოში სასურსათო საქონლის რეალიზაციაში მაღალი ხვედრითი წონა უჭირავს ხორცს და ფრინველს, კარაქს, კვერცხს, ფქვილს, პურს, ფუნთუშეულს, კარტოფილს, ბოსტნეულს, ლიქიორ-არყის ნაწარმს, ყურძნისა და ხილ-კენკრის ღვინოებს.

საინტერესოა აღკოპოლიანი სასმელების რეალიზაციის სტრუქტურა, სადაც წლების მანძილზე მაღალია ლიქიორ-არყის ნაწარმის წილი - საშუალოდ 31,1% და ყურძნისა და ხილ-კენკრის ღვინოებისა - 29,7%. დასახელებული პროდუქციის წარმოებაში მცირე ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი კონიაკი - 10%, ასევე ღული და შამპანური - 14,6% და 14,3%. ბოლო პერიოდში მეტად უთანაბროდ ხდებოდა ყურძნისა და ხილ-კენკრის ღვინოების რეალიზაცია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ გაზრდილია ყველა სახის აღკოპოლიანი სასმელის რეალიზაცია, პროდუქციის სახეების მიხედვით ზრდა 9,9%-დან 39,9%-მდე მერყეობს. რეალიზაციის საერთო მოცულობის მიხედვით, ამ სახის სურსათზე შეიმჩნევა მუდმივი ზრდის ტენდენცია. საინტერესო სურათს იძლევა ლიქიორ-არყის ნაწარმისა და ყურძნისა და ხილ-კენკრის ღვინოების რეალიზაციის მაჩვენებელთა შედარება. რეალიზაციის მოცულობის მიხედვით პირველი სახის პროდუქცია აღემატება მეორეს. მაშინ, როდესაც ტრადიციულად საქართველოში ყოველთვის ჭარბობდა ქართული ღვინოების მოხმარება. აღკოპოლიანი სასმელების რეალიზაციაში ლიქიორ-არყის პროდუქციის პირველ ადგილზე გამოსვლა დამაფიქრებელია. უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ მოთხოვნის უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციის ხარჯზე იფარება.

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კითხვას: რამდენად შეესაბამება სურსათის წარმოების მიღწეული დონე ბაზრის ტევადობას, საჭიროა კვების პროდუქტების წარმოების ღირებულებითი მაჩვენებლის ანალიზი. ცხადია დღეს, პროდუქტების უმრავლესობის წარმოების დონე საკმარისი არაა საშინაო ბაზრის გაჯერებისათვის. ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭიროა ზოგიერთი სურსათის



წარმოების დონის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც თავის მხრივ დიდი რაოდენობით ინვესტიციებს მოითხოვს.

საშინაო ბაზრის ტევადობის შესაფასებლად შევისწავლეთ აგრარული ბაზრები და სასურსათო მალაზიები. მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დაფასოებული ჩაის წარმოება მხოლოდ 5,8%-ით აღემატება ამ სახის პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნას, ყურძნის ღვინის წარმოებისა - 11,4%-ით. მაგრამ კინიაკის წარმოება საბაზრო მოთხოვნის მხოლოდ 36,7%-ია, ლიქიორისა და ლიქიორ-არყის ნაწარმისა - 24,3%-ია, შამპანურისა - 23,2%, პაპიროსისა და სიგარეტის - 11,4%, საკონდიტრო ნაწარმის - 4,6%, შაქრის - 12%, მინერალური წყლების - 36,2%, ღვინის - 68,3%, უაღკოპოლო სასმელების - 56,4%, ხილ-ბოსტნეულის კონსერვის - 11,7%, ხორცის - 26,4%, ყველის - 10,7%, კარაქის - 13,4%, ძეხვის - 28,3%, მცენარეული ზეთის - 12,8%.

ოფიციალური მასალებისა და ჩატარებული გამოკვლევების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასურსათო ბაზარი გაჯერებულია საკუთარი წარმოების ისეთი პროდუქციით, როგორიცაა ხილი, ყურძენი, ბოსტნეული, კარტოფილი. საყურადღებოა, რომ დასახელებული კულტურები საქართველოსათვის ტრადიციული კულტურებია და თუ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდება მათდამი მხარდაჭერა და შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების ამოქმედება, ისინი კონკურენტუნარიანები გახდებიან და თვითონვე შექმნიან საინვესტიციო ფონდებს.

საქართველოში სასურსათო ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია. ამიტომ ბაზრის ტიპები და სტრუქტურებიც ცვალებადი და ჩამოუყალიბებელია. სურსათის ბაზრის ცვლილებაზე უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს პროდუქტების მომწოდებელთა შემადგენლობის განსხვავებულობა და სასაქონლო ნაკადების წარმოშობა. თუ რეფორმამდელ პერიოდამდე სასურსათო ბაზარზე დომინირებდა სახელმწიფო ვაჭრობა, ამჟამად მისი ხვედრითი წონა მინიმუმამდე შემცირებული. იგივე ითქმის კოოპერაციული ვაჭრობის მიმართაც. აღნიშნულის საპირისპიროდ გაიზარდა კერძო ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა. ამ უკანასკნელში კი დიდია საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტების ხვედრითი წონა, კერძოდ: პურის რეალიზაციაში (ფქვილზე გადაანგარიშებით) 83%, კარტოფილის - 27%, ბოსტნეულისა და ბალჩულის - 43%, ხილისა და კენკრის - 34%, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის - 78%, მცენარეული ზეთის - 67%, თევზის - 72%, რძისა და რძის პროდუქტების - 81%, ხორცის - 76%, კვერცხის - 84%, ალკოჰოლური სასმელების - 47%, არაალკოჰოლური სასმელების რეალიზაციაში - 42%-ს. ცხადია, ასეთ პირობებში ძლიერ იზღუდება ადგილობრივი წარმოება. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ შემოსავლების დეფიციტის პირობებში მომხმარებელს საშუალება არ აქვს შეიძინოს ადგილობრივი წარმოების მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რადგან ეს უკანასკნელი მაღალი ფასებით იყიდება. მცირეშემოსავლიანი მომხმარებელი უმირატესობას ყოველთვის დაბალფასიან პროდუქციას ანიჭებს. მაშასადამე, სასურსათო ბაზარზე და წარმოების სფეროში აუცილებელია პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. ამ პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს სასურსათო ბაზარზე ვაჭრობისა და ადგილობრივი წარმოების დაბალანსებას, მოაწესრიგებს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ქვეყნის შიგნით.

საქართველოს სასურსათო სფეროში შეიმჩნევა კიდევ ერთი არსებითი ნიშანი - საქონელბრუნვაში ჭარბობს საცალო და არა საბითუმო ვაჭრობა, რაც ამნელებს მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციას. ეს უკანასკნელი მოითხოვს ფართომასშტაბიანი ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციას. 2001 წლის

მონაცემების ანალიზით გამოიჩინა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებითა და სურსათით ვაჭრობაში რამდენადმე ამაღლდა ადგილობრივი პროდუქციის ხვედრითი წონა. ეს პროცესი კიდევ უფრო საგრძნობი და მანევრირებადი გახდება, თუ რაიონებსა და სოფლებში განხორციელდება საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია.

დღეს საქართველოს სასურსათო სფეროში საბითუმო ვაჭრობა ძირითადად სახელშეკრულებით ურთიერთობათა გარეშე მიმდინარეობს. ასეთ პირობებში ვერ ხერხდება სხვა პოტენციური სავაჭრო პარტნიორების გამოვლენა, არ არსებობს ინფორმაციული ბანკი ადგილობრივი ბაზრების შესახებ, რის გამოც მყიდველი და გამყიდველი მოკლებულია ინფორმაციას „საბაზრო ფასისა“ და სხვათა შესახებ.

საბითუმო ბაზრების ჩამოყალიბება თბილისსა და რეგიონებში ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, ახალ საფეხურზე აიყვანს მარკეტინგული სამსახურის ორგანიზაციას. ფართომასშტაბიანი საქონელბრუნვის უზრუნველსაყოფად საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციასთან ერთად საჭირო იქნება ისეთი მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარება, როგორიცაა ფასების ლიბერალიზაცია, საშინაო და საგარეო ვაჭრობის შეთანაწყობა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

სასურსათო ბაზრის საკუთარი წარმოების პროდუქციით შევსების წყაროს ოჯახურ მეურნეობებში პროდუქტების პირველადი გადამუშავება წარმოადგენს. ოჯახური მეურნეობის მიერ განსაკუთრებით დიდია ისეთი პროდუქტების პირველადი გადამუშავება, როგორიცაა ღვინო, ფქვილი, არაყი, შაშხი, ყველი მაწონი. პროდუქტების პირველადი გადამუშავება განსხვავებულია რეგიონების მიხედვით.

მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების პირველადი გადამუშავების შიდალი ხვედრითი წონითა და ასორტიმენტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა იმერეთის, კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონები. პროდუქტების ასეთი სახით გადამუშავების ორგანიზაცია ნაწილობრივ ავსებს სასურსათო ბაზარს, მაგრამ იგი ვერ გადაწყვეტს კონკურენტუნარიანი წარმოების პრობლემას, რადგან: 1. მცირეა წარმოების მოცულობები. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1997 წელს ერთ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა ღვინო 97,8 ლიტრი, ფქვილი – 42 კგ, მოხდილი რძე – 19,1 ლიტრი, შაშხი – 14,5 კგ და ა.შ.; 2. ოჯახურ მეურნეობებში დიდია პირველად გადამუშავებაზე გაწეული დანახარჯები; პროდუქტების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები მარტივად წარმოებასაც ვერ უზრუნველყოფენ; 3. იზრდება გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა დაუტეირთაობის დონე; 4. გაფანტულია და არაორგანიზებულიად ხდება მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსების გამოყენება; 5. გართულებულია პროდუქციის აღრიცხვა; 6. შეუბღებელია პროდუქციის ხარისხზე კონტროლის განხორციელება და სხვა.

პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილია უახლოეს პერიოდში განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სახელმწიფო შეკვეთების ორგანიზაცია, რეგიონებში ნედლეულის წარმოების, გადამუშავების ტრადიციებისა და მოცულობების გათვალისწინებით განდგანდეს შესაბამისი საწარმოები, პირველ ეტაპზე დაწესდეს საშეღავათო სავადასახადო სისტემა, განვითარდეს აგრობიზნესი და საბითუმო ვაჭრობა და სხვა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფომ უზრუნველყოს გადამამუშავებელი მრეწველობის პრიორიტეტული დარგების ამუშავება, მისი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა და შემდგომ ეტაპზე საწარმოთა კერძო

პირებზე მიყიდვა. ფუნქციონირებად და მომგებიან საწარმოებზე კერძო კაპიტალის მხრივ მოთხოვნა დიდი იქნება. ეს განაპირობებს გასაყიდი საწარმოების მაღალ საბაზრო ფასს, რაც თავის მხრივ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლებისა და ინვესტიციების წყარო იქნება.

Э. Харашвили, Г. Метившвили **Своеобразности форм продовольственного рынка в** **Грузии**

Резюме

В труде рассмотрены типы и структура продовольственного товарного рынка. На основании анализа данных сделан вывод, что на сегодняшний день в Грузии продовольственный рынок заполнен такими продуктами собственного производства, как фрукты, виноград, овощи и картофель, а при поддержке их государством они станут конкурентоспособными и сами же создадут инвестиционные фонды.

В формировании продовольственного рынка своеобразную роль выполняет первичная переработка продуктов в семейном хозяйстве, но они лишь частично осуществляют заполнение продовольственного рынка. В труде также даны отрицательные стороны заполнения рынка такого рода товарами и указаны пути решения данной проблемы.

E. Kharashvili, G. Metivshvili **Particularity of the food market formation in Georgia**

Summary

Food market types and structure are discussed in the work. On base of analysis of the according materials the conclusions are prepared, which mainly refers to the fact that Georgian food market is rich with local produced products, such are fruits, vegetable, vine, potato. In case of proper governmental support, mentioned products will become competitive and the investing foundations will be created.

The primary food processing in family economies plays significant role in formation of food market, but they provide the food market partly. The disadvantages of the food market provision with such products are also illustrated in the work. The ways of solving those problems are named.



ბ. ბაბუნაშვილი

**ბუნებათსარგებლობის მართვის მარკეტინგული საფუძვლები
ჩამოყალიბების მეთოდოლოგიური საფუძვლები**

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პერიოდი ხასიათდება ბუნებრივი რესურსების გამოყენების მკვეთრი ზრდით, მათი რეალური აღდგენის გათვალისწინების გარეშე. ახლო მომავალში ამან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი შეუქცევადი პროცესების წარმოქმნა ბუნებაში, რომელთა შედეგად სიცოცხლისათვის გარემო უფარგისი გახდება.

გარემოს ნარჩენებით დაბინძურების მაღალი დონე, ბუნებრივი რესურსების, ენერჯის, წყლის მოხმარების ტემპების ზრდა და არარაციონალური გამოყენება, გეოგრაფიული გარემოს, ეკოლოგიური სისტემებისა და ღანდშაფტის გაუარესება, ცხოველთა ცალკეული პოპულაციების განადგურება ის მოვლენებია, რომელიც უკვე უახლოეს მომავალში სერიოზულად დაგვაფიქრებს ბიოსფეროს მდგომარეობაზე.

ასეთ პირობებში ბუნებათსარგებლობა, რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოებრივ წარმოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის ურთიერთქმედების პროცესი, სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი ყველაზე რთული ობიექტია.

სრულიად ნათელია, რომ დაგეგმვა საჭიროებს მის მანევრებელთა სისტემის შემდგომ სრულყოფასა და კორექტირებას. პირველ რიგში მან უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების პოტენციალზე ანთროპოგენული ზემოქმედების საწარმოო-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური შედეგების ადეკვატური (თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის შესაფერისი) აღწერა; მეორე, იგი უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკის მართვის კონცეფციას, რომლისათვისაც დამახასიათებელია სამეურნეო საქმიანობის საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე ორიენტაცია და მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენება.

ინტენსიფიკაციის საფუძველზე ბუნებათსარგებლობის მართვის კონცეფციის ძირითადი დებულებები, ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შემდეგია:

1. ბუნებათსარგებლობის მართვა უნდა განხორციელდეს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის საფუძველზე. ამგვარმა სტრატეგიამ ასახვა უნდა პოვოს ქვეყანაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კომპლექსურ პროგრამაში. მისი შემუშავება გადაწყვეტას მოყლის. ბუნებათსარგებლობის მართვის სისტემა მოწოდებულია დასახულ ვადებში

უსრუნველყოს კომპლექსური პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევა.

2. მართვის ობიექტს წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების პოტენციალისა და გარემო პირობების კვლავწარმოების ერთიანი პროცესი. ამიტომ ბუნებათსარგებლობის მართვა უნდა მოიცავდეს ამ პროცესის ორივე მხარეს (ნატურალურ-ნიუთონობისა და ღირებულებითს) და მის ყველა სტადიას (ბუნებრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა, სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობისას მათი გარდაქმნა, ბუნებრივი რესურსების აღდგენა-გაუმჯობესება და მათი შეცვლა მეორადი რესურსებით). შესაბამისად, ბუნებათსარგებლობის მართვა უნდა ვერდნობოდეს ბუნებრივი რესურსების პოტენციალის კვლავწარმოების პროცესის საბალანსო მეთოდებს.

3. გარემოს პირობებისა და ბუნებრივი რესურსების პოტენციალის კვლავწარმოების პროცესს რეგიონული ხასიათი აქვს. შესაბამისად, უპირველეს მნიშვნელობას იძენს ბუნებათსარგებლობის მართვის რეგიონული ასპექტი და შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება.

4. ბუნებათსარგებლობის მართვისას ხდება ბუნებრივი რესურსების პოტენციალის მდგომარეობის მიმართ ნორმატიული (სოციალურ-ეკოლოგიური) მოთხოვნების ჩამოყალიბება და მათი შედარება მის ფაქტობრივსა და პროგნოზულ მდგომარეობებთან. ამდენად, ბუნებათსარგებლობის ფუნქციანად მართვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგების შეფასება და მათი შეთავსება შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ ნორმატივებთან. ბუნებათსარგებლობის მართვის საბოლოო შედეგებად უნდა ჩაითვალოს ბუნებრივი რესურსების პოტენციალისა და გარემოს მდგომარეობა, ბუნებათსარგებლობის წვლილი და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამქარება.

5. ბუნებრივი რესურსების პოტენციალისა და გარემოს კვლავწარმოების მართვის სისტემა მისი ინტენსიფიკაციის ეტაპზე ორგანულად უნდა ეწერებოდეს ქვეყნის ეკონომიკის მართვის საერთო სისტემაში. ეს ნიშნავს: ჯერ ერთი, ბუნებათსარგებლობის მართვაში სახელმწიფოს როლის განმტკიცებას, რაც გამოიხატება ბუნებათსარგებლობის უმთავრესი საბოლოო შედეგების მისაღწევად დაფუძნების დადგენაში; მეორე, სრული სამეურნეო ანგარიშისა და უკუგების პრინციპების თანამიმდევრულ გატარებას, ბუნებრივი რესურსების პოტენციალის დაცვის, კვლავწარმოებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისას, ამ ღონისძიებათა ჩატარების კომპლექსური და პირადი ეკონომიკური დაინტერესების უსრუნველყოფას; მესამე, ბუნებათსარგებლობის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილების კონტროლის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ექსპერტიზის გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, საბოლოო პროდუქტის გეგმური მოცულობის მიღწევა უფრო ნაკლები ერთობლივი დანახარჯებით მოწმობს საზოგადოებრივი წარმოების ფუნქტიანობის ამაღლებას. საპირისპირო ტენდენცია ხასიათდება მატერიალური დანახარჯების არარაციონალური ზრდით. ამ ტენდენციების გათვალისწინებით, საჭიროა მიზნობრივი დარგთაშორისი მიდგომისა და წარმოების მთელი თანამიმდევრობის განხილვის უსრუნველყოფა ნედლეულის მიღებიდან, წარმოების ყველა სტადიისა და დარგის გავლით, პროდუქციის საბოლოო მოხმარებამდე და საზოგადოებრივი ცირკულაციიდან მის ამოღებამდე. ეს კი მნიშვნელოვანი პირობაა საბოლოო პროდუქტის ფუნქტიანი ჩამოყალიბებისა და მალადი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

საბოლოო პროდუქტის წარმოების პროცესის ოპტიმიზაციის მექანიზმის თეორიული და პრაქტიკული საკითხების ანალიზის შედეგად, მისი სირთულის გამო, გამოვლენილია სისტემური მიდგომის გამოყენების აუცილებლობა. ამ პრობლემის გადაწყვეტის ხერხების განსაზღვრის მიზნით განხორციელებულია



მისი სტრუქტურითაც, ე.ი. აკებულია პრობლემის მიზანთა სქემა (ხე), რომელიც წარმოადგენს მისი გადაწყვეტის ყველა შემადგენელი ნაწილის სისტემატიზებულ ჩანაწერს. პრობლემა, ზედა დონეზე ზოგადი სახითაა ჩამოყალიბებული, უფრო ქვედა დონეებზე გადასვლისას იგი კონკრეტულ ამოცანებად იყოფა, რაც გადაწყვეტის უკვე დამუშავებული მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

სისტემური ანალიზის ზოგადი წესების შესაბამისად, მრეწველობის დარგებთან და აგროსამრეწველო კომპლექსთან ერთიანობაში საბოლოო პროდუქტის ბაზრის ოპტიმიზაციის ეფექტიანობის პრობლემის მიზანთა სქემა აკებულია მეთოხე დონემდე (დონეები აითვლება ნულიდან). სქემის პირველი შტო განსაზღვრავს, თუ რა უნდა ვიცოდეთ ან შევისწავლოთ პრობლემის გადასაწყვეტად, მეორე - რა უნდა შეიქმნას (ან შემუშავდეს); მესამე - რისი ორგანიზება უნდა მოხდეს პრობლემის გადასაჭრელად (ფრაგმენტები მოცემულია 1, 2 და 3 სქემებზე).

მიზანთა სქემის სტრუქტურა საშუალებას იძლევა დავაკავშიროთ უმაღლესი დონის პრობლემა მისი გადაჭრის კონკრეტულ საშუალებებთან, რიგი შუალედური რგოლების მეშვეობით - იმ პრობლემებთან, რომლებიც ზედა დონის მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს. თითოეული პრობლემა ერთხელ არის მოთავსებული სქემის იმ შტოზე, რომელზეც უფრო მეტი ამოცანებია და რომლებიც იმდენად მჭიდრო კავშირით ხასიათდება, რომ უმეტესად მათი იზოლირებული შესწავლა განაპირობებს არასწორი დასკვნების გამოტანას და ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში ხშირია.

ამ ამოცანათა ურთიერთკავშირის ანალიზმა გვინვენა, რომ მიზანშეწონილია ყურადღების გამახვილება დარგთა კომპლექსში საბოლოო პროდუქტის წარმოების ოპტიმიზაციის ეფექტიანობის ამაღლების პროცესების გაზომვისა და ანალიზის მეთოდებზე, განვითარებისა და კვლავწარმოების იმ ფაქტორების რაოდენობრივ დამოკიდებულებათა დადგენის აუცილებლობაზე, რომლებიც გადაწყვეტ ზედავლენას ახდენს ეფექტიანობის ზრდის ტემპსა და ხასიათზე.

საბაზრო მეურნეობის პირობებში, ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემების ეტაპობრივი გადაწყვეტისათვის აუცილებელია ბუნებათსარგებლობის მაჩვენებელთა კლასიფიკაციის შემდეგი მიმართულებები: ფუნქციური (მართვის ფუნქციური სისტემების მიხედვით); იერარქიული (მართვის დონეების მიხედვით); შინაარსობრივი (ბუნებათსარგებლობის პროცესისა და მისი მართვის სხვადასხვა მხარის (ასპექტის) მიხედვით); სისტემურ-საინფორმაციო (მართვის პროცესისათვის ინფორმაციისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების დანერგვის თვალსაზრისით), რომელთა შინაარსიც ეყრდნობა ბუნებათსარგებლობის პერსპექტიული დაგეგმვის ლოგიკას.

ამასთან, რაციონალური ბუნებათსარგებლობის პროგნოზირებისა და დაგეგმვისას სირთულეები წამოიჭრება იმის გამო, რომ ეკოლოგიურ-ეკონომიკურ და სოციალურ ყველა მაჩვენებელს არ გააჩნია რაოდენობრივი გამოხატულება, მათ მხოლოდ თვისებრივი დახასიათება აქვთ ნდობითი აღბათობის დაბალი დონით. ამიტომ, პროგნოზირებისა და ოპტიმიზაციისას მიზანშეწონილია ლოგიკური თანამიმდევრობა გამოვიყენოთ, სისტემურ-სტრუქტურული მიდგომისა და გამოყენებითი ინსტრუმენტების და ბუნებათსარგებლობის ახალი აქტუალური ამოცანების გადაჭრის პროგრამულ-მიზნობრივი მიმართულობის თვალსაზრისით. ეს თანამიმდევრობა სამი ბლოკისაგან შედგება.

ბლოკი 1 მოიცავს პროგნოზირების ევრისტიკულ მეთოდებს.

სამეცნიერო გამოკვლევებსა და საგეგმო ამოცანათა გადაწყვეტისას ყველაზე გავრცელებულია საექსპერტო შეფასების მეთოდები, რომლებიც საშუალებას



იძლევა აკირიოთ საკვლევი ობიექტის ოპტიმალური განვითარების მიმართულება და მოუახდინოთ განმსაზღვრელი მაჩვენებლების (X_j) რანგირება პრობლემის გადაჭრაში მათი წვლილის მიხედვით.

ბლოკი 2 წარმოადგენს პროგნოზირებისა და ბუნებათსარგებლობის ოპტიმალური დაგეგმვისათვის სტატისტიკურ-ალბათური მეთოდების გამოყენებას, რათა მოიძებნოს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საქმიანობის გეგმების განმსაზღვრელი (X_j) და მარეგულირებელი (Y_j) მაჩვენებლების სარწმუნო ალბათობის დონე და გადასაწყვეტი ამოცანების რანგირება მნიშვნელობისა და ვადების მიხედვით.

ბლოკი 3-ში გამოყენებულია მოდელირების დეტერმინირებული მეთოდები ბუნებათსარგებლობის პროგნოზირებისა და პროგრამულ-მიზნობრივი კომპლექსური დაგეგმვის ამოცანებში დარგების, ფორმების(გავრთიანებების) და საწარმოების დონეებზე.

ბუნებათსარგებლობის მაჩვენებელთა სისტემა უნდა ყალიბდებოდეს როგორც ქვეყნის მართვის ერთიანი სისტემის სრულყოფის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ, ბუნებათსარგებლობის მაჩვენებელთა ფუნქციური კლასიფიკაციის დროს მხედველობაში მიიღება: მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება დაგეგმვის სისტემაში (პროგნოზირების, დაგეგმვის დასაბუთების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის ჩათვლით; აღრიცხვისა და კონტროლის სისტემაში გამოყენებული მაჩვენებლები; მიკროეკონომიკური მაჩვენებლები ბუნებათსარგებლობის სფეროში).

ბუნებათსარგებლობის მაჩვენებელთა კლასიფიკაციისას გამოიყოფა მაჩვენებლები, რომლებიც მართვის შემდეგ დონეებზე გამოიყენება:

- 1) საერთო სახელმწიფოებრივი;
- 2) რესურსობრივ-დარგობრივი;
- 3) ტერიტორიული (ეკოსისტემური);
- 4) ფორმები, საწარმოო გაერთიანებები (საწარმოების საკუთრების ფორმის მიუხედავად).

ბუნებათსარგებლობის მაჩვენებელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციისას გამოიყოფა მაჩვენებელთა 5 ბლოკი (ქვესისტემა), რომლებიც შეიცავს ბუნებრივი რესურსების პოტენციალის მდგომარეობის მაჩვენებლებსაც: ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის რაოდენობრივ და თვისებრივ მახასიათებლებს - მიწის, მინერალურ, ზე-ტყის, წყლისა და მათი ტერიტორიული (ეკოსისტემური) შეთანაწყობის რესურსების მახასიათებლებს; ბუნებრივი რესურსების პოტენციალზე უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედების მაჩვენებლებს (წყლის ამოღება და ჩადენა, გამონაბოლქვი ატმოსფეროში, მიწის წიაღიდან სასარგებლო წიაღისეულის მარაგის ამოღება, დაზიანებულ მიწათა ფართობი და სხვა); სამეურნეო საქმიანობის ბუნების დამცველი რაციონალიზაციის მაჩვენებლები, მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის საფუძველზე (სხვადასხვა სახეობის ბუნებრივი რესურსების ხარჯვის შემცირება მათი გამოყენების სისრულისა და კომპლექსურობის ამაღლებით, მეორადი რესურსების უტილიზაცია, ტექნოლოგიური პროცესების ეკოლოგიურობის გაუმჯობესება და სხვა დონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების შეფარდებით და აბსოლუტურ ეკონომიას); სპეციალიზებული ბუნების დამცავი საქმიანობის ინტენსიურობის მაჩვენებლები (გამწმენდი და დამჭერი ნაგებობების სიმძლავრე და მათი გამოყენება, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და კვლავწარმოების სხვა სპეციალიზებული დონისძიებების მაჩვენებლები); ბუნებათსარგებლობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები (ბუნებრივი რესურსების პოტენციალის კვლავწარმოებისა და გამოყენების, ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გაუმჯობესების სოციალური და ა.შ.)

ევექტიანობის, ბუნების დაცვისა და რესურსების დაზოგვის ეროვნული მუდრეობისა და სამეურნეო ანგარიშის კონსოლიდირებული საბაზისო მარეგულირებელი მითითებული ბლოკებიდან თითოეულში გამოიყოფა ფაქტობრივი (აღრიცხვასა და კონტროლს დაქვემდებარებული), საპროგნოზო და ნორმატიული მარეგულირებელი.

ბუნებათსარგებლობის მარეგულირებელი მართლაც უბუნებელი კლასიფიკაცია, თავისი შინაარსით, ბუნებათსარგებლობის პერსპექტიული დაგეგმვის ლოგიკას ეყრდნობა. ამის შესაბამისად დაგეგმვის პროცესი იწყება ბუნებრივი რესურსების პოტენციალის მდგომარეობის პროგნოზიდან და მისი ცვლილებისა და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებიდან, საგეგმო პერიოდის ბოლოსათვის (ბლოკი 1-ის მარეგულირებელი) ბრპ-ზე სხვადასხვა სახის უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედებისას (ბლოკი 2) და სამეურნეო საქმიანობის ბუნების დამცავი რაციონალიზაციისათვის (ბლოკი 3). თუ სამეურნეო საქმიანობის ბუნების დამცავი რაციონალიზაცია ვერ უზრუნველყოფს ბრპ-ის მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესრულებას, მაშინ უნდა გამოვლინდეს დამატებითი შესაძლებლობები ბრპ-ზე სამეურნეო საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად, სპეციალიზებული ბუნების დამცავი საქმიანობის საშუალებით (ბლოკი 4). ბრპ-ის მიმართ დარჩენ ნორმატიული მოთხოვნების მიღწევის სხვადასხვა ვარიანტი და ამ მოთხოვნათა კორექციის შესაძლებლობა შეფასდება ბუნებათსარგებლობის სოციალური და ეკოლოგიურ-კონსოლიდირებული ევექტიანობის მარეგულირებლის დახმარებით (ბლოკი 5). ამგვარი მრავალსაფეხურიანი პროცედურის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ბუნებათსარგებლობის კვლავწარმოების მთელი ციკლის გამჭოლი დაგეგმვა (სამეურნეო ბრუნვაში ბუნებრივი რესურსების ჩართვა, მათი გარდაქმნა და ხარჯვა სამეურნეო საქმიანობის პროცესში, ბუნებრივი რესურსების დაცვა, კვლავწარმოება და გაუმჯობესება, სამეურნეო საქმიანობის ბუნების დამცავი რაციონალიზაცია) ბუნებრივი რესურსების სახეობათა და რეგიონებისათვის შესაბამისი ბალანსების შემუშავებით. ქვეყნის სოციალური და კონსოლიდირებული განვითარების გრძელვადიანი ინდიკატორ გეგმაში ბუნებათსარგებლობის განვითარების მარეგულირებელი ჩამოყალიბდება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამრავლებასა და მოსახლეობის ცხოვრების სოციალური პირობების გაუმჯობესებაში ბუნებათსარგებლობის წვლილის გათვალისწინებით.

ბუნებათსარგებლობის მარეგულირებელი სისტემურ-საინფორმაციო კლასიფიკაცია გვთავაზობს მათ შეფასებას იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება სახელმძღვანელო გადაწყვეტილებების დასაბუთების ადამიანურ-მანქანური (დიალოგური) მეთოდების დანერგვის ამოცანებს; პირველ რიგში, საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემების (სგას) ბუნებათსარგებლობის მარეგულირებელი დარგობრივი და ტერიტორიული ავტომატიზებული სისტემების ფარგლებში, რაც სპეციალურ ღრმა შესწავლას საჭიროებს. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ შემთხვევაში პირველ პლანზე, მათი უნიფიკაციის თვალსაზრისით, გამოდის მარეგულირებელი შეფასება, რათა გამოყენებულ იქნეს ბუნებათსარგებლობის მარეგულირებელი კოდირების ერთიანი სისტემა სხვადასხვა უწყებისათვის (ამჟამად, ერთსა და იმავე მარეგულირებელს სხვადასხვა უწყებაში სხვადასხვა კოდი აქვს). ამას გარდა, მართვის დიალოგურ რეჟიმში მარეგულირებელი სისტემის ევექტიანი ფუნქციონირებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გამოიყენას საბაზო (რომლებიც შეიცავენ საწყის ინფორმაციას) და წარმოებულ (რომლებიც მიიღება საბაზო მარეგულირებლის ფორმალური გარდაქმნებით) მარეგულირებელად. ამჟამად მას, ვინც გამოიყენებს ინფორმაციას, ერთდროულად საქმე უნდა აქონდეს როგორც საბაზო, ასევე საბაზო მარეგულირებელიდან წარმოებულ მრავალ (ჯამურ, ხვედრით, წილობრივ





და ა.შ. მანქანებელთან. ეს მოუხერხებელი, მაგრამ აუცილებელია ინფორმაციის მიღებული სახით წარდგენისას. ინფორმაციის შენახვისა და დამუშავების მანქანური მეთოდის გამოყენებისას, განსაკუთრებით მართვის ადამიანურ-მანქანური სისტემების დიალოგურ რეჟიმში ორგანიზების დროს. წარმოებულ მანქანებელთა დიდი ნაწილი უნდა ყალიბდებოდეს და ინახებოდეს ეკმ-ის მეხსიერებაში და გამოდიოდეს დისპლეიზე, საჭიროების მიხედვით, სასურველი (ცხრილების, გრაფიკების და ა.შ.) ფორმით. აქედან ჩანს, რომ ბუნებათსარგებლობის მანქანებელთა სისტემურ-საინფორმაციო კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მათ შინაარსობრივ კლასიფიკაციას.

დადგა იმის დრო და აუცილებლობა, რომ შემუშავდეს ბუნების დაცვის ტერიტორიული კომპლექსური სქემა. რიგი პოსტსოციალისტური ქვეყნებისა და დიდი ქალაქების მაგალითის მიხედვით - ბუნების დაცვის ტერიტორიული კომპლექსური სქემა, რომელიც უნდა შეიცავდეს: 1) ბუნებათსარგებლობის მანქანებელთა სისტემას მოცემული ტერიტორიისათვის, რომელიც ჩამოყალიბებულია ხუთი ბლოკის სახით, ამ მანქანებელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციის შესაბამისად; 2) ღონისძიებათა შედარებით ავტონომიური კომპლექსების (მოდულების) „ბანკს“, სამეურნეო საქმიანობის რაციონალიზაციისა და ბუნების დამცავი სპეციალიზებული საქმიანობისათვის.


ღონისძიებათა თითოეული კომპლექსი მისამართებულია (იმ უწყებით, რომელიც მას ახორციელებს) შესაბამისი წვლილით ბუნებრივი რესურსების პოტენციალის გაუმჯობესებაში მოცემულ ტერიტორიაზე, სარეალიზაციო რესურსებზე მოთხოვნილებითა და ეროვნული მუდრეობისა და მიკრო ეკონომიკური ეფექტიანობის მანქანებელთა. ამ შემთხვევაში, შესაძლებლობა იქმნება „ბანკის“ მოდულებიდან ჩამოაყალიბონ მიზნობრივ ღონისძიებათა კომპლექსები საგვგომ პერიოდში ბუნებათსარგებლობის სრულყოფისათვის და განსაზღვრონ ამ კომპლექსების პრიორიტეტი, მათი ეკონომიკური და სოციალურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით.

ამგვარად, სავსებით ნათელია, რომ მანქანებელთა სისტემა, რომელსაც ბუნებათსარგებლობის მართვისათვის გამოიყენებენ, სახეს უნდა იცვლიდეს, ეკონომიკის მართვის სრულყოფასა და ბუნებათსარგებლობის სფეროში სამეცნიერო გამოკვლევების განვითარებასთან ერთად.






საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური



სქემა 2. მიზანთა ხის ურგამენტი, რომელიც ითვალისწინებს ზომების მიღებას სისტემის სრულყოფისათვის



სურათი 3. ბაზისის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფის რეკონსტრუქციის მეთოდების მდგრადობის მართვის სისტემის სრულყოფისათვის



Г. Бабунашвили

Методологические основы разработки системы показателей управления

природопользованием

Резюме

Резкий рост использования природных ресурсов вызывает необратимые процессы в природе. Во избежание этого предлагается комплексная система показателей, которая позволит контролировать процесс защиты природных ресурсов и их рациональное использование. В работе представлены 3 схемы, которые показывают, что надо знать, что надо разработать и как надо сделать, чтобы иметь эффективный рынок природных ресурсов

G. Babunashvili

Methodological principles of drawing out the showing system of management of nature use

Summary

Sharp growth of using natural resources generates irreversible processes in nature. In order to avoid this, the article offers the complex system of indicators which enables to control the process of protection of natural resources and their rational use. The author represents 3 schemes, which show what should be known, what should be designed and how to realize in order to have the effective market of natural resources.

К. АЧЕЛАШВИЛИ, Н. АЧЕЛАШВИЛИ

ОБ ИСПОЛЬЗОВАНИИ ЭКОНОМЕТРИЧЕСКИХ МОДЕЛЕЙ ПРИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ОЦЕНКЕ ПРИРОДНЫХ ФАКТОРОВ

В современных условиях общественного развития решение экономических и экологических проблем природопользования приобретает все большую актуальность. Это связано, с одной стороны, с быстрым ростом объемов производства, приводящим к истощению природных ресурсов. С другой стороны, ускоряющиеся темпы экономического роста, обусловленные научно-техническим прогрессом, способствуют загрязнению окружающей среды. Эти два взаимосвязанных процесса приводит к нарушению экологического равновесия, что требует активного государственного вмешательства в управление природопользованием, особенно в рыночных условиях хозяйствования.

В условиях рынка экономическая политика государства в области природопользования должна реализовываться через систему экономических рычагов, с помощью которой предполагается модифицировать функционирование объектов природопользования в заданном направлении. Однако для эффективного применения системы экономических рычагов при государственном регулировании процессов природопользования необходима объективная информация, отражающая многообразие природных факторов. Эту информацию можно получить на основе экономической оценки природных факторов [1].

В данной работе под экономической оценкой природных факторов понимается интегральная, сопоставимая, количественная характеристика, которая, во-первых, должна отражать объективно существующие различия в природных факторах и связанных с ними технологических параметров процессов природопользования, во-вторых, должна обеспечить возможность сопоставления различных комплексов природных факторов, в-третьих, из требования сопоставимости оценок следует, что они должны быть выражены в количественной форме.

Основная методологическая проблема, которая возникает при экономической оценке природных факторов, связана с принципиальной невозможностью ее определения непосредственно на основе характеристик природных факторов, что обусловлено особенностями их влияния на экономику природопользования. Дело в том, что влияние природных факторов, имеющих разное содержание и характер своего изменения, на экономическую эффективность реализуется через широкий круг разнообразных конкретных результатов, что и делает природные факторы непосредственно несводимыми между собой. Это приводит к тому, что экономическая оценка может осуществляться только опосредствованно – через оценку влияния природных факторов на экономическую эффективность природопользования. Целью

экономической оценки является выявление дифференцированных размеров этого влияния и обеспечение возможности соизмерения природных факторов с точки зрения экономической эффективности природопользования. Поэтому необходимо выделить:

- природные факторы, представленные комплексом разноплановых и непосредственно несводимых вместе характеристик;
- экономическую оценку, как способ соизмерения комплекса природных факторов через оценку влияния их различий на экономическую эффективность природопользования.

Исходя из сказанного, для сопоставимости природных факторов различных объектов природопользования между собой с точки зрения их влияния на экономическую эффективность природопользования необходимо элиминировать различия в технологических способах использования природных ресурсов и неприродных факторах. Влияние же отдельных факторов или же их комплекса на экономическую эффективность природопользования целесообразно учитывать с помощью эконометрических методов [2]. Можно утверждать, что поставленная задача построения системы экономических оценок природных факторов носит стохастический характер. При этом объекты конкретных отраслей природопользования можно рассматривать как статистическую совокупность, показатели экономической эффективности которых меняются как в пространстве, так и во времени.

При решении поставленной задачи возникает ряд трудностей, что связано со следующими моментами. Во-первых, природные факторы должны иметь количественные измерители. Во-вторых, комплекс природных факторов включает в себя не только количественные, но и качественные характеристики. В-третьих, природные факторы неравноценны между собой с точки зрения значимости их влияния на уровень экономической эффективности природопользования, т. е. имеют различный вес. В-четвертых, природные факторы определяют не только эффективность природопользования, но и условия протекания его.

Суть процесса решения поставленной задачи, сформулированной как задача эконометрического моделирования, заключается в следующем: на основе качественного и количественного анализа выделяется набор существенных факторов (как природных, так и неприродных), определяются закономерности их воздействия на уровень показателей экономической эффективности природопользования и измеряется сила этого влияния. С помощью полученных закономерностей находятся объективно возможные значения показателей экономической эффективности природопользования путем элиминирования различий в неприродных факторах, которые и кладутся в основу системы экономических оценок. Этот процесс может быть реализован с помощью двух различных подходов, в основе которых лежат эконометрические модели [3].

Первый подход основан на непрерывном моделировании (регрессионном анализе) и сводится к следующему: ведется поиск стохастической зависимости показателя экономической эффективности природопользования от всей совокупности факторов (природных и неприродных), среди которых необходимо выделить и оценить влияние комплекса природных факторов на уровень моделируемого показателя.

Одним из возможных способов элиминирования влияния отдельных факторов или их комплекса на уровень показателя экономической эффективности является использование "чистого" уравнения регрессии. Оно отличается от полного уравнения регрессии тем, что вместо факторов, влияние которых необходимо элиминировать, подставляются соответствующие средние значения. Полученное в результате элиминирования "чистое" уравнение регрессии будет характеризовать зависимость моделируемого показателя от оставшихся факторов.

При использовании этого способа для рассматриваемой задачи следует фиксировать

на среднем уровне значения неприродных факторов, в результате чего получим "чистое" уравнение регрессии, характеризующее зависимость показателя экономической эффективности только от комплекса природных факторов. Далее, подставляя в уравнение регрессии индивидуальные значения природных факторов, определим расчетные значения показателей экономической эффективности природопользования, которые и будут основой построения системы экономических оценок природных факторов.

Однако данный подход не всегда является приемлемым, т. к. при его реализации не выполняется ряд условий, обеспечивающих реальность получаемых результатов. В частности, этот подход не гарантирует соблюдения однородности исследуемой совокупности объектов природопользования, что является принципиально важным при построении регрессионных уравнений.

Второй подход к проблеме построения системы экономических оценок, основанный на дискретно-непрерывном моделировании, позволяет решить проблему однородности. Он имеет две схемы. В каждой из них основным этапом процесса решения является построение дискретной модели (классификации), непрерывной (регрессионной) модели и модели, сочетающей оба эти типа. Начинается построение с формирования однородных классов исходной совокупности. От того, насколько правильно и обоснованно будет проведена классификация по рассматриваемым факторам, в основном и зависит степень реальности конечных результатов исследования.

При использовании первой схемы цель первого этапа задачи – получение однородных классов объектов природопользования в пространстве факторов производства, обеспечивающих адекватное описание всей исходной совокупности набором непрерывных моделей.

После построения дискретной модели (классификации) природные факторы измеряются внутри полученных классов путем элиминирования влияния неприродных факторов. С этой целью внутри классов ведется поиск стохастической зависимости (уравнения регрессии) показателей экономической эффективности природопользования от всей совокупности факторов (природных и неприродных), среди которых необходимо выделить и оценить влияние комплекса природных факторов на уровень моделируемых показателей. В результате рассматриваемая совокупность будет описываться системой регрессионных уравнений, каждое из которых соответствует определенной области факторного пространства.

Если обозначить результативные показатели экономической эффективности природопользования через Y , природные факторы через X , неприродные факторы через Z и случайные через ξ , то данную схему можно представить следующим образом:

1. Строится дискретная модель (классификация) по производственным факторам (X, Z), которая будет представлена набором классов: A_1, A_2, \dots, A_m .
2. В каждом классе строится стохастическое уравнение вида:

$$Y_k = F(X_k, Z_k) + \xi$$

где k - индекс класса ($k = 1, \dots, m$), в результате чего получается система уравнений:

$$\begin{aligned} Y_1 &= F_1(X, Z) && \text{при } X, Z \in A_1 \\ Y_2 &= F_2(X, Z) && \text{при } X, Z \in A_2 \\ &\dots && \dots \\ Y_m &= F_m(X, Z) && \text{при } X, Z \in A_m \end{aligned}$$

3. В каждом из этих уравнений закрепляются значения неприродных факторов на постоянном (для каждого класса своем) уровне: среднем, соответствующем типичной для данного класса технологической структуре процесса природопользования, или оптимальном (т. е. более прогрессивном – с учетом достижений научно-технического прогресса). По полученным “чистым” уравнениям регрессии рассчитываются индивидуальные значения показателей экономической эффективности природопользования, которые и составляют основу для построения системы экономических оценок природных факторов.

Экономическое содержание рассматриваемой схемы заключается в том, чтобы определить объективно возможный уровень показателей экономической эффективности при условии, что при данных природных факторах функционирует объект природопользования со средним уровнем для рассматриваемой совокупности (подсовокупности) природных факторов.

Метод классификации может служить не только в качестве средства, обеспечивающего возможность адекватного описания моделью исследуемой совокупности, но и в качестве средства элиминирования влияния отдельных факторов (или их комплекса) на уровень экономической эффективности природопользования. С его помощью может быть осуществлен подбор однородных с точки зрения отдельных факторов (или их комплекса) подсовокупностей объектов природопользования, в каждой из которых устраняется влияние тех факторов, по которым проводится классификация. Следовательно, вариация показателей экономической эффективности природопользования внутри каждого класса будет обусловлена различием других факторов (не учтенных при классификации).

При реализации второй схемы цель классификации – элиминирование влияния комплекса природных факторов на экономическую эффективность природопользования. Для отраслей природопользования такая классификация возможна, поскольку для них характерно значительное многообразие природных факторов. В то же время природные факторы различных объектов природопользования обладают определенной общностью, что может служить в качестве типобразующего признака разбиения всех объектов природопользования на классы. Целесообразность применения дискретно-непрерывных моделей для решения данной задачи обусловлена тем, что для отраслей природопользования характерно наличие принципиально разных типов объектов с точки зрения природных факторов.

Итак, имеется совокупность объектов природопользования, природные факторы которых описываются системой количественных и качественных характеристик. Совокупность подвергается многомерной классификации по комплексу природных факторов методами классификации. В результате их применения совокупность разбивается на классы (типы) по природным факторам. Это дает возможность соизмерять природные факторы с позиции всей отрасли природопользования, представляющей теперь некоторым обозримым числом классов объектов. При этом предполагается, что природные факторы близки в каждом классе с точки зрения принципиальной возможности применения на всех объектах природопользования данного класса определенного технологического способа природопользования. Поскольку влияние природных факторов на уровень экономической эффективности элиминировано в результате классификации, различия в экономической эффективности природопользования внутри классов будут обусловлены главным образом различием неприродных факторов, т. е. колебания показателей экономической эффективности природопользования в каждом классе

будут зависеть от колебаний неприродных факторов. После разбиения совокупности объектов на классы по природным факторам внутри каждого класса определяются средние значения показателей экономической эффективности природопользования и неприродных факторов. Обозначим их соответственно через \bar{Y}_j и \bar{Z}_k^j (k - индекс класса, j - индекс неприродного фактора). Затем для каждого объекта находится разность между индивидуальными фактическими значениями и средними для показателей и неприродных факторов:

$$\Delta Y_j = Y_j - \bar{Y}_j; \quad \Delta Z_k^j = Z_k^j - \bar{Z}_k^j,$$

где j - индекс объекта.

Внутри каждого класса устанавливается стохастическая зависимость колебаний показателей экономической эффективности от колебаний неприродных факторов, т. е. строится уравнение вида:

$$\Delta Y_j = F(\Delta Z_1^j, \Delta Z_2^j, \dots, \Delta Z_k^j)$$

Подстановкой в эти уравнения значения ΔZ для каждого объекта природопользования определяются значения ΔY , т. е. та величина вариации показателей экономической эффективности природопользования, которая обусловлена вариацией неприродных факторов. Отнимая значения ΔY_j от фактических значений показателей экономической эффективности природопользования, получим систему расчетных значений показателей экономической эффективности природопользования, отражающую определенные различия в природных факторах внутри классов, которая может быть положена в основу системы экономических оценок.

ЛИТЕРАТУРА

1. Нестеров П. М., Нестеров А. П. Экономика природопользования. М., «Закон и право», 1997
2. Кристофер Доугерти. Введение и эконометрику. М., ИНФРА-М, 2001
3. Экономико-статистическое моделирование в промышленности (методологические и методические вопросы). Новосибирск, «Наука», 1997

კ. აჩელაშვილი, გ. აჩელაშვილი

ბუნებრივი ფაქტორების ეკონომიკური შეფასების დროს ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენების შესახებ

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საბაზრო პირობებში ბუნებრივი ფაქტორების ეკონომიკური შეფასების არსი და მნიშვნელობა, ნაჩვენებია ეკონომიკური შეფასებების განსაზღვრის დროს ეკონომეტრიკული მოდელების მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობა, გაშუქებულია ეკონომეტრიკული მოდელების საფუძველზე ეკონომიკური შეფასებების მეთოდოლოგიური და მეთოდიკური საკითხები, შემოთავაზებულია სხვადასხვა მიდგომები უწყვეტი და დისკრეტულ-უწყვეტი ეკონომეტრიკული მოდელების საფუძველზე ეკონომიკური შეფასებების სისტემის აგებისადმი.

Summary

In the article there are considered essence and significance of economic valuation of natural resources in the conditions of market economy, there is demonstrated expediency of application of econometric modeling methods for the determination of economic valuation, there are interpreted methodological and methodical issues of economic valuation on the base of econometric models, there are proposed different approaches to the creation of the system of natural resource's economic valuation on the base of econometric models.

**მიკროეკონომიკა. შრომის
ეკონომიკა**

ბ. შრომათმცოდნეობა

მეწარმეობა: საქმიანი აქტივობის განსაკუთრებული ფორმა

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ხანგრძლივი და მძიმეა. მისი, როგორც ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე.

მეწარმეობა ბიზნესის ამოსავალი საწყისია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ტერმინები ხშირად სინონიმებადაც აღიქმება, მაგრამ სპეციალისტების აზრით და ჩვენც ვეთანხმებით ამ აზრს, ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღესდღეობით არ არსებობს მეწარმეობის საერთოდ აღიარებული განმარტება. ამერიკელი მეცნიერის, პროფესორ რობერტ ხიზრინის აზრით, “მეწარმეობა არის რაღაც ახლის შექმნის პროცესი, რომელსაც აქვს ღირებულება. მეწარმე არის ადამიანი, რომელიც ამისათვის ხარჯავს აუცილებელ დროს და ენერჯიას, თავის თავზე იღებს ფინანსურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ რისკს, სამაგიეროდ იღებს ფულს და მიღწეულით ემყოფილება” [9, 20].

ინგლისელი პროფესორი აღან ხოსკინგი ამტკიცებს:

„ინდივიდუალური მეწარმე არის პიროვნება, რომელიც წარმართავს საქმეს თავის ხარჯზე, პირადად მართავს ბიზნესს და პირადადაც პასუხისმგებელი აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფაზე, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. მის ჯილდოს წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება და ემყოფილების გრძნობა, რომელსაც ის განიცდის თავისუფალი მეწარმეობისგან. იგი თავის თავზე იღებს მისი საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში დანაკარგების მთელ რისკს“ [10, 28].

მეწარმეობა ნიშნავს ახალი კომბინაციების განხორციელებას წარმოებაში, რესურსების ხელსაყრელი დაბანდების ძიებას, სწრაფვას ახალი ბაზრებისაკენ, ახალი პროდუქტის შექმნას, რომელიც რისკს ემყარება [7, 4].

მეწარმეობა არის საქმიანი აქტივობის წარმართვის ხელოვნება, ესაა უწინარეს ყოვლისა, შემეცნებითი პროცესი [5, 7].

მეწარმეობა – ესაა იდეის ხორცშესხმა, არახელსაყრელ შანსებთან ბრძოლა და წარმატებით დაემაყოფილება, რაც საკუთარი ძალებით მიიღწევა. იგი არის ენთუზიაზმი და მძიმე შრომა [9, 10].

მეწარმეობა ბიზნესის რამდენადმე კერძო შემთხვევაა. ბიზნესთან



შედარებით მეწარმეობის მასშტაბები მცირეა და იგი მეტწილად მცირე ბიზნესს განეკუთვნება. მეწარმეობა გულისხმობს ახალი საქმის (იდეის, პროექტის) განხორციელებას. ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამეწარმეო საქმიანობა, რამდენადაც ბიზნესს მიეკუთვნება ნებისმიერი ცალკეული ერთჯერადი კომერციული გარიგების განხორციელებაც საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს მოგების (შემოსავლის) მიღებას [1, 39].

საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ იგი განმარტებულია შემდეგნაირად: „მეწარმეობა არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით ორგანიზებულიად და დამოუკიდებლად [2, 16]“ მართლზომიერების ცნებაში იგულისხმება ის, რომ მოქალაქეს უფლება აქვს საკუთარი სახსრებით და რისკით წარმართოს ყოველგვარი საქმიანობა, თუ იგი კანონით აკრძალული არ არის.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მეწარმეობა არის საკუთარი ბიზნესის ორგანიზების ცოდნა და მისი ხორცშესხმა რეალურ ცხოვრებაში. იგი წარმოუდგენელია რისკის, ინოვაციურობის, მეწარმის პიროვნული თვისებების (როგორცაა სამეწარმეო ადლო, სიტუაციის ცვლილებაზე სწრაფი რეაგირება, მმართველობითი უნარის არსებობა) გარეშე. მნიშვნელოვანი იდეა ვერ განხორციელდება თუ მეწარმეს არ გააჩნია იმ საქმის ღრმა ცოდნა, რომლის წამოწყებასაც ის აპირებს.

მეწარმეობაში წარმატებას შეიძლება მიაღწიოს პიროვნებამ, რომელიც დაჯილდოებულია ბუნებრივი ტალანტით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ცოდნა, სიახლეების განჭკურება, ფანტაზია, შეუპოვრობა, მსადეოფნა მიიღოს გადაწყვეტილება და განახორციელოს იგი. წარმატებული კომპანიის დევიზია: შესანიშნავი ხარისხი, შესრულების საიმედოობა და ერთგულება კლიენტებთან დამოკიდებულებაში. მეწარმე უნდა იცოდეს როგორ შეადგინოს ბიზნეს-გეგმა, ჩაატაროს ბაზრის კვლევა, აწარმოოს ბუღალტრული დოკუმენტაცია, გადაიხადოს გადასახადები, იცოდეს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა.

მეწარმეთა ფუნის და კონკურენტუნარიანი სამეწარმეო სტრუქტურების ფორმირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. უახლოეს პერიოდში მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრიორიტეტად უნდა იქცეს, რამეთუ ახლაც და შერეც მეწარმეობის განვითარება ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრესი გარანტია იქნება.

მეწარმეთა ფუნის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა მოქალაქე დაცული იყოს სახელმწიფოს მხრიდან. დაცვის მექანიზმის ძირითადი ღერძი კონკურენციაა. მაგრამ დღევანდელი კონკურენცია ხშირად სცილდება ჯანსაღ კონკურენციას და მტრობაშია გადაზრდილი.

მეწარმეობის თეორია ჯერ არაა შექმნილი, თუმცა ასეთი თეორიის არსებობა დიდი ხანია საჭიროა.

გამოყოფენ მეწარმეობის პრაქტიკის მეცნიერული გააზრების განვითარების „სამ ტალღას“.

პირველი წამოიშვა მე-18 საუკუნეში და უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობაში რისკზე ყურადღების გამახვილებას. ფრანგმა ეკონომისტმა რ. კანტილონმა პირველად წამოიწია დებულება რისკზე, როგორც მეწარმეობის ძირითად ფუნქციონალურ მახასიათებელზე. მისი აზრით, „მეწარმე არის ნებისმიერი ინდივიდი, რომელსაც შეუძლია თავის თავზე აიღოს რისკი, მისწრაფის მომავლისაკენ, იმედი აქვს მიიღოს შემოსავალი და მზად არის დანაკარგებისათვისაც“ [8; 20]. ამ მიმდინარეობის მომხრეებს მიეკუთვნებიან

გერმანული კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ი. ტონენი და გ. მონძალდტი, ასევე ამერიკელი ეკონომისტი ფ. ჰაიტი. მეწარმეობის მეცნიერული გააზრების „მეორე ტალღა“ დაკავშირებულია ინოვაციურობის, როგორც მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნის გამოყოფასთან. ამ მიმართულების ფუძემდებელია მსოფლიო ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი ი. შუმპეტერი (1883-1950), რომელიც მეწარმეობას განიხილავდა, როგორც ეკონომიკური განვითარების მექანიზმის ცენტრალურ ელემენტს. მისი აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველია მეწარმის განსაკუთრებული ფუნქცია, გამოიყენოს წარმოების ფაქტორთა „ახალი კომბინაცია“, რის შედეგადაც მიიღება სიახლე, ინოვაცია [8; 29].

„ორივე ტალღა“ ემყარებოდა მეწარმეობის მონოფუნქციონალურ როლს და დაიყვანებოდა მეწარმეობის პრობლემის ცალმხრივ გაგებაზე.

მეწარმეობის მრავალფუნქციონალური მოდელი დაკავშირებულია „მესამე ტალღასთან“. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ლ. მიხესი და ფ. ხაიკენი. მათი აზრით, „მეწარმის საქმეა ახალი ტექნოლოგიური მეთოდების არა უბრალოდ ექსპერიმენტი, არამედ მრავალი შესაძლებელი მეთოდიდან ისეთის ამორჩევა, რომელიც უფრო ხელსაყრელია... ხალხი უზრუნველყოს იმით, რაც მათ ამ მომენტში ყველაზე მეტად სჭირდებათ“ [8, 34].

„მესამე ტალღა“ ყურადღებას ამახვილებს მეწარმის პიროვნულ თვისებებზე (ეკონომიკური და საზოგადოებრივი სიტუაციის ცვლილებისას სწრაფი რეაგირების უნარზე, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაზე, მმართველობითი უნარის არსებობაზე) და მეწარმეობის როლზე, როგორც ეკონომიკური სისტემის გაწონასწორების მარეგულირებელ საწყისზე. ლ. მიხესისა და ფ. ხაიკენის იდეები განავითარა ამერიკელმა ეკონომისტმა ი. კირცენერმა, რომელიც მეწარმის როლს ხედავს იმაში, რომ მან მიადწიოს სისტემის ისეთი რეგულირება, განახორციელოს მისი ისე მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფდა ბაზრების გაწონასწორებას, ე.ი. მეწარმე წარმოადგენს „გამაწონასწორებელ“ ძალას [8, 35].

მეწარმეობის მეცნიერული გააზრების თანამედროვე ეტაპი შეიძლება მიეკუთვნოს „მეთოხე ტალღას“, რომლის დროსაც აქცენტი გადატანილია მეწარმის მმართველობით ასპექტზე.

ამ აზრს იზიარებს პროფესორი ლ. ჩიქავა, რომელიც ბიზნესს უკავშირებს მეწარმეთა კონკრეტულ საქმიანობას, რომ იგი არის უპირველესად ცოდნის და ინტელექტუალური პოტენციალის გონივრული გამოყენება, საქმიანი, მომგებიანი, საშინაო და საგარეო კავშირების დამყარება, ეს არის მენეჯმენტის სწორი და გამართული პროცესი, რომელიც მოგებას უზრუნველყოფს [3, 153].

მეწარმე ის ბიზნესმენია, რომელიც ხელმძღვანელობს და ახორციელებს დამოუკიდებელ, ამავე დროს მეტად მნიშვნელოვან იდეას [4, 9]. მეწარმის მოღვაწეობა უშუალოდ დაკავშირებულია როგორც ახალი იდეის გენერირებასა და განხორციელებასთან, ასევე არსებულის გაუმჯობესებასთან. მეწარმეები წარმოადგენენ იმ ძალას, რომლებიც საინტერესო იდეებს რეალობად აქცევენ.

თუ ბიზნესმენი მეწარმეა, იგი უნდა ერკვეოდეს არა მხოლოდ თავისი პროდუქციის დამზადების პროცესში, არამედ კონკურენტების პროდუქციის ტექნოლოგიასა და ხარისხობრივ მახევენებლებში, ბაზრის მოთხოვნასა და ფასებში. ბიზნესმენმა არ შეიძლება საქმიანობის ყველა სფერო იცოდეს, მაგრამ თავისი საქმიანობის სფეროში უნდა იყოს მომზადებული და გააჩნდეს სათანადო ნიჭი.

ამგვარად, მეწარმე არის სამეურნეო სუბიექტი, რომელიც ბაზარზე ორიენტირებულ, კანონიერ, ინიციატივიან, რისკთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ საქმიანობას ეწევა მოგების (შემოსავლების) მიღების მიზნით. ეს მოგება მის მიერ გამოიყენება პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა



და წარმოების განახლება-გაფართოებისათვის.

ასეთ სამეურნეო სუბიექტს (მეწარმეს) შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ერთი მოქალაქე (ოჯახი), ისე მოქალაქეთა ასოციაცია.

ცალკეულ შემთხვევაში მეწარმეობის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფო შესაბამისი ორგანოებით. მაგრამ საბაზრო ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე, სახელმწიფო, როგორც ასეთი, რომელიც ადგენს ბიზნესის ორგანიზაციის წესებს და აკონტროლებს მათ დაიცვას და შესრულებას, მეწარმეობის სუბიექტად ვერ გამოდგება.

ხშირად ამბობენ, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე თავისუფალია, თავისი საკუთრების სრულყოფილებიანი ბატონ-პატრონი და გამგებელია. მეწარმის თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ მან უნდა იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი ნების კარნახით, გარეშე ობიექტური (საბაზრო) პირობების და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებლად. თუ მეწარმემ იმოქმედა მოთხოვნის გათვალისწინებლად, მისი საქონელი ვერ სადღედა და თვითონ კონტრდება. თუ კანონით აკრძალულ საქმიანობას მიჰყო ხელი (მაგ. ნარკობიზნესს), ისჯება ადმინისტრაციული ან ეკონომიკური სანქციების წესის გამოყენებით.

ამრიგად, მეწარმის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერს, ვისაც კი გააჩნია გარკვეული კაპიტალი, უნარი და სურვილი, უფლება აქვს ბაზრის კონიუნქტურის, კანონიერებისა და პირადი სარგებლიანობის გათვალისწინებით (და არა ზევიდან ბრძანებით) დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თუ საქმიანობის რომელ სახეს მიჰყოს ხელი, თუ რა, როგორ და რამდენი აწარმოოს, ვისგან შეიძინოს რესურსები, ვის, როდის, რამდენი და რა ფასად მიჰყიდოს.

მეწარმეთა თავისუფლებას თან უნდა სდევდეს მომხმარებელთა თავისუფლებაც. თითოეულ მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს საკუთარი სახსრებით შეიძინოს ის, რაც მას აუცილებლად და საჭიროდ მიაჩნია. შესაძლებელია შეიძლება დაწესდეს პროდუქტების და მომსახურების მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ სახეებსზე.

მეწარმეს უნდა ჰქონდეს ინიციატივის, შემოქმედებითი ძიების, კომერციული გამჭრიახობის და ბაზრის კონიუნქტურაში ორიენტაციის უნარი. მეწარმის მამოძრავებელი მოტივი მაღალი მოგების მიღებაა. მწვევე კონკურენციულ ბრძოლაში შეუძლებელია მოგება მიიღოს ისე, რომ წარმოებაში არაფერი შეცვალო. ბაზარზე მყარად იმკვიდრებს ადგილს და დიდ წარმატებებს აღწევს ის მეწარმე, რომლის პროდუქციაც მაღალხარისხოვანია, მოდურია, წარმოებულია შედარებით დაბალი დანახარჯებით.

მეწარმის, ბიზნესმენის განსაკუთრებული თვისებაა მოგებისათვის რისკზე წასვლის უნარი. ბიზნესში ერთნაირადაა შესაძლებელი მოგებაც და წაგებაც. ამიტომ ბიზნესში წარმატებას აღწევს ის მეწარმე, ვინც გულმოდგინედ ირჩევს საქმეს. მეტწილად სწორედ ადამიანების ცოდნა და გამოცდილება იცავს ბიზნესს მარცხისაგან. ბიზნესში რისკი მცირდება ან სრულად გამოირიცხება იმისდა მიხედვით, თუ საქმის წარმოების როგორი სისტემა იქნება შექმნილი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმე დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელია. მას მართავს მხოლოდ ბაზარი და კანონი. მეწარმის ყოველგვარი საქმიანობა, საკუთარი საქმის წამოწყება და გაფართოება მოგების მიღების მიზნით ხდება. მაგრამ მეწარმე ისწრაფვის რა პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, ამავე დროს ახდენს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც.

ბიზნესის სამყაროში, ბიზნესმენის ბედი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას ფიქრობენ მასზე პარტნიორები, რამდენადაც კლიენტებთან და

პარტნიორობთან სახელის გატეხვა ძალიან ძვირი ჯდება. მაგალითად, მეწარმის მიერ ხხვა ფირმის სასაქონლო ნიშნის მითვისება, გადასახადისაგან თავის არიდება ან შემოსავლის გადამაღლა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დიდ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ დანაშაულად და ისჯება ბიზნესის სამკაროში პრესტიჟის დაკარგვით. სამეფლო და პირიანი კაცის სახელი მეწარმისათვის ყველაზე საუკეთესო სავიზიტო ბარათია. მეწარმის სიტყვა გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე ნებისმიერი ხელმოწერა, ბეჭედი თუ თამბასუქი.

მეწარმის მიერ თავისი საქმიანობის საიდუმლოებების დაცვა გარეშეებისაგან (საგადასახადო და საფინანსო სამსახურების გარდა) კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ბიზნესის უმნიშვნელოვანესი თვისებაა ქველმოქმედება. იგი ნებაყოფლობით უნდა ხდებოდეს. ქველმოქმედება მეწარმის სულიერ სიმდიდრეზე უნდა იყოს დამოკიდებული.

მეწარმეს შესაძლებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება არ გააჩნდეს, მაგრამ საკუთარი საქმის ორგანიზებისას უნდა შეარჩიოს კომპეტენტური და ორგანიზატორული უნარის მქონე თანამშრომლები. ისინი არ უნდა შეირჩინენ მარტო მეგობრული, ნათესაური ან პოლიტიკური მოსახრებით. პირადი ერთგულება და საიმედოობა კარგია, მაგრამ წარმატების გარანტი არ არის. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსათვის, რამეთუ ჩვენში მეგობარს, ნათესავს, ქრთამს საქმისა და კანონის წინ აყენებენ. დამოუკიდებელი საქმის გაძღოლას მეტი ენერჯია, რისკი, ინიციატივა ესაჭიროება, ვიდრე სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში გარანტირებულ ხელფასის მინიმუმზე მუშაობას. პირველ შემთხვევაში მართალია დიდი ენერჯის დახარჯვაა საჭირო, მაგრამ შესაძლებელია დიდი ქონების დაგროვებაც; მეორე შემთხვევაში საკმარისია პასიური მუშაობა, მაგრამ შესაძლებელია მარტოოდენ დღიური ლუკმა-პურის გამომუშავება და ისიც არა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში მთავარი როლი ენიჭება ცივილიზებულ, ზნეობრივ (წესებზე აღზრდილ), წესიერ მეწარმეთა კლასის ფორმირებას. მეწარმეობა ნელ-ნელა იქცევა რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ ძაღად, თუმცა ამ პროცესს მნიშვნელოვნად ზღუდავს პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობები, კერძოდ, გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური არასტაბილურობა, კორუფცია, მეწარმეობისათვის არასასურველი ფსიქოლოგიური ფონი, გადატაკებულ მოსახლეობის უნდობლობა კერძო ბიზნესისადმი, გადასახადების სიმრავლე, იმფლაცია განაპირობებს მეწარმეთა ორიენტაციას არა განვითარებაზე, არამედ საკუთარი გადარჩენისათვის ბრძოლაზე. საბაზრო ურთიერთობათა განვითარება საქართველოში შეუქცევადი პროცესია, რადგან ბაზარს ქმნის არა საქონელი, არამედ ურთიერთკონკურენტი მეწარმეები. მათი უდიდესი უმრავლესობა ქვეყანაში მცირე ბიზნესსმენება. მცირე ეკონომიკა პრაქტიკულად არის ნებისმიერი სახელმწიფოს მსხვილი ეკონომიკური პოლიტიკა. იგი საქართველოს ეკონომიკაში ხელს შეუწყობს ტრადიციული, მივიწყებული დარგების აღდგენა-ჩამოყალიბებას, კონკურენტული მექანიზმის სრულყოფილად ამოქმედებას და საბაზრო გარემოს შექმნას.

1. გ. შუბლაძე. ბიზნესის და მენეჯმენტის შესახებ. ეკონომიკა, თსუ გამომცემლობა. 2001 წ.
2. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. თბილისი, 1997 წ.
3. ლ. ჩიქავა. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბილისი, 1997 წ.
4. რ. ციციანიშვილი. თანამედროვე ბიზნესი, თბილისი, „მეცნიერება“, 1996 წ.
5. Бусыгин А. В. Предпринимательство. М. Дело. 2000 г.
6. Дараховский И. С., Черноиванов И. П., Прехул Г. В. Бизнес и менеджер. М. 1992 г.
7. Предпринимательство в конце XX века. М. 1992 г.
8. Сиropolis Н. К. Управление малым бизнесом. М. 1997 г.
9. Хизрич Р., Питерс М. Предпринимательство. Вып 1. М. «Медия», 1991 г.
10. Хоскинг А. Курс предпринимательства. М. Прогресс, 1994 г.

Г. Эрკომაიშვილი
Предпринимательство: особая форма деловой активности

Резюме

На сегодня в экономической литературе не существует общепризнанного определения предпринимательства. Теории предпринимательства пока нет за границей, ни тем более у нас, хотя существование такой теории необходимо уже давно.

В Грузии предпринимательство постепенно становится реальной экономической и политической силой, поскольку путь формирования рыночной экономики проходит через развитие предпринимательства, бизнеса.

G. Erkomaishvili
Entrepreneurship: the Particular form of Business Activity

Summary

Commonly adopted definition of entrepreneurship does not exist in economic literature. The theory of entrepreneurship is not created neither abroad nor in Georgia. Though existence of such theory is extremely necessary. The entrepreneurship gradually becomes real economic and political power in Georgia, because the way of market economy development goes through business development.



ბ. მღვინეიშვილი

ბიზნესის განვითარების დემოგრაფიული გარემო საპარამეტროში

ბიზნესმენტა ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, დემოგრაფიული გარემოა, ვინაიდან მათი საქმიანობის შედეგების შემფასებელი და მკიდველი, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობაა. მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ იქმნება ის პროდუქციაც, რომელიც კონკრეტულ ბიზნესმენს გამოაქვს ბაზარზე სარეალიზაციოდ.

ბიზნესისა და დემოგრაფიული გარემოს განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. ეს კავშირი არ არის ცალმხრივი. არა მარტო დემოგრაფიული გარემო, მასში მომხდარი ცვლილებები ზემოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე, არამედ ბიზნესის განვითარების დონეც ახდენს გავლენას დემოგრაფიულ გარემოზე, იწვევს დადებით ან უარყოფით ძვრებს მოსახლეობის მთლიან რაოდენობასა და სტრუქტურაში, ოჯახების რაოდენობასა და შემადგენლობაში, შემოსავლებში, ცხოვრების დონეში, მიგრაციაში.

დემოგრაფიული სისტემის შემადგენელი ძირითადი ელემენტების ცვლილებების ამსახველ მაჩვენებლებში საფუძვლიანად გარკვევის გარეშე ნაკლებად მოსალოდნელია ეფექტიანი საქმიანობა ბაზარზე: მოსახლეობის რაოდენობის და სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილება, შობადობის, სიკვდილიანობის, მიგრაციის, დასაქმების, ქვეყნის ტერიტორიაზე განფენილობის მდგომარეობა, რელიგიური რწმენა, ოჯახების რაოდენობა და შემადგენლობა ის ძირითადი დემოგრაფიული ფაქტორებია, რომლებიც მეტ-ნაკლები ზომით ზემოქმედებენ ბიზნესმენტა საქმიანობაზე სხვადასხვა სფეროებში.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, ბუნებრივია, განაპირობებს მოთხოვნილებათა ზრდას. მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს – ასეთია საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონზომიერება. ძირითადი მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილების გარეშე მოსახლეობის ნაწილს შეიძლება ფიზიკური განადგურების საფრთხე დაემუქროს. ყველა შემთხვევაში მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობას შედეგად მოყვება არასასურველი დემოგრაფიული პროცესები, რაც შეიძლება სოციალური აფეთქებითაც კი დამთავრდეს. დღევანდელ საქართველოში ეს ობიექტური რეალობაა. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაც პირდაპირ ზემოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე. მოთხოვნილებების შეკვეცას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, თან სდევს მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, აუცილებლად

უნდა მოყვეს ბიზნესის განვითარების საზღვრების შემჭიდროება მოცემული კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე, ან უნდა გაფართოვდეს ბაზრის საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო დაზარალებდა, მოსალოდნელია მისი გაკოტრებაც. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უკანასკნელ პერიოდში (1992 წლიდან მოყოლებული) შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 1996 წლის შემდეგ მოსახლეობის კლების ტენდენცია მნიშვნელოვნად შენეულა, მაგრამ მისი დონე მაინც მაღალი რჩება [1, 14]. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესმენტათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაშია ის ბიზნესმენები, რომლებიც დასაქმებულნი არიან ვაჭრობაში და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ახორციელებენ. მოსახლეობის კლების ტენდენცია ჯერჯერობით საფრთხეს არ უქმნის ბიზნესის განვითარებას წარმოების სფეროში მუშახელით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ შექმნილი პრობლემების რეალიზაციის პრობლემები მათაც შეექმნებათ, ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები ძირითადად საშინაო ბაზრისათვის მუშაობენ და მოსალოდნელია, რომ მომავალშიც ასე იქნება. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ჭარბობენ მცირე ბიზნესის საწარმოები. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევით 1999 წელს ქვეყანაში მოქმედებდა 24009 საწარმო, რომელთაგან მხოლოდ 114 პროცენტი (2742 ერთეული) იყო მსხვილი და საშუალო სიდიდის საწარმო. დანარჩენი 88.6 პროცენტი (21267 ერთეული) მცირე ზომის საწარმოს წარმოადგენდა [2, 24]. საერთაშორისო არენაზე გასვლას დიდი რაოდენობით რესურსები ჭირდება, ამის შესაძლებლობა კი ქართული საწარმოების აბსოლუტურ უმეტესობას არა აქვს, რომ აღარაფერი ითქვას კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაზე. უმუშევართა რაოდენობა იზრდება მოსახლეობის რაოდენობის შემცირების პირობებშიც. 1996-2000 წლებში რეგისტრირებულ უმუშევართა რიცხვი 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. თუ საქართველოს მოსახლეობამ 2001 წლის დასაწყისისათვის 4452,1 ათასი კაცი შეადგინა 1996 წლის 5416.0 ათასი კაცის ნაცვლად, რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა 57,7 ათასი კაციდან 117,3 ათას კაცამდე გაიზარდა. ზრდა აღინიშნებოდა შუგარდებით მაჩვენებლებშიც, რეგისტრირებული უმუშევრობის დონემ (პროცენტებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან) 1996 წლის 2.4 -ის ნაცვლად 3.5 შეადგინა 2000 წლის ბოლოსათვის. რეგისტრირებული უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი იყო 1999 წლის ბოლოსათვის - 5.0 პროცენტი [3, 33,55]. ფაქტობრივად საქართველოში უმუშევართა რიცხვი ბევრად მეტია. უმუშევართა ნაწილი არ არის რეგისტრაციაში გატარებული, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი კი თვითდასაქმებულია.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში ქვეყნისათვის და, ცხადია, ბიზნესის განვითარებისათვისაც, არასასურველი პროცესები ვითარდება. მკაფიოდ გამოიკვეთა მოსახლეობის დაბერების ტენდენცია. 1996 წელთან შედარებით 2000 წელს 16 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში თითქმის 4 პუნქტით შემცირდა, შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა წილი კი გაიზარდა. 2000 წელს 65 წელზე უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წონა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 13.3 პროცენტს შეადგენდა. ეს მაშინ, როცა მსოფლიო პრაქტიკაში ხდურული კრიტიკული მაჩვენებელი 7 პროცენტს არ აღემატება [4, 77]. საქართველოს მოსახლეობის დაბერების ინტენსიური პროცესის საფუძველი, ერთი მხრივ, შობადობის შემცირება და სიკვდილიანობის ზრდა, მეორე მხრივ კი გარე მიგრაციის მასშტაბების გაფართოებაა. მოსახლეობის დაბერების პროცესი ბევრ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-იც აღინიშნება, მაგრამ საქართველოსგან განსხვავებით იქ ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი



სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდაა [5, 100]. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით შობადობის კოეფიციენტი 2000 წელს 8.9 პრომილე შეადგინა, 1990 წლის 17 პრომილე ნაკლებად. რამდენადაც სტაბილური იყო სიკვდილიანობის კოეფიციენტი (1990წ-8.4; 1995წ-7.8; 1998წ-7.6; 1999წ-8.8; 2000წ-9.1) [4, 39]. მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ ერთმა უარყოფითმა მოვლენამ იჩინა თავი – გარდაცვლილებში გაიზარდა ახალგაზრდა (შრომისუნარიანი) ასაკის მამაკაცების ხეცდრითი წონა [4, 76]. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გააღრმავა დაბერების პროცესი, დისპროპორციები მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობაში. აღნიშნულმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე, მათ შემოსავლებზე და თანაც გამოიწვია შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რადგან ახალგაზრდა მამაკაცის სიკვდილი ყოველი შემთხვევა შეუქმნელი ოჯახი, ან მარჩენალდაკარგული ოჯახია. ამის გამო საქართველოში ბიზნესის განვითარებისათვის არახელსაყრელი ვითარება იქმნება, თუმცა არა დღევანდელ პირობებში, როცა შრომისუნარიანი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი დაუსაქმებელია ან დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შეუსაბამო სფეროებში.

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მომხდარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება ბავშვთა რაოდენობის შემცირებაა. 1989 წლის დასაწყისისათვის 0-14 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 24.8 პროცენტი იყო. 1996 წლის დასაწყისისათვის ეს მაჩვენებელი 22.6, ხოლო 2001 წლის დასაწყისისათვის 20.4 პროცენტამდე შემცირდა. [3, 34-35]. ბავშვთა რაოდენობის შემცირება განაპირობა შობადობის შემცირებამ და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის ზრდამ. დღეისათვის საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამასთან აღემატება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმეტესობის ანალოგურ მაჩვენებლებს, თუმცა ბოლო პერიოდში ის რამდენადაც შემცირდა. 1994 წლისათვის ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი ავსტრიაში იყო – 4.3; ბელგიაში – 5.3; გერმანიაში – 4.5; იაპონიაში – 3.4; ბელორუსში – 11.5; რუსეთში – 16.9; სომხეთში – 15.4; უკრაინაში – 12.8, ხოლო საქართველოში – 17.5 [4, 292].

0-14 წლის ასაკის ბავშვთა რაოდენობის შემცირება, ბუნებრივია, განაპირობებს ბავშვთა სამომხმარებლო საქონლის ბაზრის შეკვეცას. ამასთან მომავალში, კერძოდ, 2010 წლიდან თანდათანობით შემცირდება მოზარდთა ბაზარიც. ეს არახელსაყრელია იმ საწარმოთათვის, რომელნიც თავიანთი საქონლით დაკავშირებული არიან მოზარდთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. მოზარდთა ბაზარი ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებით იზიდავს საწარმოთა ხელმძღვანელებს [5, 101], რადგან პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეკონომიკური პირობების მიუხედავად მოზარდები სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით უმეტეს შემთხვევაში საქონელს უფრო აქტიურად ყიდულობენ.

მოსალოდნელია, რომ მომავალში მოზარდთა ბაზარი საქართველოში შეიცვლება არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისობრივადც. დღეისათვის მოზარდებში უკვე ნათლად გამოიკვეთა ბევრი არაჯანსაღი ტენდენცია, კერძოდ: ისინი სულ უფრო აქტიურად ყიდულობენ და ეწევიან სიგარეტს, ნაკლებად ზრუნავენ სხეულის გაკაფებაზე, სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, იცვამენ ფართო საზოგადოებისათვის მიუღებლად, არ არიან დასაქმებულნი (მათგან დამოუკიდებელი მიზნების გამო). აღნიშნული ცვლილებები მოზარდთა ცხოვრებაში, ბუნებრივია, ხელსაყრელია ბევრი საწარმოსათვის და ისინიც „სიამოვნებით“ იყენებენ საქონლის გასაღების და მოგების მიღების ამ არხებს, არ იცავენ რა სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციის პრინციპებს.

რაოდენობის თვალსაზრისით ცვლილებებია მოსალოდნელი 20-60 წლის ასაკის მოსახლეობაშიც. ამის მიზეზი ინტენსიური გარე მიგრაცია და ახალგაზრდა მამაკაცების მაღალი სიკვდილიანობაა.

მომავალ ოც წელში დაშვებით დემოგრაფიული თვალსაზრისით ბიზნესის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები შენარჩუნდება საქართველოში. მეცნიერ-დემოგრაფთა გამოკვლევის მიხედვით 2020 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შემცირდება და შეადგენს 3749 ათას კაცს, შეიცვლება მისი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც გარე მიგრაციაში მომხდარი ცვლილებების, შობადობის შემცირების, სიკვდილიანობის შემდგომი მატების, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდის და სხვა მიზეზების გამო [1, 163].

მოსახლეობის საერთო რაოდენობის და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ბიზნესის სფეროში დასაქმებულმა ადამიანებმა მარკეტინგული სტრატეგიის დამუშავების და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის პროცესში, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან ისინი ხშირად უკავშირდებიან მოთხოვნილებებს და მომხმარებელთა ქცევას საქონლის ყიდვის პროცესში. ერთი და იგივე საქონლის მოხმარება მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ხშირ შემთხვევაში განსხვავებულია და ზოგჯერ რადიკალურადაც კი. თანაც სხვადასხვა ტიპის მყიდველები არიან მოზარდები, ახალგაზრდები, საშუალო ასაკის ადამიანები, აგრეთვე ქალები და მამაკაცები.

ბიზნესის ზოგიერთი სახის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ოჯახების რაოდენობის და შეილიანობის მაჩვენებლებს, რადგან ბევრი სამომხმარებლო საქონელი მოიხმარება სწორედ ოჯახების და ოჯახებში ბავშვების რაოდენობის მიხედვით. ოჯახების რაოდენობა და შემადგენლობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მნიშვნელოვნად ქორწინებათა და განქორწინებათა რიცხვზე. საქართველოში დღეისათვის ამ მხრივაც არახელსაყრელი ვითარებაა. 1980 წელთან შედარებით 2000 წელს ქორწინებათა რიცხვი 3.9-ჯერ შემცირდა. 1980 წელს საქართველოში შეიქმნა 50.5 ათასი ოჯახი, 1995 წელს – 21.5 ათასი, 2000 წელს კი მხოლოდ 12.9 ათასი ოჯახი [3, 38]. უარყოფითი პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა განქორწინებათა რიცხვის ზრდამ. 1980 წლისათვის განქორწინდა 6.8 ათასი ოჯახი, რაც ამ წელს შექმნილი ოჯახების 13.5 პროცენტი იყო. 1990 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 21.2 პროცენტი, 1995 წლისთვის 12.6, 2000 წლისთვის კი 14.7 პროცენტი შეადგინა [3, 38] იზრდება იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც ერთად ქორწინების გარეშე ცხოვრობენ. განქორწინებულები, დაქვრივებული და რეგისტრირებულ ქორწინებაში არმყოფი პირები შეადგენენ საქონლის ყიდვის და მოხმარების თვალსაზრისით სპეციფიკურ სეგმენტებს, რადგან მათი მოთხოვნილებები ჩვეულებრივი ოჯახების (დედა, მამა, შვილები, პაპა, ბებია) მოთხოვნილებებისაგან განსხვავებულია. მარტო მცხოვრებ ადამიანებს (გაუთხოვრებს, ბერძიგებს, ქვრივებს, განქორწინებულებს, მარტოხელა დედებს) სჭირდებათ შედარებით მცირე ზომის ბინა, სხვა სახის საოჯახო საქონელი, წვრილად დაფასოებული კვების პროდუქტები და ა.შ.

მაშასადამე, ერთსულანი ოჯახები წარმოადგენენ საკუთარი, სპეციფიკური მოთხოვნილებების მქონე სოციალურ ჯგუფს, რის გამოც ისინი განვითარებულ ქვეყნებში მარკეტოლოგთა ყურადღების ცენტრში იმყოფებიან. ასევე უნდა მოხდეს საქართველოშიც. ერთსულიანი ოჯახებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ რესტორნების ბიზნესით დაკავებული ადამიანები. აშშ-ის რესტორნების ეროვნული ასოციაციის მონაცემებით მარტოხელა მომხმარებლები რესტორნებში ხარჯავენ თავიანთი ყოველთვიური შემოსავლის ნახევარზე მეტს, მაშინ როცა ოჯახიანი ადამიანების მიერ ამ მიმართულებით გაწეული ხარჯები არ აღემატება ყოველთვიური შემოსავლის 37 პროცენტს [6, 116].

ბიზნესმენებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, აგრეთვე, ოჯახის შეიღიანობის რეპროდუქციული ნორმების ცვლილებას. საქართველოს მოსახლეობაში გასული საუკუნის დასასრულს თანდათანობით გამოიკვეთა სამშვილიანი ოჯახის იდეალის მქონე გათხოვილი ქალების მაღალი ხვედრითი წონა. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მომავალში საქართველოში მცირე შეიღიანობის (1-2 შვილი) რეპროდუქციული ნორმები დამკვიდრდება [1, 77]. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ბიზნესმენთათვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც საბაჟო სისტემის საქონლის წარმოება-გასაღებით არის დაკავებული. მცირეშვილიანი ოჯახები საქონლის ყიდვის პროცესში განსხვავებულად იქცევიან. ჯერ ერთი, მრავალშვილიან ოჯახებთან შედარებით მათ მეტი ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ, მეორე, ისინი შეიღიანობის (ან შვილებისათვის), უმეტეს შემთხვევაში, ყიდულობენ ყველაფერს, რასაც ის მოითხოვს. ამის გამო ასეთი სეგმენტები ყოველთვის ბიზნესმენთა ყურადღების ცენტრში ექცევა.

ბოლო წლებში საქართველოსათვის არატრადიციული ცვლილებები შეიმჩნევა ოჯახებში ქალსა და მამაკაცს შორის როლების განაწილების საქმეში. ეს დაკავშირებულია ქალების დასაქმების ზრდასთან. განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით მომუშავე ქალთა რიცხვი ძირითადად თვითდასაქმების ხარჯზე იზრდება. ქალთა დასაქმების გაფართოების და ქვეყანაში დღეისათვის შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების პარალელურად განვითარდება ბიზნესის ისეთი ფორმები, როგორცაა ტელეფონით და ფოსტით ვაჭრობა, კომპიუთერების მეშვეობით საქონლის გასაღება, მზა ნაწარმის და ნახევარფაბრიკატების მასობრივი კვების ობიექტებიდან გაყიდვა, გაფართოვდება რესტორნებში და მასობრივი კვების სხვა ობიექტებში მომსახურებელთა რაოდენობა. 1991 წელს დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული უმუშევრებიდან ქალი იყო 57.1 პროცენტი. ეს მაჩვენებელი 1995 წელს შემცირდა 36.8 პროცენტამდე, 2000 წლისათვის კი კვლავ გაიზარდა და 52.7 პროცენტი შეადგინა, თუმცა 4,6 პუნქტით ჩამორჩებოდა 1991 წლის შესაბამის მაჩვენებელს [3, 55]. ქალების დასაქმება ზრდის რა მათ როლს ოჯახში, უბიძგებს ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებს მთელი რიგი საქონლის რეკლამირების პროცესში ქალებზე ორიენტაციისაკენ. უმუშევარი მამაკაცები საქართველოში სხვა ქვეყნების მსგავსად სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ შვილების აღზრდასა და პირველადი მოთხოვნილებების საოჯახო საქონლის ყიდვაში, რაც ასევე ყურადღაღები ფაქტია ბიზნესმენთათვის. ოჯახებში ქალების როლის ამაღლება გამოწვეულია აგრეთვე მამაკაცების სიკვდილიანობის ზრდით. 1960 წელთან შედარებით 2000 წელს 25-44 წლის ასაკში მამაკაცების სიკვდილიანობა 2-ჯერ გაიზარდა, ხოლო 45-59 წლის ასაკში 1,5-ჯერ. მოვლენათა ასეთი განვითარების გამო 2000 წლისათვის 20-44 წლის ასაკის მამაკაცების სიკვდილიანობა ჭარბობდა შესაბამისი ასაკის ქალების სიკვდილიანობას 3 და მეტჯერ [1, 113]. ამის გამო ბევრი ოჯახის ერთადერთი მაჩვენებელი გახდა ქალი, რამაც მარკეტოლოგთა ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს ის აუცილებლად.

რეალიზებული საქონლის ასორტიმენტული სტრუქტურა უშუალოდ არის დამოკიდებული ხალხის განათლების დონეზე, როგორც პრაქტიკა უჩვენებს, ნორმალურ პირობებში განათლების დონის ამაღლება ზრდის მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან საქონელზე, წიგნებზე, კულტურული დანიშნულების საგნებზე, დასვენებასა და მოგზაურობაზე და შესაბამისად ამ სფეროებში გამოსაყენებელ საქონელზე. 1989 წლისათვის საქართველოში 10 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 1000 სულზე არასრული ან სრული უმაღლესი და საშუალო



განათლება პქონდა 798 ადამიანს. აქედან უმაღლესი განათლება პქონდა 17.1 პროცენტს, დაუმთავრებელი უმაღლესი - 2.8-ს, საშუალო პროფესიული - 21.2-ს, ზოგადი საშუალო - 41.1-ს, არასრული საშუალო 17.8 პროცენტს. 2000 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 849-ს, რომლის 23.1 პროცენტი იყო უმაღლესი განათლებით, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება პქონდა 4.6 პროცენტს, საშუალო პროფესიული - 20.0-ს, ზოგადი საშუალო - 37.9-ს, არასრული საშუალო კი - 14.4 პროცენტს [3, 88].

თუ სტატისტიკური მაჩვენებლებით ვიმსჯელებთ, უკანასკნელ 10 წელიწადში საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე რამდენადმე ამაღლდა. გაიზარდა განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე გაწეული დანახარჯების ოდენობაც. 1999 წელს ერთი შინამეურნეობის მიერ განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე გაწეულმა დანახარჯებმა საშუალოდ თვეში 5.2 ლარი შეადგინა, 2000 წელს კი 7 ლარი [3, 75]. ზრდის მიუხედავად ამ მიმართულებით გაწეული მიზერული ხარჯები, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობს განათლების, კულტურისა და დასვენების სფეროების შემდგომ განვითარებას. თანაც უმაღლეს დასრულებულთა რიცხვის ზრდა, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს მოსახლეობის განათლების საერთო დონის ამაღლებას. ასე რომ, განათლების დონის ამსახველი მაჩვენებლები, ვფიქრობთ, განათლების, კულტურისა და დასვენების სფეროს განვითარებისათვის საჭირო საქონლის წარმოება - გასაღებით დაკავებულ ბიზნესმენებს, აგრეთვე, თვით ამ სფეროების ხელმძღვანელებს არ გამოადგებათ თავიანთი საქმიანობის პერსპექტივების განსაზღვრის პროცესში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ დღეებში ეტაპზე „დიპლომისათვის სწავლა“, ჯერჯერობით ქართველთა დაუძლეველი სენია, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესში, სავარაუდოა, თანდათანობით დაიძლევა.

ბიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობაც. ყოველ ერს განსხვავებული კულტურული ტრადიციები და შესაბამისად განსხვავებული მოთხოვნილებები ახასიათებს. საქართველო, კავკასიის სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით ერთ-ერთი მრავალეროვნული ქვეყანაა. 1989 წლის აღწერის მონაცემებით ქვეყანაში მცხოვრები 5400.8 ათასი კაციდან ქართველი იყო 70.1 პროცენტი, აფხაზი - 1.8, ოსი - 3.0, რუსი - 6.3, უკრაინელი - 1.0, აზერბაიჯანელი - 5.7, სომეხი - 8.1, ებრაელი - 0.5, აზირიელი - 0.1, ბერძენი - 1.9, ქურთი - 0.6 პროცენტი [3, 37-38]. უკანასკნელ წლებში არაოფიციალური გარე მიგრაციის დიდი მასშტაბების გამო, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა რამდენადმე შეიცვალა, მაგრამ ქვეყანა კვლავ მრავალეროვნული რჩება. მრავალეროვნულობას თან ახლავს გასხვავება რელიგიურ რწმენაშიც. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული და რელიგიური სიჭრელე აფართოებს ბიზნესმენტა საქმიანობის სახეობებს.

XXI საუკუნის დასაწყისისათვის ბევრი ქართველის ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ისინი სულ უფრო მეტად ეწევიან სიგარეტს, სვამენ ყავას, მოგზაურობენ სახვადგარგარეთ, სადილობენ რესტორნებში. ეს მაშინ ხდება, როცა ამერიკელები სულ უფრო ნაკლებად ეწევიან სიგარეტს, სვამენ ყავას, ალკოჰოლიან სასმელებს, მიირთმევენ ხორცს და სულ უფრო აქტიურად ზრუნავენ თავიანთ ჯანმრთელობაზე. ამან ბევრ ამერიკულ კომპანიას პროფილიც კი შეაცვლევინა. ბევრმა სიგარეტის მწარმოებელმა კომპანიამ სასურსათო პროდუქტების და სასმელების წარმოებას მოკიდა ხელი („ფილიპ მორისი“), „ნესტლე“ დაიწყო დაბალკალორიული კვების პროდუქტების წარმოება. ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა თავიანთი ასორტიმენტე გააფართოეს ნაკლები ალკოჰოლის შემცველი ღვინოებით [5, 106-107]. ქართველთა ცხოვრების წესის

შეცვლამ განავითარა ბიზნესის ბერი სფერო (გაფართოვდა სივარტის წარმოება და ექსპორტი, ყაფის ექსპორტი, რესტორნების ქსელი . . .). უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მათი შემდგომი გაფართოება. ამის თქმის საფუძველს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების წესის ანალიზი იძლევა. ჩვენი აზრით, ბაზრის მოთხოვნილების მიუხედავად წარმოება და რეალიზაცია პროდუქციის იმ სახეებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და, საერთოდ, საზოგადოების ნორმალურ განვითარებას, აუცილებლად უნდა მოექცეს განსახლებურ ჩარჩოებში და ეს ისევ ქართველი ბიზნესმენების ხელით უნდა გაკეთდეს. სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფცია ყველა ადგილობრივმა ბიზნესმენმა უნდა გაითავისოს.

დემოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე აუცილებლად უნდა გაანალიზდეს სხვა ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით. ამის გარეშე ანალიზის შედეგების მიხედვით გატარებული ღონისძიებები საწარმოებს არ მოუტანს დადებით შედეგებს, რადგანაც ისინი არსებობენ და ფუნქციონირებენ ფაქტორთა კომპლექსური ზემოქმედების პირობებში. თეორიასა და პრაქტიკაში გამოყოფენ დემოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად ბიზნესის განვითარებაზე არაპირდაპირ მოქმედ სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ ფაქტორებს და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს. აღნიშნული ფაქტორებიდან დემოგრაფიულ ფაქტორებთან ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურული ფაქტორები და მოსახლეობის შემოსავლები სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა ჯგუფიდან.

კულტურული ფაქტორების ცვლილება ზოგჯერ აფერხებს ბიზნესის განვითარებას, ზოგჯერ კი, პირიქით, ახალ შესაძლებლობებს უქმნის მას. პრაქტიკაში განახსენებენ პირველად და მეორედ კულტურულ ფასეულობებს. პირველადი ფასეულობები გაცილებით უფრო მყარია, ვიდრე მეორადი, მაგრამ გარკვეულ ცვლილებას ისინიც განიცდიან.

ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარებაზე მოქმედ ქართველთა ძირითად კულტურულ ფასეულობებს მიეკუთვნება ოჯახის შექმნა, მუშაობა, შეიღების აღზრდა და განათლების მიცემა მათთვის, მშობლების პატივისცემა და შენახვა მოხუცებულობის პერიოდში, საერთოდ ტრადიციების დაცვა. ცოდნა ძირითად კულტურულ ფასეულობებზე ადამიანებს გადაეცემათ, პირველ რიგში, მშობლებისაგან. იგი შემდგომ უფრო მტკიცდება სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამსახურში, ეკლესიასა და სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებში. ძირითადი კულტურული ფასეულობების ზემოქმედებით ადამიანს უყალიბდება გარკვეული დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, ოჯახის წევრებისადმი, მეგობრებისადმი, კოლეგებისადმი, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი. ამ საფუძველზე განისაზღვრება მისი, როგორც მომხმარებლის, თავისებურებები საქონლის ყიდვის პროცესში.

საქართველოში ტრადიციულად ოჯახის მარჩნალი იყო მამაკაცი, ამიტომაც წამყვანი სიტყვა ძირითადად მას ეკუთვნოდა მჭირფასი და მალად-ფასიანი სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის ყიდვის პროცესში. ქალი უპირატესად ყოველდღიური მოთხოვნის ძირითადი საქონლის მყიდველის როლში გამოდიოდა. ბოლო წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა, როგორც უკვე აღინიშნა, რამდენადმე შეცვალა ქალისა და მამაკაცის ურთიერთდამოკიდებულება ოჯახში და ამ საფუძველზე მათი, როგორც მყიდველების, დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. ამასთან საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა ოჯახური ფასეულობებისადმი ერთგულებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებდა სახსრების დაზოგვას და შეგროვებას სახლის (ან ბინის) შესაძენად ან არსებულის უკეთესად მოსაწყობად, შეიღებისათვის განათლების მისაცემად,



პირადღირებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის საყიდლად.

უკანასკნელ წლებში ოჯახურ ფასეულობებს და საერთოდ ქართულ ტრადიციებს რამდენადმე დაუპირისპირდა ახალგაზრდობა, რომლის ნაწილიც ცდილობს იყოს დამოუკიდებელი, იცხოვროს ოჯახური ტრადიციების და საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად. ასეთი ტენდენცია აშშ-ში გაბატონებული იყო 80-იანი წლების შუა ხანებამდე, რასაც შედეგად მოჰყვა ხარჯების გაზრდა მოგზაურობაზე, გართობაზე, ტანსაცმლის და პირადი საურკებლობის საგნების შეძენაზე [5, 108]. საერთო გაჭირვების პირობებში ამ სახის ხარჯები საქართველოშიც საკმაოდ მაღალია. ამასთან მოგზაურობისაკენ, გართობისაკენ, საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა ახასიათებს არა მარტო ახალგაზრდობას, არამედ თითქმის მთლიანად საზოგადოების ახლად გამდიდრებულ ნაწილს.

ქართველთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია „სამომხმარებლო პატრიოტიზმის“ დაბალი დონე. უცხოური საქონლისაკენ „თვალი ქართველს ადრეც გაურბოდა და ახლაც გაურბის“. ეს გასაგებია და მისაღები, როცა ადამიანი უკეთეს პროდუქციას ყიდულობს, მაგრამ მაშინაც, ჩვენი აზრით, საჭიროა ფიქრი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობაზე. აშშ-ში ჩატარებული ერთ-ერთი გამოკვლევის მიხედვით „ამერიკელები ყოველთვის უნდა ეცადონ იყიდონ ამერიკული ნაწარმი“ (გამოკითხულია 80 პროცენტი) [7, 113]. ეფიქრობთ, ამერიკელთა ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი ეკონომიკისადმი სწორია და მითუმეტეს მისაღებია საქართველოს მოსახლეობისათვის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ამის მიღწევა უნდა შეტღონ თვითონ საწარმოებმა მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე ზემოქმედებით არსებული კანონების მოქმედების პირობებში. მაგრამ მარტო რეკლამა, რომელიც მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძირითადი საშუალებაა, შედეგს ვერ მოიტანს, თუ საწარმოები არ ეცდებიან თავიანთი საქმიანობით შეიქმნან ისეთი იმიჯი, რომელიც მოეწონება არა მარტო მომხმარებელს, არამედ მთელ საზოგადოებას.

მეორადი კულტურული ფასეულობები, ანუ სუბკულტურები, საქართველოში გამოიყოფა რეგიონების, რელიგიური რწმენის, ეროვნების მიხედვით. კონკრეტული საწარმოების მარკეტინგულმა სამსახურებმა უნდა გაარკვიონ, თუ რა მარკეტინგული შესაძლებლობები აქვთ მათ ამა თუ იმ სუბკულტურაში, ან რა საშიშროებები უქმნის მათ საქმიანობას ის. საქართველოში არსებული სუბკულტურებიდან დღეისათვის უნდა გამოვეყოთ აჭარელი მუსულმანი ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები. ისინი გამოიყოფიან არა მხოლოდ რელიგიური ნიშნის, არამედ აგრეთვე რეგიონების მიხედვითაც, რაც, ბუნებრივია, ბიზნესმენებისათვის ხელსაყრელია.

საწარმოთა მარკეტინგულმა სამსახურებმა სისტემატურად უნდა ადევნონ თვალყური მოსახლეობის შემოსავლების დონეს და მისი განაწილების მდგომარეობას. საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: დაქირავებული შრომა, თვითდასაქმება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია, ქონების გაქირავება, პროცენტი ანაბარზე, პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები, ქონების გაყიდვა, დანაზოგები და ა.შ. 1999-2000 წლებში საშუალოთვიური შემოსავლები (როგორც ფულადი, ისე არაფულადი) ერთ სულზე ქვეყანაში რამდენადმე შემცირდა. 1999 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 48.2 ლარს შეადგენდა, 2000 წელს კი 46.6 ლარს [3, 72]. სინამდვილეში მოსახლეობის ცხოვრების დონე უფრო დაბალია, ვიდრე ამას ციფრობრივი მონაცემები უჩვენებენ. 1999-2000 წლებში საშუალოთვიური შემოსავლების შემცირება მოხდა ფასების გაზრდის პირობებში. 2000 წელს სამომხმარებლო

ფასების წლიურმა ინდექსმა წინა წელთან შედარებით 104.0 პროცენტი შეადგინა [3, 254].

მოსახლეობის შემოსავლები საარსებო მინიმუმის ნახევარსაც კი ვერ ფარავს. 1999 წელს საარსებო მინიმუმი შეადგენდა 115.8 ლარს, 2000 წელს კი 114.5 ლარს [3, 80]. ასე რომ, მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული იყო თავისი შემოსავლები თითქმის მთლიანად სურსათის შექენაზე დაეხარჯა. 2000 წელს საქართველოს მოსახლეობის საშუალოთვიური ხარჯები სურსათზე მთელი სამომხმარებლო ხარჯების 48.3 პროცენტი იყო, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შექენაზე – 6.42, ჯანდაცვაზე – 5.18, ტრანსპორტზე – 7.2, სათბობსა და ელექტროენერგიაზე – 8.03 პროცენტი [3, 72-73] და ა.შ. მაშასადამე, საქართველო მიეკუთვნება ისეთი ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც მოსახლეობის დიდი ნაწილს მხოლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეუძლია. ამიტომ განვითარებული ქვეყნების ბიზნესმენები საქართველოს ბაზრით ძირითადად არ არიან დაინტერესებულნი. ადგილობრივი ბიზნესმენებიც დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ მომხმარებელთა ბაზრის განვითარების ტენდენციების გამოვლენას, სამომხმარებლო ხარჯების დინამიკის შესწავლას და მხოლოდ ამ საფუძველზე უნდა განსაზღვრონ თავიანთი მომავალი საქმიანობის სტრატეგია.

ამრიგად, დემოგრაფიული გარემო ბიზნეს-გარემოს მეტად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომლის შიგნით მიმდინარე ცვლილებებიც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში, ცხადია ერთნაირ გავლენას არ მოახდენს ბიზნესის განვითარებაზე. მაგრამ ზოგიერთი ცვლილება შეიძლება იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მისმა გაუთვალისწინებლობამ უარყოფითად იმოქმედოს საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებზე. ამიტომ, დემოგრაფიულ გარემოში ნაშთკალიბრული ცვლილებები, ძირითადი საბაზრო ტენდენციები, რომელთაც შეუძლიათ იმოქმედონ კომპანიის საქმიანობაზე, შესაძლებელია და უნდა დაფიქსირდეს [8, 57] შემდგომში გამოყენების მიზნით.

ლიტერატურა

1. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება (1960-2000) თბ., 2002.
2. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2000, გვ. 19-27.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2001, 2002. გვ. 26-57; 67-88; 286-292.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმა. თბ., 2001. გვ. 75-91.
5. Ассэль Г., Маркетинг: принципы и стратегия: Учебник для вузов. На русском языке. М., 1999. стр. 99-124.
6. Котлер Ф., Боуэн Дж., Мейкенз Дж. Маркетинг. Гостеприимство и туризм. Учебник для вузов. На русском языке. М., 1998. стр. 102-138
7. Армстронг Г., Котлер Ф. Введение в маркетинг. Уч. пособие. На русском языке. М., 2000. стр. 92-123
8. Дибб С., Симкин Л., Бредли Дж., Практическое руководство по маркетинговому планированию. На русском языке. Санкт-Петербург, 2001, стр. 51-57


Резюме

Охарактеризовано положение развития демографической среды Грузии в переходный период на рыночную экономику по численности, по половому составу населения, рождаемости, смертности, миграции, занятости, религии, количества и состава семей. В труде проанализированы также и другие факторы макросреды, которые более связаны, по мнению автора, с демографическими факторами, культурные факторы и доходы населения от социально-экономических факторов. Выявлены тенденции развития потребительского рынка и необходимость учёта демографического фактора для развития бизнеса в Грузии.

B. Mgebrishvili
Demographic Environment for Development of Business in Georgia

Summary

The work discusses the situation of development of demographic environment in Georgia in the period under transition to the market economy according to the population size, age-sex composition, fertility-mortality, migration, employment, religious faith, number and composition of families. In addition, this work examines the close relation of cultural factors from macro-economic factors and population incomes from socio-economic factors to the demographic factors. The tendencies of consumers market development have been identified and we have made inferences about necessity of their usage in the process of working out market strategies by enterprises in Georgia



რ. ბერიძე

სტრატეგიული მარკეტინგის არსის შესახებ

მარკეტინგის თანამედროვე პარადიგმის რეალიზაცია, რომელიც ორიენტირებულია კონკურენტული უპირატესობის მიღწევაზე, ხორციელდება სტრატეგიული მარკეტინგის კონცეფციის დანერგვის გზით. კონკურენციის გაძლიერების ობიექტური წინაპირობები და ტენდენციები განაპირობებენ სტრატეგიულ მარკეტინგზე გადასვლის აუცილებლობას.

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისისათვის ფირმის პასუხი „დროის გამოძახილზე“, მისი რეაქცია ტექნოლოგიური, ეკონომიკური და კონკურენტული პირობების ცვლილებებზე იყო მარკეტინგის გაგების „სტრატეგიული მიდგომის“ წარმოშობა, რომელიც განაპირობებს სტრატეგიული მარკეტინგის მოვლენას. სტრატეგიული კონცეფცია გულისხმობს პროდუქციიდან და მომხმარებელიდან აქცენტის გადატანას ფირმის ფუნქციონირების გარე პირობებზე. მარკეტინგისადმი სტრატეგიული მიდგომის აქტუალობა გამოწვეულია საწარმოს შიდა და გარე გარემოს იმ ასპექტის გათვალისწინების აუცილებლობით და კონტროლით, რომლებიც მეტი ხარისხით მოქმედებენ ორგანიზაციის მომავალზე.

სტრატეგიული მარკეტინგის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფირმა უშეტესი სახსრები ისეთ ღონისძიებებში უნდა დააბანდოს, რომლებიც საშუალებას მისცემენ თანადროულად გამოავლინონ მნიშვნელოვანი ცვლილებები გარე გარემოში და რესურსების შესაბამისი გადაჯგუფებით შეეთვისოს მათ.

ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის ერთიანი შეხედულება სტრატეგიული მარკეტინგის შესახებ. ავტორების ერთი ჯგუფი ემხრობა მაქსიმალურ გაფართოებულ განმარტებას, რომელიც თითქმის ავივებს საერთოდ მარკეტინგთან; მეორე ჯგუფი ამსგავსებს სტრატეგიულ მენეჯმენტს; მესამე კი სოციალურ-ეთიკური მარკეტინგის კონცეფციას.

რეალური თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებიდან გამომდინარე წარმოიშობა განსახილველი ცნების ისეთი განმარტების ძიების აუცილებლობა, რომელიც ასახავს მის სპეციფიკურობას და ამავე დროს ერთიან „მარკეტინგულ ჯგუფზე“ მიკუთვნებას.

ს. ლაეროვის და ს. ზღობინის აზრით სტრატეგიული მარკეტინგი წარმოადგენს ფირმის საწარმო-გასაღებითი საქმიანობის მართვის სტრატეგიულ



სისტემას, რომელიც მიმართულია მოგების მაქსიმიზაციაზე საბაზრო პირობებზე აქტიური ზეგავლენის საშუალებით [1, 11]. ამავე დროს მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ სტრატეგიული მარკეტინგი განხილვება როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ვალიარებთ, რომ ეს მისი განსაკუთრებული ნაწილია და არ მოიცავს „ფუნქციურ ან არსებით შინაარსს“ [2, 55]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული ამ ორი სტრატეგიული კონცეფციის (მენეჯმენტის და მარკეტინგის) განვითარება უმეტესწილად ხდება დამოუკიდებლად. მთავარი განსხვავება სტრატეგიულ მენეჯმენტსა და სტრატეგიულ მარკეტინგს შორის მათი საბაზო თეორიების წარმოშობის სხვადასხვა ბუნებაშია: პირველი ეყრდნობა წარმოების სფეროში გამოკვლევებს, ხოლო მეორე – მიმოქცევის სფეროს.

აღნიშნული ავტორები აკონკრეტებენ, რომ ისტორიული თვალსაზრისით სტრატეგიული მარკეტინგის, როგორც საწარმოს მართვის თანამედროვე საბაზრო კონცეფციის წარმოშობა არის ორი თეორიის – მარკეტინგის და წარმოების შიდა საფირმო მართვის (მენეჯმენტის) ევოლუციური, ეტაპობრივი განვითარების შედეგი.

როგორც ა. გოლცოვი თვლის, სტრატეგიული მარკეტინგი შეიქმნება განვიხილოთ, როგორც პროცესი, რომელსაც ახორციელებს ფირმა მწარმოების მოტივაციით პოტენციური ბაზრების გამოვლენის მიზნით, მიზნადეულია მყარი კონკურენტული უპირატესობის თვალსაზრისით და ახდენს ფირმის გლობალურ მიზნებზე ორიენტაციას მისი სტრატეგიული შესაძლებლობების გათვალისწინებით [3, 53-55].

ს. ნიკიფოროვას აზრით, სტრატეგიული მარკეტინგი წარმოადგენს ფირმის ხელმძღვანელების აზროვნების პროგრამულ წესს, რომელიც უზრუნველყოფს ფირმის მიზნებისა და სტრატეგიების შეთანხმებას მის შესაძლებლობებთან, მის რეალიზაციას მარკეტინგული სტრატეგიის სახით [4, 20].

რ. ფატხუტდინოვის აზრით კი სტრატეგიული მარკეტინგი პირველ რიგში არის მომხმარებელზე ნებისმიერი საქმიანობის ორიენტირების კონცეფცია [5, 186-189]. ე.ი. ობიექტის სასიცოცხლო ციკლის ნებისმიერ სტადიაზე საჭიროა მომხმარებელზე ნებისმიერი საქმიანობის ორიენტირება.

ჯ. ს. დეი სტრატეგიული მარკეტინგის განხილვის დროს ძირითადად აქცენტს აკეთებს კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელობაზე და ამ კონკურენტული უპირატესობების წყაროების მუდმივ შექმნასა და განახლებაზე [6, 16-28].

ე.ე. ლამბემი შემდეგი სახით განსაზღვრავს სტრატეგიული მარკეტინგის ცნებას: საბაზრო მოტივაციით ფირმის მიერ განხორციელებული პროცესია იმ მანვენებლების მიღწევის მიზნით, რომლებიც საქონლისა და მომსახურების შექმნის პოლიტიკის სისტემატური გატარების გზით ჯარბობენ საშუალო საბაზროს, როდესაც ხდება კონკურენტებთან შედარებით მომხმარებლის უფრო მაღალი ფასეულობის საქონლით უზრუნველყოფა. შემდგომში ის ახდენს ამ განმარტების კონკრეტიზირებას: ძირითადი ჯგუფის მომხმარებლების მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების სისტემატური და მუდმივი ანალიზი, აგრეთვე ეფექტიანი საქონლისა და მომსახურების კონცეფციის შემუშავება, რომლებიც კომპანიას საშუალებას აძლევს კონკურენტებზე უკეთესად მოემსახუროს შერჩეული ჯგუფის მყიდველებს, რითაც უზრუნველყოფს მწარმოებლის მყარ კონკურენტულ უპირატესობას. ასეთია სტრატეგიული მარკეტინგის ამოცანების სფერო [7, 4].

წარმოდგენილ განსაზღვრებაში ავტორი კონცეტირირებას ახდენს გარე

გარემოს ფაქტორებთან ადაპტაციაზე და არ განსაზღვრავს, თუ რა გზით უზრუნველყოფს ფირმა ბაზარზე უნიკალურ პოზიციას, რა სახით განსაზღვრავს კონკურენტულ უპირატესობას და რაში მდგომარეობს მარკეტინგის სტრატეგიული ხასიათი. ჩვენი აზრით, მარკეტინგის სტრატეგიული პოტენციალი უპირველესად არის კონკურენტულ ბაზართან დაკავშირებული, ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივების და რესურსების განაწილების განსაზღვრის სფეროებში. მარკეტინგული გამოკვლევები მიმართული უნდა იყოს არსებული ბაზრების მდგომარეობის, მისი ახალი შესაძლებლობების განსაზღვრის და შეფასების შესწავლაზე. არსებული ბაზრების მდგომარეობა გარკვეულად განისაზღვრება სექსმენტაციით და მასზე საწარმოს პოზიციონირებით. განაწილების პორტფელურმა სტრატეგიამ უნდა დაიცვას ბალანსი ფირმის მიმდინარე მდგომარეობასა და ახალ შესაძლებლობას შორის, სადაც არსებით მნიშვნელობას იძენს ახალ საქონელზე მოთხოვნის მარკეტინგული გამოკვლევა, აგრეთვე საქონლის სასიცოცხლო ციკლის შემუშავება.

განსაზღვრავთ რა სტრატეგიულ მარკეტინგს როგორც მეწარმე სუბიექტის საბაზრო ურთიერთობის ობიექტზე უმოქმედების მიზანმიმართულ პროცესს, ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ ეს დაკავშირებულია არა მარტო ბაზარზე პოზიციის განსაზღვრასთან, არამედ მოქმედებების კომპლექსის შემუშავებასთან, რომელიც მოითხოვს სტრატეგიული პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებას, რაც თავის მხრივ ტაქტიკური მოქმედებების მექანიზმის განსაზღვრის საფუძველია.

თუ მარკეტინგის სტრატეგიას განვიხილავთ როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სტრატეგიული მარკეტინგის როლი მდგომარეობს ფირმის ქცევის ფილოსოფიის ფორმირებასა და საკუთარი მოქმედებების პროგნოზირებაში, ბაზარზე შერჩეული ორიენტირების და მიზნების გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით, მარკეტინგის სტრატეგიის განსაზღვრა პროცესია, რომელიც მოიცავს ბაზარზე ქცევის პროგნოზს და მოქმედებების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას. მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება და დასაბუთება უნდა ემყარებოდეს სტრატეგიული მენეჯმენტის პოზიციებს, რამდენადაც ის განსაზღვრავს საწარმოს განვითარების ვექტორს და ადგენს სტრატეგიულ ორიენტირებას და მიზნებს. სტრატეგიული მარკეტინგის ძირითადი პრინციპების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მეცნიერულ-ანალიტიკური განჭვრეტა, ფირმის განვითარების შიდა და გარე ფაქტორების შეთანხმება, ფირმის მართვისა და ტაქტიკის შესაბამისობა, სტრატეგიის განსაზღვრულობა და სტრატეგიული კონტროლის ორგანიზაცია. ჩვენი აზრით, მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარე გარემოს ფაქტორების გათვალისწინებით მენეჯმენტის შესაძლებლობების გამოვლენის პროცესი. ამ დროს გარე გარემოს ანალიზის პროცესი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ფირმის პროაქტიური სტრატეგიების რეალიზაციის შესაძლებლობები გარე ფაქტორების რეგულირების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს ფირმის ადაპტაციას კონკურენტების მოქმედებებთან და მთლიანად გარე გარემოსთან.

მოცემული ლოგიკური მსჯელობა საშუალებას იძლევა სტრატეგიული მარკეტინგის განსაზღვრებაში შეგვეტანა რიგი დაზუსტება. სტრატეგიული მარკეტინგე არის გარე ფაქტორების უმოქმედების შეფასების პროცესი, განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით ბაზარზე სტრატეგიული პოზიციების შერჩევა, გარე და შიდა ფაქტორების უმოქმედებაზე ადეკვატური რეაგირების მოდელის შემუშავება, ბაზარზე საწარმოს მიზნობრივი პოზიციის და კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფელი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით საწარმოში სტრატეგიულ მარკეტინგს



მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ატარებს ინტეგრირებულ და პროაქტიურ ხასიათს კორპორაციული, ბიზნეს და ფუნქციონალური სტრატეგიების გაერთიანების საფუძველზე.

ამრიგად, სტრატეგიული მარკეტინგის კონცეფციის გამოყენებისას საწარმომ ორიენტირება უნდა მოახდინოს ისე, რომ:

- ა) თავისი საქმიანობა წარმართოს სტრატეგიული შესაძლებლობების საფუძველზე;
- ბ) შეიმუშავოს კონკურენტუნარიანობის ანალიზისა და მონიტორინგის სისტემა;
- გ) აამბლოს გარემოს ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარი;
- დ) ფორმის საერთო სტრატეგიის ცვლილებების გათვალისწინებით რეგულარულად გადახედოს ბიზნეს-პორტფელს.

საქართველოს ეკონომიკის პირობებში სტრატეგიული მარკეტინგის გამოყენება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგანაც მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირებასთან – პროცესთან, რომელიც დიდი სიძნელეებით ვითარდება ჩვენს ქვეყანაში.

ლიტერატურა

1. Лавров С. Н., Злобин С. Ю. Основы маркетинга промышленных объектов. М.: Внешторгиздат, 1989. С. 11.
2. Верли Х. П. Маркетинг как стратегический фактор успеха //Проблемы теории и практики управления. М. 1992. №6. С. 55.
3. Гольцов А. Стратегический маркетинг. Рязань: Март, 1998. С. 53-56.
4. Никифорова С. В. Теоретические и методологические аспекты стратегического маркетинга. СПб: СПб ГУЕФ, 1996. С. 20.
5. Фатхутдинов Р. А. Стратегический маркетинг. М.: «Интел-синтез», 2001. С. 186-189.
6. Дей Джордж С. Стратегический маркетинг. М.: Изд-во ЭКСМО-Пресс, 2002. С. 16-28.
7. Ламбем Жан-Жак. Стратегический маркетинг: Европейская перспектива. Пер. с французского. СПб: Наука, 1996. С. 4.

Р. Беридзе
О сущности стратегического маркетинга

Резюме

Объективные предпосылки и тенденции усиления конкуренции определяют необходимость перехода к стратегическому маркетингу. Автором представлена собственная трактовка стратегического маркетинга, в основу которого положен процесс оценки влияния внешних факторов, выбор стратегической позиции на рынке с учётом целевых установок и разработка моделей адекватного реагирования на влияние внешних и внутренних факторов, с целью разработки стратегических решений, обеспечивающих целевую позицию предприятия на рынке и конкурентного преимущества.



R. Beridze

For the Concept of Strategic Marketing

Summary

Modern marketing paradigm is realized by introduction of strategic marketing. Objective prerequisites and tendencies of the increase of competition define the necessity of transition to the strategic marketing.

The author gives his personal definition of strategic marketing, which is based on the process of assessment of the influence of external factors, choice of strategic position on the market with a view of focused goals and elaboration of the models for adequate reaction to the influence of external and internal factors, with a view of elaboration of strategic solutions, providing focused position of the enterprise on the market and competitive advantage.

The role of strategic marketing at the enterprise was formulated alongside with the important principles of its realization and the tasks, which are defined by the global mission of strategic marketing.



**ზინანსები. ფულის მიმოქცევა.
კრედიტი**

თ. ბამსახურაძე

**საქართველოს სახელმწიფო ვალის მომსახურების
განუხრობის გზები**

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ხარჯებსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის შეუსაბამობა ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის საფუძველია. ვალი (როგორც საშინაო, ისე საგარეო) დღევანდელ პირობებში ქვეყნისათვის მეტად სერიოზული პრობლემაა, რადგან იგი მოსახლეობის მოხმარების ზრდის ტემპების შემცირებას, გადასახადების ზრდას, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის შემოსავლების არათანაბარ განაწილებას და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ქვეყნიდან ეროვნული კაპიტალის გადინებას იწვევს[1].

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის მანძილზე ვერ მოხერხდა ვალის მომსახურების პრობლემის გადაჭრა. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ქვეყნის საბაზრო სტრუქტურების და ინფრასტრუქტურების განვითარების დაბალი დონე და არაადეკვატური ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა. საფინანსო ბაზრის განუვითარებლობის გამო, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის შიდა წყაროდ ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ემისიური კრედიტების ახალი ტრანშებია გამოყენებული. მაგალითად, მთავრობამ ჯერ კიდევ 1992 წელს მიიღო სებ-საგან 27,3 მლრდ მანეთი ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად, რაც მთელი ბიუჯეტის 57,2%-ს შეადგენდა.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ საშინაო ვალის გასტუმრების ეს არაცივილიზებული პრაქტიკა დღემდე გრძელდება. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის "დეფიციტური დაფინანსების" ფორმით დაფარვა.

1994 წლის მეორე ნახევრიდან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) თანამშრომლობის დაწყებით, შესაძლებელი გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დიდი ნაწილის დაფინანსება საგარეო წყაროებიდან და სებ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევა.

1996-98 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება სებ-ის სესხების ხარჯზე შედარებით მაღალი იყო. 1996 წელს სებ-მა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, საკმაოდ დიდი მოცულობის (იხ. ცხრილი №1) გრძელვადიანი სესხი გასცა, მაგრამ ამ ფაქტს ქვეყნის საფინანსო მდგომარეობაზე უარყოფითად

არ უმოქმედია. მაშინ, როდესაც იგივე პროცესებს 1998 წელს სათანადო უწყვეტი ვერ მოჰყვა, იმის მიუხედავად, რომ სეზონი ბიუჯეტის დეფიციტს აფინანსებდა საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილი ღირებულებისა და სსფ-თან შეთანხმებული პროგრამული მაჩვენებლების ფარგლებში, უფრო მეტიც, ქვეყანაში გამეფდა ფისკალური კრიზისი.

1994 წლიდან 2001 წლამდე პერიოდში სეზონის მიერ ფინანსთა სამინისტროზე სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფინანსებლად გაცემული სესხების ოდენობამ 767,6 მლნ ლარი შეადგინა[2].

ფისკალური კრიზისი საქართველოში დღესაც არ არის დაძლეული. ქვეყანას როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალების მომსახურებაში დიდი ხირთუღებები გააჩნია. ვალების დროული მომსახურების გაუქმობის მიზნით, საჭიროა ღონისძიებათა პაკეტის შემუშავება კონკრეტული ვადებისა და პასუხისმგებელი როლების მითითებით.

აღსანიშნავია, რომ დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს მხრიდან ვერ კიდევ დაუფარავია. მაგალითად, 2001 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე სეზონის მიერ გაცემულია 9,2 მლნ ლარის ოდენობის მოკლევადიანი სესხი, საიდანაც 9,2 მლნ ლარი (თანხები მთლიანად გაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების გასასტუმრებლად) უკვე დაფარულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაცემული სესხები მოკლევადიანია (თვის განმავლობაში დაფარვის ვადით), ჩვენი აზრით, ისინი არ შეიძლება, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გაცემულად ჩაითვალოს და ამიტომ საბიუჯეტო პროცესის წარმართვაში მნიშვნელოვან დარღვევად მიგვაჩნია.

საჭიროა იმ გარემოების შესხენება-აღნიშვნაც, რომ სეზონის მიერ მთავრობის დაკრედიტების მთავარ ფაქტორს მთავრობის წმინდა დავალიანების ღირებულების დაცვა წარმოადგენს. ვინაიდან მთავრობის წმინდა დავალიანება, თავის მხრივ, სეზონის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანებისა და სეზონის დეფიციტის დასაფარავად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საგალო ვალდებულების გათვალისწინებით, მთავრობის დეპოზიტებს შორის სხვაობის მაჩვენებელს წარმოადგენს, მისი დაცვა ობიექტურად აუცილებელია. ეს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელი, სამწუხაროდ, იშვიათი გამოწვევის გარდა, ფინანსთა სამინისტროს მიერ არ სრულდება, რაც, ეკონომიკური თვალსაზრისით, დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. მთავრობის დეპოზიტების მკვეთრი შემცირების მიუხედავად (მხედველობაში გვაქვს, 2000 წლის 29 დეკემბერს არსებული 29,33 მლნ ლარიდან 2000 წლის 31 დეკემბერს 20,6 მლნ ლარამდე შემცირება), აღნიშნული მაჩვენებლის შესრულება ვერ მოხერხდა. ეს განპირობებული იყო შემდეგით: 2001 წლის ბოლო ორი სამუშაო დღის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრომ ცენტრალური სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან დაახლოებით 10 მლნ ლარის გადარიცხვა განახორციელა, რითაც ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მდგომარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.

„საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ და „საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა გათვალისწინებით, 1999-2000 წლებში 6 წლით გადავადდა 1994-1995 წლებში (შესაბამისად, 18,3 და 92,4 მლნ ლარის ოდენობით) გაცემული გრძელვადიანი სესხები (სასესხო დავალიანებაზე პირველი ორი წლის განმავლობაში წლიური 1%-ის, ხოლო მომდევნო წლებში ინფლაციის წლიურ ტემპს პლუს 1%-ის დარიცხვის გათვალისწინებით). ამასთანავე „საქართველოს



2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, განხორციელდა 1996 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად სებ-ის მიერ მთავრობაზე გაცემული გრძელვადიანი სესხების რესტრუქტურისაცა 5 წლის ვადით, წლიური 9%-ის სარგებლის დარიცხვით. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 1997-2000 წლებში გაცემულ სესხებზე განხორციელდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და იგი წლიური 9%-ის დონეზე იქნა დაფიქსირებული[3]. მთავრობის დაავალიანებასთან დაკავშირებით 2001 წელს ახლებური მიდგომა გამოიკვეთა – სსფ-თან შეთანხმებული პროგრამული მაჩვენებლების მიხედვით, გათვალისწინებული იყო როგორც მთავრობის წმინდა დაავალიანების, ისე მთავრობის სასესხო დაავალიანების გვერდური მაჩვენებლის 28,1 მლნ ლარით შემცირება. აღსანიშნავია, რომ “საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით დაგეგმილი იყო სებ-ის მიმართ მთავრობის წმინდა დაავალიანების ზრდა 30 მლნ ლარით. ამასთან, 18,6 მლნ ლარის ოდენობით სებ-დან მთავრობის მიერ 1998 წელს აღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვის გათვალისწინებით, რეალურად 2002 წელს ადგილი ჰქონდა სებ-ის მიმართ მთავრობის წმინდა დაავალიანების ზრდას დაეკგმილის 15,1% (4,5 მლნ ლარი) ოდენობით [4].

საქართველოში მთავრობის მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად ნასესხები თანხების დინამიკას და სტრუქტურას საქართველოში ნათლად გამოხატავს ცხრილი 1.

ცხრილი 1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად მთავრობის მიერ

ნასესხები სახსრების სტრუქტურა (1996-2000 წწ.) [4]

ნასესხობათა სახეობები	1996	1996	1997	1998	1999	2001	2001	2002
საქ. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი	198,1	255,3	276,2	188,5	254,6	193,6	185,2	219,6
დაფარული საქ. კრედიტული ბანკის სესხით	92,4	185,9	116	128,8	97,5	134,8	0	4,5
პროცენტულად ბიუჯეტის დეფიციტთან	46,6	72,8	42	68,3	38,3	66	0,6	2,5
დაფარული სახელმწ. ფინანს. ქვლდეფიციტით	-	-	6	0	1,7	3,7	20,1	24,4
პროცენტულად ბიუჯეტის დეფიციტთან	-	-	2,2	0	0,7	1,8	10,8	11,1
დაფარული საგარეო წყაროების ხარჯზე	104,4	54,3	160,2	77,6	144,9	38,1	163,3	179,6
პროცენტულად ბიუჯეტის დეფიციტთან	52,7	21,3	58,0	41,2	56,9	18,7	88,2	81,8
დაფარული სხვა წყაროების ხარჯზე	1,3	12,6	7,2	4,5	10,5	7,8	5,6	23,3
პროცენტულად ბიუჯეტის დეფიციტთან	0,7	4,9	2,6	2,4	4,1	3,8	6,4	10,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2001-2002 წლებში მკვეთრად გაიზარდა სახაზინო ვალდებულებების განთავსების გზით მიღებული თანხების ხვედრითი წონა ბიუჯეტის დეფიციტის შევსებაში. ამასთან, სახაზინო ვალდებულებების განთავსებით 2001 წლის ბიუჯეტის შევსება განხორციელდა დაგეგმილი მაჩვენებლის 101%-ით, ხოლო 2002 წელს – 122%-ით, რაც განპირობებული იყო მოკლევადიანი, კერძოდ, 1 კვირიანი, სახაზინო ვალდებულებების გამოშვებით. საპირისპირო მდგომარეობაა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებულ თანხებთან დაკავშირებით, რომელთა საგვემო პარამეტრებიც ყოველწლიურად



ირღვევა. მაგალითად, 2001 წელს შესრულდა მხოლოდ 51%, ხოლო 2002 წელს კი 58%-ით [4]. აქვე უნდა აღენიშნოს, 2001-2002 წლებში საგარეო დაფინანსების კუთხით, ერთი მხრივ, საგვემო პარამეტრების გადაჭარბება და მეორე მხრივ, მათი დიდი ხვედრითი წილი ბიუჯეტის დეფიციტის შევსებაში. აღნიშნული გარემოება, სეპ-ის პრეზიდენტის აზრით, შეიცავს ინფლაციის დიდ რისკს, რადგან ქვეყანაში ვალების დაფარვის რეალური წყაროები არ არსებობს [5].

ბიუჯეტის დეფიციტის შევსების საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მეთოდების დანერგვის თვალსაზრისით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან ერთად, ჩვენი აზრით, ბიუჯეტის დეფიციტის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისა და შევსების პრაქტიკა უნდა შეიცვალოს სეპ-ის პირდაპირი დაკრედიტებით, რაც ძირითადად სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული მოსაზრება სსფ-ის რეკომენდაციებითაც არის გათვალისწინებული. ამასთან, მკვეთრად უნდა შეიზღუდოს სახელმწიფო საშინაო ვალის ახალი ვალდებულებების გაცემა. ამ მიზნით პარალელურად უნდა აიკრძალოს კომერციული ბანკებიდან სესხების აღება და ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებზე საგარანტიო და თავდებობის წერილების გაცემის მანკიერი პრაქტიკა.

დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო ვალი ერიცხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უზბეკეთი, უკრაინა, თურქმენეთი, ყაზახეთი), შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების (გერმანია, ჩინეთი, თურქეთი, ავსტრია, აშშ, იაპონია, ირანი) და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სსფ-ი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი) მიმართ, რაც ყოველწლიურად იზრდება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს მხრიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მიმართ დავალიანება 1992-1993 წლებში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი საღლოა, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებულ იქნა სახელმწიფო კრედიტად და, შესაბამისად, აღებულ იქნა სახელმწიფო ვალად [6]. შემდგომ პერიოდში სახელმწიფომ რუსეთისა და აზერბაიჯანისგან ენერგომატარებლების შესაძენად აიღო კრედიტები. ყველაზე დიდი ოდენობის კრედიტები აღებულ იქნა თურქმენეთისა (393 მლნ აშშ დოლარი) და რუსეთისგან (179 მლნ აშშ დოლარი), რომლებიც საბაზრო საროცენტო ვანაკვეთით გაფორმდა და არც ერთ ქვეყანას რაიმე შეღავათი არ დაუშვია.

საგარეო ვალის მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი მომსახურების გაუმჯობესების საკითხს, ვინაიდან დღევანდელ პირობებში შესაძლოა მან საქართველოს ეკონომიკისათვის შენელებული მოქმედების ნაღმის როლი შეასრულოს. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საგარეო ვალების პერმანენტული ზრდა ქვეყნის ეკონომიკისათვის ისეთივე საშიშროებას წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, შემოსავლების ამოღებაში არსებული პრობლემები და კორუფცია. საგარეო ვალის მომსახურება, რომელიც, თავის მხრივ, დაცულ მუხლებს განეკუთვნება, წლების განმავლობაში უმძიმეს ტვირთად აწევს ისედაც მწირ სახელმწიფო ბიუჯეტს.

საქართველოს საგარეო ვალმა მშპ-თან მიმართებაში, უკვე რამდენიმე წელია გადააჭარბა კრიტიკულ დასაშვებ ზღვარს (30%-ს). 2000 წლის დასაწყისისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ის დაახლოებით 49,2%-ს შეადგენდა [7]. ამასთან,



გამართლდა მოლოდინი ამ მაჩვენებლის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით [8] აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით საგარეო ვალის წილი მთლიან მომსახურების ოდენობა ამ პერიოდში 81,6 მლნ დოლარს შეადგენდა, რაც ბიუჯეტის ხარჯების საპროგნოზო მოცულობის 10,7% იყო. 2001 წლის დანაწიებისთვის კი, მართლაც შეიმჩნეოდა მშპ-ში საგარეო ვალის წილის მკვეთრი ზრდა (69,5%). 1998 წლიდან საქართველოს მთავრობა თავს არიდებს ვადადამტკიცებული დავალიანებების სრულ დაფარვას, ვინაიდან მომსახურების თანხების სრულად დაფარვისას, მისი წილი საერთო ხარჯებში ფაქტობრივად გაორმაგდება [9], რაც ინფლაციის პოზიციებიდან უარყოფით ფაქტორად უნდა იქნეს შეფასებული [10]. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული დავალიანების დაფარვა, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მეტად პრობლემურია და, შესაბამისად, ყოველწლიურად ირრვევა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ კანონების ის მუხლები, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგარეო ვალის დაფარვას [11].

გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიოს დონორ ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში თანდათანობით მკვიდრდება აზრი საგარეო ვალების ფართომასშტაბიანი ჩამოწერის შესახებ. კერძოდ, 1999 წლის ზაფხულში, აშშ-ის პრეზიდენტის ინიციატივითა და „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების გადაწყვეტილებით, აგრეთვე სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის აქტიური მონაწილეობით ვალების ჩამოწერის ახალი ეტაპი დაიწყო. ეს ძირითადად აფრიკის სახელმწიფოებს შეეხო. ამ ინიციატივით არსებობს შესაძლებლობა, რომ საგარეო ვალები ჩამოწერონ განვითარებად ქვეყნებსაც, რომლებიც დემოკრატიული განვითარების და ეკონომიკური რეფორმების გზას ადგანან. ამ მიზნით სსფ-ი აქტიურად მუშაობს ახალ პროგრამაზე სახელწოდებით: „ინიციატივა დიდი მოცულობის ვალების მქონე ღარიბი ქვეყნებისთვის“.

საქართველოს საგარეო დავალიანების დაფარვის პრობლემების გადაჭრისათვის გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიც. „პარიზის კლუბში“ მიღწეული იქნა შეთანხმება ოფიციალურ კრედიტორ ქვეყნებთან ვალის რესტრუქტურისებასთან დაკავშირებით [12]. შეთანხმების მიხედვით, განისაზღვრა წლიური 4%-იანი განაკვეთი, რომელსაც საქართველო ორწლიანი შეღავათიანი პერიოდის განმავლობაში გადაიხდის. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ამ ვადას შესაძლებელია დაემატოს ერთი წელიწადი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს კომერციულ ვალს 18 წლით, ხოლო არაკომერციულს 10 წლით გადაუვადებენ. ეს საკმაოდ შეღავათიანი პირობებია, რომლებიც ფორმდება კრედიტორ ქვეყნებთან ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამრიგად, „პარიზის კლუბის“ გადაწყვეტილებით საქართველოს 1, 548 მლრდ აშშ დოლარის საგარეო ვალის რესტრუქტურისაცია განხორციელდება 20 წლიანი ვადით „2+1“ პრინციპით, რაც 2003-2004 წლიდან ძირითადი ვალების გასტუმრების დაწყებას გულისხმობს [13]. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვალების რესტრუქტურისაციამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველოს ვალების ჩამოწერით გამოწვეული დადებითი შედეგები აჭარბებს უარყოფითს, რომელიც ღარიბი ქვეყნების რიგში მოხვედრით შეიძლება წარმოიქმნას. ნეგატიური შედეგები შეიძლება გამოვლინდეს იმაში, რომ არ არის გამოცხადებული ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის შერყევა, რასაც, შესაბამისად, უცხოური ინვესტორების ძალიან დაბალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ქვეყნებთან

ურთიერთობებზე თავის შეკავება მოჰყვება[9].

ჩვენი აზრით, საგარეო ვალის პრობლემის გადასაწყვეტად სამი სახეობის მიდგომა საჭიროა: 1. დაედასტოვოს თანდათანობითი, აბსოლუტური შემცირება. ასეთი შესაძლებლობა დღევანდელ პირობებში საქართველოს არ გააჩნია, ვინაიდან, დადებითი სადღოს მისაღწევად, ბიუჯეტში რადიკალური ცვლილებების შეტანა შეუძლებელია; 2. საგარეო ვალის პრობლემის გადაწყვეტის მთავარ მიმართულებად დაბალანსებული ბიუჯეტის ფორმირება და სახელმწიფო ვალის ნულოვანი ვარიანტის ნომინალური ზრდა. ვგულისხმობთ არა „ნულოვან სესხებს“, არამედ სესხების იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ბიუჯეტის დაბალანსებისათვის ანუ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად; 3. სესხის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის გამკაცრება. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებელია მიმდინარე და საშუალოვადიანი საბიუჯეტო მაჩვენებლების აუცილებელი შესრულება.

ამდენად, საბიუჯეტო ხარჯების ზღვრული სიდიდეები, შემოსავლების მინიმალური დონეები, საგარეო სესხების ღირებულების განსაზღვრა საგარეო ვალის დაფარვის მოცულობებთან და, პარალელურად, საშინაო სესხების ზღვრული შეხამება, მიღებული კრედიტების სრული და რეალური ინვენტარიზაცია-შესწავლა, მაქსიმალური გამჭვირვალობის მიღწევის მიზნით ფართო საზოგადოების ინფორმირება მათ ხარჯვასა და მიზნობრივ გამოყენებაზე, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს მთავარ მიმართულებად, რომელიც, სახელმწიფო ვალის მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევას.

ლიტერატურა

1. Добрынина А., Тарасевич Л. Экономическая теория. СПб., 1999. 418-419.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის 2001 წლის ანგარიში. საქართველო ეროვნული ბანკი. 2002. გვ. 90
3. ქ. ბუეიაშვილი. ბიუჯეტს საგადასახადო ორგანოების ნაცვლად ეროვნული ბანკი აფინანსებს. "მაკრო მიკრო ეკონომიკა". 2001. №3 (40). გვ.11.
4. ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.
5. ი. მანაგაძე. ინფლაციის რეგულირება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკვანძო პრობლემა. ჟურნალი „მაკრო მაკრო ეკონომიკა“, 2002. წელი, №7-8 (56-57). გვ. 38.
6. საქართველოს ეროვნული ბანკის 2000 წლის ანგარიში. საქართველო ეროვნული ბანკი. 2001. გვ. 80
7. ე. ლომიძე. რესტრუქტურიზაცია-ბიზნესის ხუნდეები თუ საბაზრო მექანიზმების გაუქმება. ჟურნალი "მაკრო მიკრო ეკონომიკა". 2002 წელი, №2(51). გვ. 21.
8. საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მიმართულებები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის მასალები. 2000 წელი, №1. გვ. 5.
9. რ. კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბილისი. 2001 წელი, გვ. 274.
10. ი. გოცირიძე. საგარეო ვალების კრიზისი და მისი დაძლევის გზები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. კვარტალური მიმოხილვა 2001 წელი, №2. გვ. 77.

11. ი. მანაგაძე. ინფლაციის რეგულირება, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკვანძო პრობლემა. ჟურნალი "მიკრო მაკრო ეკონომიკა", 2002 წელი, №7-8 (56-57). გვ. 37-38.
12. საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენება საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით. ჟურნალი "სახელმწიფო და კონტროლი", 2002 წელი, №2. გვ. 72.
13. Debet Rescheduling Under The Pariz Club. JVI-MFP, August, 1999. p.1.
14. საგარეო ვადების მომსახურების შემცირება "პარიზის კლუბის" ქვეყნებს არ შეეხება. გაზეთი "ახალი თაობა". 2001 წელი 8 აგვისტო. გვ. 3.

Т. Гамсахурдиа

Пути улучшения обслуживания государственного долга Грузии

Резюме

Одним из сложных вопросов бюджетного процесса является проблема обслуживания долгов, в частности, планирование и управление долгами.

Недостатки в этом направлении являются одной из причин бюджетного кризиса в стране и финансовой нестабильности.

С целью искоренения недостатков в обслуживании внешних и внутренних долгов, автор предлагает: 1.Бремя внутреннего долга постепенно перенести с кредитов Национального банка Грузии в ценные бумаги государства, что в свою очередь, будет способствовать нормальному функционированию финансовых институтов и созданию условий для развития вторичного рынка ценных бумаг.2.Четко ограничить процесс роста новых обязательств государственного внутреннего долга, запретить получение займов от коммерческих банков, негативную практику выдачи казной коммерческим банкам гарантийных и поручительных писем. 3.Основным направлением решения проблемы внешнего долга должно быть достижение сбалансированности бюджета и номинальный рост нулевого варианта государственного долга. 4. Ужесточение контроля за целевым использованием займов. С этой целью необходимо обязательное использование текущих и среднесрочных бюджетных показателей. В силу этого предельные величины бюджетных расходов, минимальные уровни доходов, определение лимитов внешних займов с объемами погашенных внешних долгов и предельное соотношение внутренних займов должны считаться основным направлением, которое обязательно должно быть учтено параллельно с улучшением обслуживания внешнего долга с целью обеспечения экономической безопасности страны.

Debt planning and management appear to be the critical issue in the budget performance. The weaknesses in this field are the most important factors inducing the current budgetary crisis and financial instability in the country.

With the purpose to eliminate the existing constraints in internal and external debt service the author deems necessary to suggest the following measures: 1. Gradually shift the burden of public liabilities from the credits of the National Bank of Georgia into the governmental securities that will promote the necessary conditions for the securities secondary market development and enable proper operation of financial institutions. 2. Strict limitations should be imposed on further public borrowings and lending commercial bank credits should be prohibited. In addition the issuance of guarantee and security letters by the State Treasury to the commercial banks should also be eliminated. 3. The approval of balanced state budget and indicated growth of public debt zero alternative should be considered as the main trends to resolve the external debt problems. This implies not the "zero loans" but credit values to the extent necessary for the balanced state budget, e.g. to cover the budget deficit. 4. Strict regulation on purpose loans should be imposed that requires the obligatory execution of current and medium-term budget liabilities which unfortunately failed to be done in the country. Therefore, the main determinants to improve the external debt service and ensure economic security of the country are the following: define budget cost limits and income minimum level, set up foreign loan limits to match external debt repayments in coherence with the internal borrowing rates.

3. სპეცვიზილი

**გენდერული თანასწორობა და მისი განხორციელების
შესაძლებლობა გოგამტის საშუალებაში**

დასავლური მეცნიერებიდან ჩვენს სინამდვილეში შემოსული უცხოური სიტყვა „გენდერი“ საზოგადოების ურთულეს ურთიერთობებს ასახავს და ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მნიშვნელოვანია ნათლად გაემიჯნოთ ერმანეთისაგან სქესი და გენდერი. მსგავსების მიუხედავად, ამ ორ ცნებას განსხვავებული მნიშვნელობები გააჩნია, რაც პოლიტიკის განსაზღვრისათვის ფრიად ღირებულა. თუ სქესი მხოლოდ ბიოლოგიურ სხვაობას ასახავს, გენდერი სოციალურ სხვაობებს გულისხმობს, ხოლო გენდერული როლები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საზოგადოებებში იცვლება.

ნებისმიერი ეკონომიკის მიზანს რესურსების მწარმოებლურობის რეალური ამაღლება და არსებული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება წარმოადგენს. ცხოვრების დონის ამაღლება სწორედ ამ გარემოებაზეა დამოკიდებული, გენდერული ბალანსი, ანუ ქალთა და მამაკაცთა პოტენციალისა და რესურსების თანაბარი გამოყენება სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ქალები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 52%-ს შეადგენს. მათ განკარგულებაში მყოფი რესურსების ეფექტიანად გამოყენება თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამრიგად, ქალთა განკარგულებაში არსებული პოტენციალის სრულფასოვნად ამოქმედებისათვის გენდერულმა თანასწორობამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიჭიროს გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ნებისმიერ პოლიტიკაში.

ეკონომიკური მიზანშეწონილობა და სოციალური სამართლიანობა ქალთა უფლებების აღიარებისა და ეკონომიკური აქტივობის გაზრდის განსხვავებული საფუძვლებია. თუ პირველი ქალთა შრომითი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას გულისხმობს და ქალთა ზეექსპლუატაციის მიზეზი ხდება (ქალებს მწარმოებლური ფუნქციის გაზრდა არამწარმოებლური ფუნქციის შემცირების გარეშე უხდებათ), მეორე - მიმართულია ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების შექმნისაკენ და საზოგადოების პარმონიულ განვითარებას ისახავს მიზნად.

საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ სახელმწიფომ მონოპოლიური მდგომარეობა დაკარგა. გარდამავალ პერიოდში მას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა უკვე აღარ შეუძლია. ამრიგად, ქალები სავსებით განსხვავებული რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური



ცხოვრების ცვლილებებმა ქალებს მათი მიღწევები დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მოუსპო. მათი სრულფასოვანი და თანასწორუფლებიანი მონაწილეობა საზოგადოებაში ძნელი განსახორციელებელი გახდა.

გარდამავალ პერიოდში, როცა სახელმწიფოს როლი სულ უფრო და უფრო სუსტდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მიღწევაში სწორედ მთავრობამ შეასრულოს უმნიშვნელოვანესი როლი. საჭიროა ეროვნული მექანიზმების შექმნა, რაც ქალთა დაწინაურებასა და მათი პოტენციალის უფრო აქტიურ გამოყენებას შეუწყობს ხელს.

გარდამავალ პერიოდში სოციალურ საკითხებს ეკონომიკურ პრობლემებთან შეადარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. რეფორმების განხორციელების ტემპებსა და მათთან დაკავშირებული სოციალური დანახარჯების მნიშვნელობაც ხშირ შემთხვევაში დაკნინებულია. სოციალური სისტემები, რომლებსაც დადებითი შედეგები ჰქონდა, ახალ პირობებში არაუფექტიანი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება სოციალური რეფორმების განხორციელებას აფერხებს. უხარმაზარი და შეტად საპასუხისმგებლო სამუშაოს ჩატარება საჭირო, რათა ქვეყნის მომავალ განვითარებაში ეს ასპექტები ყურადღების მიღმა არ დარჩეს. რადგან შედეგების გამოსწორება კიდევ უფრო ძნელი იქნება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება გენდერული ბიუჯეტი. აღნიშნულ სტატიაში ჩვენ გენდერული ბიუჯეტის არსის ახსნას შევეცდებით. „გენდერული ბიუჯეტი“ ანუ „ქალთა ბიუჯეტი“ ასახავს იმ სხვადასხვა ინსტრუმენტსა და პროცესს, რომლებმაც ქალთა და მამაკაცთა გარკვეულ ჯგუფებზე ბიუჯეტის გააღწეა უნდა შეაფასონ.

როგორც ცნობილია, ბიუჯეტი მოსალოდნელი შემოსავლებისა და სხვადასხვა პროგრამის დაფინანსებაზე დაგეგმილი ხარჯების ამსახველი სამთავრობო დოკუმენტია. გენდერული ბიუჯეტი, აღნიშნული ასპექტების გარდა, ბიუჯეტის ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე ბიუჯეტის გააღწენის უფრო ნათელ სურათს იძლევა და დიფერენცირებულად ასახავს ამ გააღწენას ქალებსა და მამაკაცებსზე.

გენდერი ამ შემთხვევაში, მხოლოდ ბიუჯეტის ანალიზის კატეგორიაა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ „გენდერული ბიუჯეტი“ განსხვავებულ ან განცალკევებულ ბიუჯეტს არ გულისხმობს ქალებისათვის ან მამაკაცებისათვის.

ის ორგანოები და სამთავრობო სტრუქტურები, რომლებიც უშუალოდ ქმნიან ბიუჯეტს, გენდერს მნიშვნელოვან ასპექტად არასოდეს მიიჩნევენ. ეს იმით არის გამოწვეული რომ ხშირად ნათლად არ ჩანს როგორი ურთიერთობაა გენდერსა და ბიუჯეტს შორის. გენდერული პარამეტრების მქონე ბიუჯეტი ანუ გენდერული ბიუჯეტი გულისხმობს იმას, რომ მასში სახსრების განაწილება მოცემულია გენდერის (ანუ სქესების) მიხედვით (მაგალითად, სეციალური პროგრამები ქალებისათვის). ამასთან, გენდერული ბიუჯეტის მიზანი ქალთა პროგრამებზე სახსრების გამოყოფის გაზრდა სულაც არ არის. ბიუჯეტის გენდერული ანალიზი პოლიტიკის შემოქმედებს ეხმარება გადაწყვიტოს რა გზით შეიძლება სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა ან ფორმირება და სად არის რესურსების განთავსების საჭიროება.

როდესაც ჩვენ გენდერულ ბიუჯეტზე ვსაუბრობთ, აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება, რომ ყველა სექტორსა და მომსახურებაზე ძირითადი დანახარჯების გააღწეა დეტალიზებულია სქესების ანუ გენდერის მიხედვით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ცნება „გენდერული ბიუჯეტი“ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლის გაშლას (ანუ დეტალიზებას) გენდერის ანუ

სქესის მიხედვით. ყოველივე ეს გულისხმობს სოციალური პროგრამებისა და მომსახურების მეტ დეტალიზებას და ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლის შესრულების გავლენის ასახვას ცალკე მამაკაცებზე და ცალკე ქალებზე. გენდერულ ბიუჯეტში დიდი ყურადღება ექცევა, აგრეთვე, თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკას. გენდერული ბიუჯეტის ძირითადი მიზანია აჩვენოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და მათი შესრულებისათვის გამოყოფილ რესურსებს შორის სხვაობა. იგი ბიუჯეტის სახსრების გენდერულად თანასწორ ხარჯვას უზრუნველყოფს.

- გენდერულმა ბიუჯეტმა შეიძლება მოიცვას:
 - მთლიანი ბიუჯეტი;
 - ზოგიერთი დეპარტამენტისა და პროგრამის ხარჯები;
 - ხარჯები ახალ პროექტებზე;
 - შემოსავლების გარკვეული ფორმები (გადასახადები, სამომხმარებლო ტარიფები და სხვ.);
 - ცვლილებები საგადასახადო სისტემაში;
 - ახალი კანონმდებლობის განხორციელება და სხვა.

მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გენდერული ბიუჯეტი ანუ ბიუჯეტის გენდერული ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას ბიუჯეტის ნებისმიერ ციკლში, იქნება ეს დაგეგმვა, მიზნების იდენტიფიკაცია, მისი მიღება, ფინანსური სახსრების განთავსება თუ შესრულება.

გენდერული პარამეტრის მქონე ბიუჯეტის ფინანსური პოლიტიკა უფრო გამჭვირვალე და ნათელია, რადგან ამ დროს საკმაოდ დეტალურადაა აღწუსხული გამოყოფილი სახსრების განთავსება. ასე მაგალითად, ბიუჯეტში განათლების სექტორი დეტალიზებულია შემოსავლების, რევიონების, ქალაქების ან სასოფლო დასახლებების მიხედვით და ძალიან იშვიათად გენდერის მიხედვით. გენდერის მიხედვით დეტალიზებული ბიუჯეტი ჯანმრთელობის სექტორში სრულიად განსხვავებულად გამოიყურება, რადგან ჯანმრთელობის დაცვისა და პროფილაქტიკის საკითხები ქალებისა და მამაკაცებისათვის მკვეთრად განსხვავდება.

გენდერული ბიუჯეტი ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული პრიორიტეტების შესახებ საკმაოდ ზუსტ სურათს ქნის. ანალიზის შედეგად დამტკიცებულია, რომ გენდერული პარამეტრების მქონე ბიუჯეტი რესურსების პროდუქტიულობასა და მთლიან შიდა პროდუქტს ზრდის. ეს საკვებით ლოგიკურია. როცა პრიორიტეტები დეტალიზებულია, სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას ნაკლები მოცულობა აქვს და დასახული პოლიტიკური მიზნების განხორციელებაც უფრო მიზანმიმართულად ხდება.

გენდერული პარამეტრების მქონე ბიუჯეტის ან, მარტივად რომ ვთქვათ, გენდერული ბიუჯეტის ფუნქციას ხელი შეუწყობს:

1. თანასწორობას. იმის მიუხედავად, რომ ეროვნული ბიუჯეტები გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკური ინსტრუმენტებია, სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების მოგროვებას ქალებსა და მამაკაცებზე განსხვავებული გავლენა აქვს. ბიუჯეტის დაგეგმვა, უპირველეს ყოვლისა, უფლებების დაცვას ემსახურება, ანუ იგი გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვან მიზნად აღიარებას და ეკონომიკური მართვის ინდიკატორად გადაქცევის უზრუნველყოფს.
2. ანგარიშგებას. 90-იან წლებში გაეროს ფარგლებში გენდერული თანასწორობის თაობაზე ჩატარებული კონფერენციების გადაწყვეტილებების შესრულების შეფასება საკმაოდ რთული



ამოცანაა. გენდერული ბიუჯეტი, რომელიც გენდერული თანასწორობის ვალდებულებებს სახსრების განთავსებასა და ხარჯვასთან აკავშირებს, ხალხის წინაშე მთავრობის ანგარიშების კონკრეტულ გზას იძლევა.

3. ეფექტიანობას. მსოფლიო ბანკის ანგარიშები ცხადყოფს, რომ გენდერული უთანასწორობა ეკონომიკურ ეფექტიანობისა და კუმანური განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს. მაკროეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია გენდერული უთანასწორობით გამოწვეული დანაკარგები საზოგადოებისათვის გაზარდოს, შეამციროს ან უხილავი გახადოს. ეს ძირითადად ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება. გენდერული ბიუჯეტის პოლიტიკას გენდერული თანასწორობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამოცანების ერთმანეთთან შეხამება ძალიან კარგად შეუძლია.

4. გამჭვირვალობას. გენდერული ბიუჯეტი, როგორც წესი, იწვევს სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართვას პოლიტიკური და ეკონომიკური დებატების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში. ეს განსაკუთრებით ქალებს ეხებათ, რომლებიც ამგვარ დისკუსიებში შეზღუდულად მონაწილეობენ.

საზოგადოებრივი დანახარჯები ქალებზე მრავალი გზით ახდენს გავლენას. ფისკალური პოლიტიკა გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ ბალანსებზე, ფისკალურ და სავაჭრო დეფიციტზე, ინფლაციის დონეზე. მათი ცვლილებები გავლენას ახდენს როგორც ცხოვრების სტანდარტებზე და რეალურ შემოსავლებზე, ისე ეკონომიკურ ზრდაზე.

საზოგადოებრივი დანახარჯები შემოსავლებს ქმნის, ხოლო ზოგიერთი მათგანი პირდაპირი დახმარებაა ზოგიერთი სოციალური ჯგუფისათვის. ასე მაგალითად, ბიუჯეტში დაწვევით განათლებასზე ხარჯების გაზრდა უფრო მეტ ქალს გაუზრდის შემოსავალს, ვიდრე უმაღლეს სასწავლებლებზე გამოყოფილი სახსრების გაზრდა, რადგან ამ უკანასკნელებში გაცილებით ნაკლები ქალი დასაქმებული, ვიდრე საშუალო სკოლებში.

გენდერულ თანასწორობაზე საზოგადოებრივი დანახარჯების კეთილსასურველი გავლენისათვის ხშირად საჭირო ხდება სექტორშივე ან სექტორებს შორის ფინანსური სახსრების გადანაწილება და ამრიგად ხარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესება. ზოგიერთ შემთხვევაში გენდერული ბალანსის მისაღწევად სახსრების გადანაწილება სექტორშივე საკმარისია, მაგალითად განათლების სექტორში ფინანსური სახსრების მიმართვა საბაზისო განათლებისაკენ, ან ჯანდაცვის სფეროში სახსრების რელოკაცია პირველადი სამედიცინო დახმარების ან პროფილაქტიკური მედიცინის სასარგებლოდ. სხვა შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს საერთოდ სახსრების გაზრდა განათლებისა და ჯანმრთელობის სექტორებისათვის.

ქალთა მიერ რეპროდუქციული ფუნქციის შესრულება პირდაპირ არის დაკავშირებული მათ გადაუხდელ შრომასთან. პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომის მრავალფეროვნება და მათი შეთავსების აუცილებლობა ქალის დროის ბიუჯეტს მაღალ მითხოვნებს უყენებს. აუნახლავრებული შრომა და ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში გაწეული შრომა (ეს უკანასკნელი მამაკაცებსაც შეეხება) შრომით რესურსებში და ეროვნული შემოსავლის ანგარიშებში არ აღირიცხება. ამგვარი შრომის განუზომელი მნიშვნელობის მიუხედავად, იგი არ ფიგურირებს არც ეროვნულ კუმანურ რესურსებში, არც ეკონომიკურ პოლიტიკაში და არც ბიუჯეტის პრიორიტეტებში. ამას კი სერიოზული შედეგები მოსდევს. ქალები, რომლებიც



აუნაზღაურებელი შრომის ღირებულების და ასრულებენ და არაფორმალურ სექტორშიც აქტიურად არიან ჩაბმულნი, საკუთარი დროის უმეტეს ნაწილს მას ანდომებენ და, აქედან გამომდინარე კვალიფიკაციისა და განათლების ამაღლების საშუალება არა აქვთ. გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის მიერ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა მოწმობს, რომ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ქალ რესპოდენტთა 98%-ს დრო არ რჩება.

ეკონომიკური მოდელების უმრავლესობა გულისხმობს, რომ ქალის რეპროდუქციულ შრომას ანაზღაურება არ ესაჭიროება. შრომის გენდერული განაწილების იგნორირება იწვევს ქალთა გადატვირთვას და მათი პროდუქტიულობის შემცირებას.

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ ღარიბ ოჯახებში დგას, სადაც შემოსავლის სიმწირის გამო ქალი იძულებულია, სრული და ხშირად არანორმირებული სამუშაო დღით იყოს დასაქმებული. ავსტრალიელი მეცნიერი კაროლინ მოსერი [1, 17] აღნიშნავს, რომ ღარიბი ქალები მეტ დროს ხარჯავენ, რათა ბაზარზე იაფი პროდუქტები შეიძინონ. სადილის მომზადებასაც მეტი დრო მიაქვს, რადგან ისინი ნაკლებად დამუშავებულ საკვებს ყიდულებენ და მცირე რაოდენობით ამზადებენ. ქალების შიმში შრომის გამო საჭირო ხდება შეილების (უმეტესად გოგონების) დახმარება, რაც, თავის მხრივ, ბავშვების დროის ბიუჯეტს ამცირებს და მათაც დედების მსგავსად განათლებისა და საკუთარ თავზე მუშაობისათვის ნაკლები დრო რჩებათ. აღნიშნული ვითარება საქართველოსათვის უცხო სრულებითაც არ არის. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ანალოგიური შედეგები მოსდევს განვითარებულ ქვეყნებშიც. 1984 წლიდან კანადაში მნიშვნელოვნად შემცირდა ხარჯები დედათა დახმარებაზე, პენსიებზე, ჯანმრთელობის შესახებ განათლებაზე და დახმარებები ღარიბებზე ჯანმრთელობასა და ბავშვთა მოვლაზე დანახარჯების შემცირება იმას ნიშნავს, რომ ქალებმა მეტი პასუხისმგებლობა აიღეს ამ სფეროში. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ამან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქალთა დასაქმებაზე. კანადაში ბავშვთა მოვლაზე ფასების 10%-იანმა ზრდამ 39%-ით შემცირა ქალთა დასაქმების ალბათობა. ამავე დროს დედათა დახმარებების 10%-იანი ზრდა ქალთა დასაქმების ალბათობას 8,1%-ით ზრდის [2]. ანალოგიური ვითარებაა აშშ-შიც. ბავშვთა მოვლის ღირებულების ერთპროცენტიაანი შემცირება ბავშვიანი ქალების დასაქმების დონეს 0,38%-ით ზრდის [3].

ავსტრალია იყო პირველი ქვეყანა, რომლის ფედერალური მთავრობა 1984-1996 წწ. ბიუჯეტის მუხლების გენდერული თვალსაზრისით დეტალიზაციას შეეცადა. 1994-1995 წწ ეკონომიკური ზრდა გაძლიერდა, რომელიც 1995-1996 წწ. გაგრძელდა და თან ინფლაციის დაბალი დონე ახლდა. 1993 წლის აპრილიდან ქვეყანაში 544 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, რომელთა ნახევარზე ქალები იყვნენ დასაქმებულნი. შემდგომში ბიუჯეტის დაგეგმვა გენდერული მიდგომით მთელმა რიგმა ქვეყნებმა განახორციელეს. მათ შორის იყო აფრიკის ქვეყნები (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ბარბადოსი, მოზამბიკი, ნამიბია და ა. შ.) და დასავლეთის მოწინავე სახელმწიფოებიც (კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ.).

გენდერული თანასწორობის მიღწევის პოლიტიკას ევროკავშირის ლეგიტიმურ დოკუმენტებსა და ინსტიტუტების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ეს იმის შედეგია, რომ წევრი ქვეყნებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკური მნიშვნელობა გაიზარდა. ამის გამო გაიზარდა, აგრეთვე, იმ სამუშაო მეთოდებისა და პროცედურების რეალიზაციის მნიშვნელობა, რომლებიც



გენდერული თანასწორობის პრაქტიკული განხორციელებისაკენ არის მიმართული.

გაეროს ეგიდით ჩატარებულ მე-4 ქალთა მსოფლიო კონფერენციაზე ევროკავშირის აქტიურად ცდილობდა კონფერენციის ფინანსურ დოკუმენტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკას გამორჩეული ადგილი დაეკავებინა. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პრინციპები დეკლარირებულია ევროკავშირის საბაზისო ხელშეკრულებებში. კერძოდ, ამსტერდამის ხელშეკრულების 32 მუხლში აღნიშნულია, რომ თანამეგობრობა გენდერულ ასპექტებს თავის ყველა საჭიანობაში ჩართავს. ევროკავშირის დასაქმების პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვა როგორც ევროკავშირის დონეზე, ისე ეროვნულ დონეებზე აუცილებელი მოთხოვნაა.

1996 წელს ევროკომისიამ მიიღო დოკუმენტი სახელწოდებით: „გენდერული თანასწორობის ინტეგრირება თანამეგობრობის ყველა პოლიტიკასა და საჭიანობაში“. ევროკავშირის გენერალური დირექტორები თავიანთ სფეროში გენდერულ თანასწორობაზე არიან პასუხისმგებელი.

ევროკავშირის 2001-2005 წლების მე-5 სამოქმედო პროგრამის ერთ-ერთი მიზანი წევრ ქვეყნებში იმ სამუშაო მეთოდების განვითარებაა, რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევას გულისხმობს.

2000 წლიდან საფრანგეთში, მთავრობის სპეციალური ბრძანებულების თანახმად, ბიუჯეტს თან უნდა ახლდეს დანართი, სადაც წარმოდგენილი იქნება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის განკუთვნილი თანხების განთავსება. ყველა სამთავრობო დეპარტამენტი ვალდებულია სტატისტიკის რეფორმის საშუალებით ზედმიწევნით ზუსტად ასახოს ქალებისა და მამაკაცების სტატუსი და მათი წვლილი ეკონომიკაში.

2001 წლის მაისში საფრანგეთის მთავრობამ გამოსცა სპეციალური დოკუმენტი „ბიუჯეტის დაგეგმვის გენდერული პერსპექტივები“, რომელშიც სხვადასხვა სექტორისათვის (დასაქმება, ახალგაზრდობა, სპორტი, საგარეო ურთიერთობები და ა.შ.) განკუთვნილი ხარჯები სისტემატიზირებულია გენდერული თვალსაზრისით.

საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსთა და მრეწველობის სამინისტროს მიერ მომზადებული ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ცხადყოფს, რომ 2002 წელს მომუშავე ქალთა 31% არასრული სამუშაო დღით იყო დასაქმებული, მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი მამაკაცებისათვის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა. ანალიზი ადასტურებს, რომ არასრული სამუშაო დღით დასაქმებული ქალებისათვის ეს ვითარება მათი არჩევანით არ არის განპირობებული. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქალებს, რომლებიც საკუთარ მცირეწლოვანი შვილებს მარტო ზრდიან. ერთმშობლიანი ოჯახების 84%-ს ქალები შეადგენენ, რაც გარდაუვლად იწვევს სიღარიბის ფემინიზაციას.

გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ისეთი მოწინავე ქვეყანა როგორც შეეცა, დიდ ყურადღებას უთმობს, აგრეთვე გენდერულ სახელმწიფო პროგრამაში გენდერული საკითხების გათვალისწინებას. მისი პარლამენტის ნებისმიერი კომიტეტი ვალდებულია საკუთარი წინადადებები და კანონპროექტები გენდერული პარამეტრის გამოყენებით გააანალიზონ, ანუ შეაფასონ თუ რამდენად პასუხობს მათი წინადადება გენდერული თანასწორობის ამოცანას. ამრიგად, მთავრობას საშუალება ეძლევა შეაფასოს თუ რა გავლენა ექნება მოცემულ სარეფორმო წინადადებასა თუ შესწორებას კანონში ქალებისა და მამაკაცების ცხოვრების სტანდარტებზე.

შეეცის მთავრობა აქტიურად ცდილობს გენდერული თანასწორობის განხორციელებას. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი სპეციალურ ტრენინგებს ატარებს მინისტრების, პოლიტიკური მრჩეველებისა და სახელმწიფო აპარატის სხვა მოხელეებისათვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კურსის პროგრამაში 1999წ. 7-17 დეკემბერს საქართველოს წარმომადგენლებიც

მონაწილეობდნენ.

ამჟამად შვედიაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს გენდერული ბიუჯეტის დანერგვისათვის, რომელიც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასებისა და გატარებისათვის ერთ-ერთ უმინიმუმდროულად მეთოდს წარმოადგენს.

როგორც მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს გენდერული თანასწორობა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს, რომლის მიღწევა ქვეყნის ეკონომიკური რესურსების ეფექტიანობის ამაღლებას ემსახურება.

გენდერული თანასწორობის მიღწევისა და ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი პირობების შესაქმნელად გენდერულ ბიუჯეტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ბიუჯეტი გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურია. მაგრამ მისი ზოგიერთი სექტორის (განათლება, ჯანდაცვა, საპენსიო უზრუნველყოფა და სხვ.) დეტალიზება გენდერული მიდგომის საფუძველზე საკვებით შესაძლებელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, უფრო თვალსაზრისით სურათს მოგვცემს რესურსების ხარვეზისა და ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ. რა თქმა უნდა, ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების გამოსწორება გენდერული ბიუჯეტის წყალობით არ მოხერხდება, მაგრამ მისი დანერგვა ბიუჯეტის ზოგიერთ სექტორში, უთუოდ დადებით შედეგებს მოიტანს როგორც ქალებისათვის, ისე, საერთოდ მთლიანად ეკონომიკისათვის. საბოლოო ჯამში, ეს ცხოვრების დონის ზრდასა და ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება.

ლიტერატურა

1. Moser Caroline. 1989 Gender Planning in the Third World: Meeting Practical and Strategic Gender Needs. World Development. Vol.17.No11
2. Simel Esim. Impact of Government Budgets on Poverty and Gender Equality. Commonwealth Secretariat, Marlborough Hoise, London, 26-27 April, 2000.
3. Hoerner Andrew, Credits Where are Due: ChildCare and Family Dynamics. Tax notes, October 9, 1989.

Э. Сепашвили

Равенство рода и возможность его выполнения бюджетом

Резюме

Гендер отражает самые проблематичные отношения в обществе и приводит к различным подходам к проблеме. "Гендерный бюджет" или "Женский бюджет" это разнообразие процессов и инструментов, которыми пытаются оценивать воздействие правительственного бюджета на различных группах мужчин и женщин. Анализ гендерного бюджета помогает правительству решать, как должна быть отрегулирована политика и как должны быть перераспределены ресурсы, чтобы достичь гендерный баланс в обществе.

Гендерный бюджет создает ситуацию, в которой политика финансирования более прозрачна и ответственна. Это делается, детализируя, как деньги, предназначены для женщин, фактически потрачены. Цель гендерного бюджета не состоит в том, чтобы увеличить финансовую поддержку женщинам. Такой бюджет предназначен, чтобы идентифицировать распределение ресурсов для женщин по сравнению с мужчинами. Таким образом, гендер - категория анализа.

В статье проанализированы проблемы женской производительной и репродуктивной работы, бюджет времени женщины, их профессионального роста, воздействие бюджета на занятость женщины. Обсуждена также практика Швеции, Франции, Австралии и ЕС.

E. Sepashvili

Gender Equality and Possibility of its implementation by Budget

Summary

Gender reflects the most problematic relations in the society and results different approaches to the issue. "Gender Budget" or "Women Budget" refer to a variety of processes and tools, which attempt to assess the impact of government budget on different groups of men and women. Gender budget analysis helps government to decide how policies need to be adjusted and where resources need to be reallocated in order to achieve gender balance in the society.

Gender budget creates the situation in which financing policies are more transparent and accountable. It is being done by detailing how gender money allocated for women are actually spent. The aim of gender budget is not to increase financial support for women. It aims to identify resources allocation for women as compared to men. Thus, Gender is a category of analysis.

The issues of women's productive and reproductive work, the time budget of women, their professional growth, the impact of budget on women employment are analyzed in the article. The practice of Sweden France, Australia and EC is discussed as well.

სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა,
ეკონომიკური ინფორმაცია

Ifor Ffowcs-Williams

Policy for Inter-firm Networking and
Clustering: A Practitioner's Perspective

This paper provides a practitioner's perspective on the development of two forms of partnerships that are integral in upgrading competitiveness: business networks and clusters. Firstly, it reviews a number of the business networking programmes that have been introduced over the last decade. Some commonalities in networking programmes, and in clustering programmes, are then identified. Finally, it highlights some of the issues that public policy makers need to take into consideration when developing networking and clustering interventions.

Introducing Networks & Clusters

In this introduction the relevance of networks and clusters to globalisation is briefly explored. Networks and clusters are elements of a common spectrum, with a blur between them rather than a sharp divide. That aside, the following definitions, which separate networks and clusters, are used in this paper. **Networks**

A network can be defined as a group of firms using their combined talents and resources to co-operate on joint development projects. Through complementing each other and specialising in order to overcome common problems, participants are able to achieve collective efficiency and conquer markets beyond their individual reach.

Networks range from the informal (soft) where groups of firms may be involved in the exchange of ideas or the development of broad initiatives (such as training programmes and capability brochures), to the more formal (hard) where the association between participating firms is more focussed, such as in establishing a joint export venture. Soft networks usually encompass a larger number of firms than hard networks, with membership often open to all that meet a minimum



requirement (such as payment of an annual fee). Hard networks are much more commercially focussed, involving a limited number of pre-selected firms, sometimes formally and tightly linked through a joint venture/strategic alliance. Non-firm organisations, such as a university, are only occasionally seen as members of a hard network. Networks, in particular soft networks, are not necessarily geographically concentrated. Once trust between participating firms has been established, and the strategic direction agreed, operational dialogue could be facilitated through electronic means. Even 'virtual' networks require a personal interface, especially in the early stages. Networks do not always emerge spontaneously, reflecting the isolation of many SMEs from each other.

Networks in their various forms help SMEs build critical mass in key areas, and facilitate their specialisation. Through networking, firms are able to learn from each other rather than from support organisations. The concept of 'networking' is not new - it can be seen in bidding consortia, buying clubs, trade associations and lobby groups. However, it is only in the last decade or so that public policy makers have introduced interventions to facilitate interfirm networking.


Networks, especially firms linked to each other in a value adding production chain, are key components of any cluster. All forms of networks facilitate the development of trust and linkages within a cluster, and beyond.

Clusters

